Finanzmarktsteuern	<ul style="list-style-type: none"> • Finanzinstitute und Finanzmarktakteure an den Kosten der Finanzkrise beteiligen • übermäßige Spekulation eindämmen • in den Varianten: Börsenumsatzsteuer, Finanztransaktionssteuer, Finanzaktivitätssteuer 	Beschluss zur Einführung einer umfassenden Steuer auf Finanztransaktionen in 11 EU-Staaten ab 2014

<p>Banken- strukturreform</p>	<ul style="list-style-type: none"> • Begrenzung des systemischen Risikos durch Trennung von Kreditgeschäft und Kapitalmarktgeschäft • Verschiedene Varianten: Trennbankensystem, Rengfencing (bankinterne Trennung), Beschränkung des Eigenhandels 	<p>Differenzierte und stufenweise Umsetzung der drei Varianten wurde in einigen Staaten (u.a. UK) beschlossen.</p>
<p>Bankenabgabe</p>	<ul style="list-style-type: none"> • Beteiligung der Banken an den Restrukturierungs- und Abwicklungskosten von insolventen Instituten • Einrichtung eines Restrukturierungsfonds • Höhe der Abgabe orientiert sich an der Größe und dem Grad der Vernetzung mit dem Finanzsystem 	<p>Umsetzung auf der nationalen Ebene u.a. in Deutschland seit 2011</p>
<p>Restrukturierungsfonds</p>	<ul style="list-style-type: none"> • Sanierung, Reorganisation oder Abwicklung von systemrelevanten Banken mit gravierenden wirtschaftlichen Problemen • Beteiligung des Bankensektors an den Kosten über die Bankenabgabe 	<p>Umsetzung auf der nationalen Ebene u.a. in Deutschland seit 2011</p>

5. Fazit

Die Begrenzung des systemischen Risikos muss ein essentieller Bestandteil der neuen internationalen Finanzmarktordnung sein. Höhere Eigenkapitalanforderungen für systemrelevante Finanzinstitute repräsentieren ein wichtiges Instrument auf dem Weg zur nachhaltigen Funktionsfähigkeit des Finanzsystems. Durch das Schließen von Lücken in der bestehenden Finanzmarktregulierung trägt die neue Ordnung zur Sicherstellung eines fairen Wettbewerbs bei. Wichtig ist jedoch eine einheitliche und gleichzeitige Umsetzung der neuen Regeln an allen Finanzplätzen. Einige auf der nationalen Ebene verabschiedete Maßnahmen kollidieren mit den auf der G20-Ebene beschlossenen Regeln. So behindert die nicht nur in Deutschland eingeführte Bankenabgabe die Kreditinstitute bei der Bildung von Eigenkapital (Basel III). Darüber hinaus muss die Problematik der Systemrelevanz von Finanzinstitute strikter angegangen werden. Ein Abwicklungsregime für notleidende systemrelevante Banken mit Beteiligung der Aktionäre und Gläubiger – ohne den zwingenden Einsatz kollektiver, mit negativen Anreizen ausgestalteter Haftungssysteme – ist dringend geboten.

Der Grundgedanke der neuen Organisationsstruktur stellt insgesamt eine positive Weiterentwicklung der bestehenden Strukturen dar. Insbesondere die Schaffung von Aufsichtsbehörden auf der europäischen Ebene und damit einhergehender einheitlicher Standards der Aufsicht von Banken, Versicherungen und Wertpapiermärkte sowie der Aufbau einer makroprudenziellen Aufsicht auch auf der Internationalen Ebene mit dem Financial Stability Board können als sinnvoller Schritt auf dem Weg zu einem stabileren Finanzsystem bewertet werden.

**გლობალური ფინანსური კრიზისი, როგორც
საერთაშორისო ფინანსური ბაზრის აქსელერატორი
დოქტ. ანდრეას ნასტანსკი –
პოტსდამის უნივერსიტეტი,
სრული პროფ. სიმონ გელაშვილი –
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

გლობალური ფინანსური კრიზისით გამოწვეული
სირთულეების გათვალისწინებით, გამოიკვეთა გლობალური

ფინანსური ბაზრების და საბანკო სისტემების მნიშვნელოვანი რეგულაციების აუცილებლობა. ყველაზე ინდუსტრიული და განვითარებული ქვეყნები - ე. წ. G 20-ის სახელმწიფოები - ფინანსურ ბაზრებსა და საბანკო რეგულირებაში არასწორი გზით მიმდინარე პროცესების განვითარებისა და მომავალში კრიზისების თავიდან აცილების მიზნით, შეთანხმდნენ გლობალური საფინანსო სისტემის რეფორმირების თაობაზე.

ბაზრის რეგულირება ემყარებოდა მოსაზრებას, რომ საფინანსო სისტემის სტაბილურობა ისეთი დონისძიებების გატარებითაა შესაძლებელი, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბანკის გადახდისუნარიანობას. თუმცა, სისტემური რისკების მნიშვნელობა სათანადოდ ვერ იქნა შეფასებული. რისკები, რომლებიც ცალკეული ბანკის ან თუნდაც დაზღვევის დონეზე შეუმჩნეველად ან მოგვარებადად ითვლებოდა, შესაძლოა ცალკეული პრობლემების ურთერთკავშირისას უფრო გაძლიერდეს და ფინანსური ან საბანკო კრიზისი გამოიწვიოს. ამასთან, ინტენსიური გლობალური ქსელის არსებობის გამო, შესაძლებელია ერთი საფინანსო ინსტიტუტის პრობლემა ვირუსისვით გავრცელდეს და მთელი სისტემის ინფიცირება მოახდინოს.

ამის გამო, ფინანსური ბაზრის დარეგულირებისკენ მიმართული რეფორმები სხვადასხვა ელემენტისგან უნდა შედგებოდეს და რეგულაციის სხვადასხვა დონეზე უნდა გატარდეს. ფინანსური სისტემის გაძლიერების პირველი შემადგენელი ნაწილი არის რეგულაციის მიკროეკონომიკური საფეხური. ამ საფეხურზე ხდება თითოეული საფინანსო ინსტიტუტისთვის სტანდარტების დადგენა, რაც ნიშნავს იმას, რომ ამოსავალი წერტილი თითოეული ბანკის ფინანსური სტაბილურობაა. ისეთი რეგულაციებით, როგორცაა ბანკების საკუთარი კაპიტალით აღჭურვა, თითოეული საფინანსო ინსტიტუტის გაკოტრების რიცხვი, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. დამატებით უნდა მოხდეს სისტემის მაკროეკონომიკურ დონეზე რეგულირება. შესაბამისი ინსტრუმენტების საშუალებით, როგორცაა რისკების გეოგრაფიული რუკის მონაცემთა ხელმისაწვდომობა, სტრესული სიტუაციების ტესტების ჩატარება და ბანკებისთვის დამატებითი

სარეზერვო კაპიტალის დაწესება, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საფინანსო სისტემის სტაბილურობა. ასევე, ფისკალური და სავალუტო პოლიტიკის ურთიერთქმედებაზე დაკვირვებაც მაკროეკონომიკური მონიტორინგის მოვალეობაა. ამასთან, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ციკლური ეფექტები. ერთი ან რამდენიმე ბანკის გაკოტრებამ არ უნდა შეუქმნას სხვა ბანკებს ან მთლიანად სისტემას, არსებობის გრძელვადიანი პრობლემები. მაკროეკონომიკური მიდგომის მიზანია სწორედ სისტემური რისკების შეზღუდვა.

ბოლო ფინანსური კრიზისის ფონზე, უკეთეს რეგულაციებთან ერთად, მიზნის მისაღწევად აუცილებელია ბანკების ზედამხედველობის ახალი ინსტიტუტები, დაზღვევები და ფასიანი ქაღალდების ბაზრები. ფინანსური კრიზისის დაწყებიდან ადგილი ჰქონდა საერთაშორისო და ევროკავშირის მასშტაბით ფინანსური ბაზრების საზედამხედველო ორგანოებისა და მათი შუამავლების მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ეგრეთწოდებული G 20-ის ქვეყნები შეთანხმდნენ საერთაშორისო ფინანსური ბაზრის ახლებურ მოწყობაზე, შეცვალეს საზედამხედველო ორგანოების სისტემა. ევროკავშირის მასშტაბით შეიქმნა ახალი ინსტიტუტები როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკური ზედამხედველობისთვის. G 20-ის ფარგლებში მაკროეკონომიკური ზედამხედველობის ცენტრალური ინსტიტუტი - ფინანსური სტაბილურობის ფორუმი გაუმჯობესდა და გარდაიქმნა ფინანსური სტაბილურობის საბჭოდ. მთლიანობაში გამოჩნდა, რომ 20-ის ფარგლებში ფინანსური სისტემის რეგულირებისთვის საერთაშორისო დონეზე შორს მიმავალი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ამას ემატება დაგეგმილი რეგულაციები ევროპულ და ეროვნულ დონეებზე. საფინანსო ბაზრების რეგულაციაში არსებული სიცარიელეების (ხვრელების) დახურვა ხელს შეუწყობს სამართლიანი კონკურენციის მოწესრიგებას.

მნიშვნელოვანია ახალი რეგულაციების შეთანხმებული და ერთდროული გატარება ყველა ფინანსურ ცენტრში. ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, რაც ხშირად ადგილობრივი ინტერესების გამო ყოვნდება, აფერხებს ფინანსური ბაზრის რეგულაციების განხორციელებას.

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრის მოთამაშეების მასტიმულირებელ სისტემებზე გავლენის მოპოვება და საკუთარი კაპიტალის უფრო მაღალი სტანდარტები, ასევე, ბაზელ III-ის შესაბამისად საკუთარი დანაკარგებისა და ევზოგენური შოკების (ცვლილებების) ლიკვიდობის მოთხოვნების დახმარებით უკეთესად გადატანის უნარი. სწორედ მაკროეკონომიკურ მარეგულირებელ სისტემებს აკისრიათ მთავარი როლი სისტემური რისკების იდენტიფიკაციისა და შემცირების საქმეში.

ეროვნული საფინანსო სისტემების ინტეგრაციის განვითარების გამო, საფინანსო ბაზრის ახალი და ეფექტური რეგულაცია მხოლოდ გლობალურად შეიძლება იყოს გატარებული. ფუნქციონირებადი საფინანსო ბაზრები უმნიშვნელოვანესია რეალური ეკონომიკისა და ბიზნესის ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად. ბანკებს, საფინანსო სისტემაში მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, ცენტრალური როლი აკისრიათ. აქედან გამომდინარე, საფინანსო ბაზრის რეგულირებას ეკისრება ფუნქცია, ახლებურად მოაწიოს ნორმატიული ბაზა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სისტემური რისკების შეზღუდვას.

The Global Financial Crisis Forcing the New International Financial Market Regulation

**A. Nastansky,
S. Gelashvili**

The global financial crisis has clearly shown that a stable financial system is essential for economic development. Therefore, the G20 Leaders have implemented a new regulatory framework to ensure that the financial sector restores its ability to serve the real economy. Regulation must restrict false incentives for market participants, increase banks' equity capital and limit systemic risk.

This article shows the progress in implementing new instruments on financial regulatory reform. In this context the macro prudential regulation and supervision has become of pre-eminent importance.

Moreover, institutions responsible for regulation and oversight have changed. The financial-market policy has systemically strengthened banking and financial market supervision at national, European and global levels. Before an examination of the regulatory policy requirements to be met by a financial regime which takes account of changes in market conditions and in the behavior of market actors will be discussed. The main objective of the new framework is to make the financial system more resilient to crisis.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bundesministerium der Finanzen, ECOFIN einigt sich über den Rechtsrahmen zur Errichtung eines einheitlichen Aufsichtsmechanismus für Banken, 14.12.2012;
2. Deutsche Bundesbank, Finanzstabilitätsbericht, 2010;
3. De Larosiere, The High-level group on financial supervision in the EU, 25.02.2009;
4. Financial Stability Board, Improving Financial Regulation – Report of the Financial Stability Board to G20 Leaders, 25.09.2009;
5. Financial Stability Board, Progress in Implementing the G20 Recommendations on Financial Regulatory Reforms, 19.06.2012;
6. Financial Stability Board, Financial Stability Board reports to G20 on progress of financial regulatory reforms, in: Press release 70/2012, 05.11.2012;
7. Franke, G., Krahen, J.P., Instabile Finanzmärkte, in: Perspektiven der Wirtschaftspolitik, Vol. 4, 2009;
8. Hartmann-Wendels et al., Bankbetriebslehre, Heidelberg, 2010;
9. Nastansky, A., Systemisches Risiko im Finanzsektor, in: Wirtschaftsstudium, 2013;
10. Nastansky, A., Gelaschwili, S., Determinanten der Entwicklung der Krise am US-Immobilienmarkt zur globalen Finanz- und Wirtschaftskrise, in: ECONOMICS and BUSINESS, Nr. 1, 2010;
11. Rehm, H., Reform der nationalen und internationalen Finanzarchitektur, in: Kredit und Kapital, Vol. 3, 2011.

**საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან
ინტეგრაციის
პირითაღი მიმართულებები**

უზანგი სამაღაშვილი

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

მბრძანებლურ-გეგმიანი ეკონომიკა გამოვლილი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ერთ-ერთი ცენტრალურია ეროვნული ეკონომიკების ლიბერალიზაცია და გლობალიზაციის პროცესებში აქტიური ჩართვა. წინამდებარე გამოკვლევების მიზანი სწორედ ეკონომიკის ღიაობის (გახსნისობის) არსისა და ფორმების გარკვევა და საქართველოს, როგორც მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნის, მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის გზებისა და მიმართულებების განსაზღვრაა.

უფიქრობ, ამგვარი გამოკვლევა უაღრესად აქტუალურია, განვრცობადია და განსაკუთრებით ფასეულია პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის, რადგანაც, ჯერ ერთი, თუ წინათ საბჭოთა რესპუბლიკებს კავშირი აერთიანებდა, ახლა მათ პოსტსოციალისტური გადაქმნებისას საერთო პრობლემები აერთიანებთ, და მეორე, ეკონომიკური ზრდის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობის მიღწევა. ეკონომიკური ზრდა კი მხოლოდ საქართველოს მცირე სამამულო საბაზრო მოთხოვნით შეუძლებელია. სწორედ ამიტომ საჭიროა საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაცია, ანუ ის, რომ

საშინაო მოთხოვნას დაემატოს საგარეო მოთხოვნაც.

ისე, როგორც ნებისმიერ ეკონომიკურ კატეგორიას, “ღია ეკონომიკასაც” აქვს თავისი თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა. თვისებრივი განსაზღვრულობა პასუხობს კითხვაზე თუ რა არის ეს მოვლენა, ხოლო რაოდენობრივი განსაზღვრულობა - როგორ გავზომოთ ეს მოვლენა, იმისთვის, რომ პარალოგიზმის ტყვეობაში არ მოვექცეთ, ლოგიკურია, ჯერ გავარკვიოთ “ღია ეკონომიკის” არსი და მერმე - მისი რაოდენობრივი განსაზღვრულობა.

ღია ეკონომიკა არის ეროვნული ეკონომიკა, რომელიც შეუზღუდავად ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკებთან და გულისხმობს ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის ყიდვა-გაყიდვას. სხვაგვარად, ღია ეკონომიკა არის ქვეყნის ეკონომიკა, რომელსაც თავისი საზღვრები გახსნილი აქვს უცხოური ქვეყნებიდან საქონლისა და კაპიტალის შემოსვლისთვის და რომელიც თავისუფლად ახდენს თავისი საქონლისა და მომსახურების ექსპორტირებას სხვა ქვეყნებში. ეს ადამიანებს საშუალებას აძლევს გაცილებით უფრო ფართო ასორტიმენტის საქონელი მოიხმარონ, ვიდრე თვითონ აწარმოებენ თავიანთ ქვეყანაში და მნიშვნელოვნად აიმაღლონ თავიანთი კეთილდღეობის დონე [4, გვ.479].

იმ შემთხვევაში კი, როდესაც საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში პროტექციონიზმი აშკარად სჭარბობს ლიბერალიზმს, სახეზეა დახურული, ანუ ავტარკიული ეკონომიკა. ღიასაგან განსხვავებით, **ჩაკეტილ (ავტარკიულ) ეკონომიკაში** არსებითად იმ საქონლისა და მომსახურების მოხმარება შეიძლება, რომელიც მოცემული ქვეყნის შიგნით იწარმოება, საქმიანი გარიგებები და ოპერაციები ხორციელდება მოცემული ქვეყნის შიგნით, ხოლო მათზე ანგარიშსწორება წარმოებს მხოლოდ ქვეყნის ეროვნული ვალუტით. ავტარკიულ

ქვეყანასა თუ ქვეყნებში არ არსებობს საქონლის, სამუშაო ძალის, კაპიტალისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი. შესაბამისად, გამორიცხულია სავიზო რეჟიმები, საბაჟოები, სავალუტო კურსი და სხვა. ხატოვანი ალეგორიული შედარებით—ძლიერი ქარის შემთხვევაში, **კარჩაკეტილი (ავტარკიული) ქვეყნები** აშენებენ ქარსაცავ ზოლს (ჯებირს), რათა ქარი არ შემოუშვან. **ღია ეკონომიკის ქვეყნები** კი ამ ქარს გონივრულად იყენებენ ელენერგის გამოქმევაებისა* და ქარის წისკვილის ასამოქმედებლად. შევნიშნავთ, რომ წმინდა ფორმით ავტარკია სახეზეა მხოლოდ ნატურალური მეურნეობის დროს, ანუ კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში [3, გვ.79].

რაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ღიაობის, ანუ გახსნილობის ხარისხი? ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფაზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, შიგა ბაზრის ტევადობასა და მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობაზე, ანუ მოთხოვნაზე. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მრეწველობის სტრუქტურაში რაც მაღალია საბაზისო დარგების (ენერგეტიკა, მეტალურგია) ხვედრითი წონა, მით ნაკლებია ქვეყნის შედარებითი ჩართულობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, ანუ მით ნაკლებია მისი ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი მით მაღალია, რაც უფრო განვითარებულია მასში ეკონომიკური ურთიერთობები, რაც უფრო მეტია მის დარგობრივ სტრუქტურაში დარგები შრომის ღრმა ტექნოლოგიური დანაწილებით და რაც უფრო დაბალია მისი საკუთარი ბუნებრივივი რესურსებით უზრუნველყოფა.

როგორ გამოვთვალოთ ქვეყნის ეკონომიკის ღიაობის, ანუ გახსნილობის ხარისხი? ქვეყნის ეკონომიკის ღიაობისა

და დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრაციის კარგი ინდიკატორია ექსპორტის და იმპორტის კოტა. მისი გაანგარიშება ხდება ექსპორტისა და იმპორტის ღირებულების პროცენტული ფარდობით ქვეყნის მშპ-თან. ამ მაჩვენებლების საფუძველზე კი გაიანგარიშება ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის ინდექსი, ანუ საგარეო სავაჭრო კოტა (წილი), რომელიც ტოლია ექსპორტისა და იმპორტის წლიური მოცულობის ჯამის, ანუ საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და მშპ-ის პროცენტული განაყოფისა.

საგარეო სავაჭრო კოტის ანუ ეკონომიკის გახსნილობის ხარისხის მიხედვით მსოფლიო ქვეყნები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1. ქვეყნები შედარებით ჩაკეტილი ეკონომიკით (ექსპორტის წილი მშპ-ში 10%-ზე ნაკლები): კუბა, ჩრდილოეთ კორეა; 2. ქვეყნები ღია, გახსნილი ეკონომიკით (ექსპორტის წილი მშპ-ში 35%-ზე მეტი): ა) მცირე, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, როგორცაა: ნიდერლანდები, ბელგია, ჰონკონგი, სინგაპური, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ავსტრალია და სხვა, რომლებიც ფლობენ ეკონომიკის გახსნილობის განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელს-55-70%-ს; ბ) მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით საშუალო ქვეყნები - საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი და სხვა, რომელთა ეკონომიკის გახსნილობის მაჩვენებელი რამდენადმე მცირდება და ირყევა 40-45%-მდე; 3. ქვეყნები, რომლებიც არის ამ ორ ჯგუფს შორის. ესაა მსოფლიოს მსხვილი, ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოები (აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი), სადაც საანალიზო მაჩვენებელი არ აღემატება 20%-ს [1, გვ.37].

საქართველოს ეკონომიკა ვაჭრობისათვის საკმაოდ ღიაა. დღეისათვის მისი სავაჭრო ბუნვა (ე.ი. ექსპორტისა და იმპორტის ჯამი) მშპ-ის დაახლოებით (10219მლნ/15000მლნ) $.100=68\%$ -ს შეადგენს. საქართველომ გააუქმა რეგულაციე-

ბის უმეტესობა, ძირითადად თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადავიდა და შედეგებიც შთამბეჭდავია. მსოფლიო ბანკის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებული რეიტინგების თანახმად, ბიზნესის კეთების სიმარტივით, საქართველო მე-9 ადგილს იკავებს მსოფლიოს 185 ქვეყანას შორის, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 24 ქვეყანას შორის, ლიდერობს; ეკონომიკური თავისუფლების მსოფლიო ინდექსში 144 ქვეყნიდან საქართველო 42-ე ადგილზეა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონის მასშტაბით. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ 2012-2013 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ 144 ქვეყანას შორის 77-ე ადგილი დაიკავა, რაც წინა წელთან შედარებით 11 - საფეხურიანი გამარჯვებაა [6, გვ. 3].

რაც შეეხება ქვეყნის ავტარკიულ მდგომარეობას, თანამედროვე პირობებში ის შეიძლება გამოიწვიოს ან გარე ფაქტორებმა, როდესაც მის მიმართ იყენებენ ბლოკადას, სანქციებს და სხვას, ან თვით სახელმწიფოს ავტარკიულმა პოლიტიკამ. მაგალითად, ომისთვის მზადება მოითხოვს წინაღობების შექმნას სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის. გერმანიამ, გასული საუკუნის 30-იან წლებში ესწრაფვოდა რა აგრესიული ომების განხორციელებისთვის მატერიალური რესურსების დაგროვებას, თავისი ეკონომიკური პოლიტიკით ოფიციალურად გამოაცხადა ავტარკია. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ, სსრკ აღმოჩნდა იძულებითი ავტარკიის მდგომარეობაში, როდესაც ორიენტაცია მოახდინა ძირითადი სახეობის საქონლით თვითუზრუნველყოფაზე. ასეთ ვითარებაში ქვეყნის ეკონომიკური კავშირები სხვა ეროვნულ სახელმწიფოებთან მინიმალური იყო, ხოლო ყველა საერთაშორისო ეკონომიკური გარიგება ხორციელდებოდა მხოლოდ

სახელმწიფო საგარეო ეკონომიკური ორგანიზაციებით. სოციალისტური ბანაკის დარღვევის შემდეგ კი დახურული ტიპის ეკონომიკამ თავისი თავი არსებითად ამოწურა.

სახელმწიფოსთვის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს ძლიერი კორელაცია (ურთიერთდამოკიდებულება) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის. ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტების მიერ ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ იქ, სადაც ბოლო 25 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ჩაკეტილი ეკონომიკის (პროტექციონისტული) პოლიტიკა, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის საშუალოწლიურმა ზრდამ შეადგინა 0,7%, ხოლო იქ, სადაც ატარებდნენ ღია ეკონომიკის (ლიბერალურ) პოლიტიკას, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ გაიზარდა ხუთჯერ მეტად, ანუ 3,5%-ით [2, გვ. 635]

ღია ეროვნული ეკონომიკა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მაღალი ჩართულობის ხარისხით ხელს უწყობს: საერთაშორისო სპეციალიზაციის გაღრმავებას და წარმოების კოოპერირებას; რესურსების რაციონალურ განაწილებასა და ეფექტიანობის ამაღლებას; მსოფლიო გამოცდილების გავრცელებას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მეშვეობით; სამამულო მწარმოებლებს შორის კონკურენციის ზრდას, რომლის სტიმულირებას ახდენს მსოფლიო ბაზარზე კონკურენცია.

ეკონომიკის გახსნილობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების-თავისუფალი ვაჭრობის ღირსებებია: იგი ზღუდავს მონოპოლიას და ასტიმულირებს კონკურენციას; უცხოური ფირმებისაგან მზარდი კონკურენცია აიძულებს ადგილობრივ ფირმებს გადავიდნენ შედარებით დაბალხარჯიან საწარმოო ტექნოლოგიებზე; თავისუფალი ვაჭრობა მომხმარებლებს

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

შესაძლებლობას აძლევს გააკეთონ არჩევანი პროდუქციის შედარებით ფართო ასორტიმენტიდან; თავისუფალი ვაჭრობის წყალობით, რომელიც ემყარება ფარდობითი დანახარჯების პრინციპს, მსოფლიო ეკონომიკას შეუძლია მიადწიოს რესურსების შედარებით ეფექტიან გაადგილებას. მართლაც, თუ ყოველი ქვეყანა დასპეციალდება იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებით და ექსპორტით, რომელშიც მას აქვს აბსოლიტური ან შეფარდებითი უპირატესობა, ხოლო სხვა ქვეყნებიდან შემოიტანს საქონელს და მომსახურებას, რომლებშიც მისი უპირატესობა არც ისე დიდია ან არ არსებობს, მაშინ მსოფლიო წარმოება, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა და შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენება მიადწევენ მაქსიმუმს.

ღია ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ქვეყნის კეთილსახურველი საინვესტიციო გარემო, რომელიც ასტიმულირებს კაპიტალდაბანდების, ტექნოლოგიების, ინფორმაციის გონივრულ მოძინებას, რაც განპირობებულია ეკონომიკური მიზანშეწონილობითა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობით.

ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, თავისი წარმატება - წარმატებლობით, საბოლოო ანგარიშით, აისახება საგადასახდელო ბალანსში. აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში ქრონიკულად პასიურია და წელიწადში მინიმუმ 100 მლრდ დოლლარს შეადგენს. ეს დეფიციტი ძირითადად იფარება უცხოური კაპიტალის აქტიური შემოდინებით. რიგ ქვეყანას კი (გერმანია, იაპონია, შვეიცარია) საგადასახდელო ბალანსის სალდო დადებითი აქვს.

ღია ეკონომიკის ფორმებია (ტიპებია) დიდი და მცირე ღია ეკონომიკა. ”დიდი ღია ეკონომიკა” ეს ისეთი ეკონომიკაა, რომელშიც მისი მასშტაბების წყალობით, საპროცენტო განაკვეთი შიგა ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი

ზემოქმედებით ყალიბდება. სახელმწიფოები, სადაც ჩამოყალიბდა დიდი ღია ეკონომიკა (მაგ. აშშ, იაპონია, გერმანია), მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობასა და პროცენტის მსოფლიო განაკვეთის დონეზე. ეს იმიტომ, რომ მაგალითად, აშშ აწარმოებს მსოფლიო პროდუქციის დაახლოებით 20%-ს, ფლობს მსოფლიოს ოქროს მარაგის 25%-ს და დოლარის წილი შეადგენს სავალუტო ბაზრების ბრუნვის საერთო მოცულობის 50%-ს. (7.გვ.174).

„მცირე ღია ეკონომიკა“ კი არის ეკონომიკა, სადაც პროცენტის მსოფლიო განაკვეთი შემოთავაზებულია მსოფლიო ფინანსური ბაზრის პირობებით. ასეთი ქვეყანა ვერ ახდენს არსებით გავლენას მსოფლიო ბაზრის პროცესებსა და პროცენტის მსოფლიო განაკვეთის მოძრაობაზე [1.გვ.35]. საქართველოს ეკონომიკა თავისი სიმცირის გამო უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ბაზრებზე. ხაზს ვუსვამთ, რომ საქართველო არის მცირე ტერიტორიის, ეკონომიკური რესურსებისა და მოსახლეობის და არა პატარა ქვეყანა.

საქართველოში ღია ეკონომიკის ფორმირებისა და საბაზრო მოთხოვნის ზრდის ძირითადი მიმართულებებია: ექსპორტ-იმპორტი, ლიცენზირება, ფრანჩაიზინგი, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (კაპდაბანდება), ერთობლივი საწარმო და ტრანსეროვნული კორპორაცია, კონტრაქტული წარმოება, მმართველური კონტრაქტი და ობიექტის მშენებლობა და აღჭურვა გასაღების ჩაბარებით; შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს მონაწილეობის გაფართოება; კაპიტალაღჭურვილობის, პროდუქციის წარმოების ხარჯებისა და ხარისხის, ანუ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიხედვით, სამამულო წარმოების მსოფლიო დონეზე გასვლა; ქვეყა-

ნაში საბაზრო ინსტიტუტების, მექანიზმებისა და მთლიანად კონკურენტული გარემოს ფორმირების დაჩქარება, რომელიც ჯერ კიდევ სუსტია ან საერთოდ არ არსებობს.

ცალსახად კარგია თუ არა ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობა, ღიაობა? -

შევნიშნავთ, რომ ეკონომიკური კარგახსნილობა შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. ასე მაგალითად, საქართველოს **საგარეო ვაჭრობის დეფიციტი** დაახლოებით 5 მლრდ - ნახევარი დოლარია (იმპორტი სამნახევარჯერ აღემატება ექსპორტს). რომ არა ესოდენ დიდი უარყოფითი სავაჭრო სადღო, საქართველოს ორჯერ მეტი ბიუჯეტი ექნებოდა. საქმე ისაა, რომ **სავაჭრო დეფიციტი იფარება აღებული ვალით, რისი მომსახურებაც ბიუჯეტის ხარჯზე ხდება, რაც ზრდის მის დეფიციტს.** ამასთან, ქვეყანაში იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები. ექსპორტის სახით კი უპირატესად რესურსები გაედინება. როგორც ერთი, ისე მეორე ტენდენცია ქვეყანაში ახალი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების მულტიპლიკაციის (გამრავლების) შემაფერხებელია. მრავალი ჩვეულებრივი სამომხმარებლო საქონელიც კი გარედან შემოგვაქვს, მაშინ როდესაც მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ასე მაგალითად, 2008 წლის გამნმავლობაში 22 მლნ ლარის ღირებულების კარტოფილი, 19 მლნ-ის პომიდორი, 17 მლნ-ის ხახვია იმპორტირებული სხვადასხვა ქვეყნიდან. მხოლოდ ამ სამმა კულტურამ 70 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანად იმპორტირებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ კი-500 მლნ აშშ დოლარზე მეტი (რაც ჩვენი გათვლებით მინიმუმ 100 000 დასაქმებული ადამიანის ეკვივალენტია თუკი ამ რაოდენობის პროდუქციის წარმოება საქართველოში მოხდებოდა). სამწუხაროდ, დღესაც დაახლოებით იგივე ტენდენციაა. [7, გვ.51].

აღნიშნული ნეგატიური ტენდენციების აღმოფხვრა-მინიმიზებისათვის, ჩემი აზრით, საჭიროა:

—არა არასტაბილურობის სტაბილურობა (რასაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს აქვს ადგილი), ან არა უბრალოდ მდგრადი, არამედ პროგნოზირებადი სტაბილურობა. ამ უკანასკნელის გარეშე ინვესტიციებზე საერთოდ და, მით უფრო, გრძელვადიან უცხოურ ინვესტიციებზე და მის თანმდევ დადებით ეფექტებზე (ახალი საქონელი და ბაზარი, ახალი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, კონკურენციის ახალი სტანდარტები, შრომის ახალი კულტურა, მოწინავე ტექნიკა-ტექნოლოგია, მენეჯმენტი, მარკეტინგი, აღრიცხვის ახალი სტანდარტები და სხვა), ლაპარაკიც კი ზედმეტია;

—არამხოლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სატრანზიტო ფუნქციაზე, გარედან მიღებულ შემოსავლებსა და იმპორტზე ორიენტაცია, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებსა და მსოფლიო ეკონომიკასთან სულ უფრო სრული, ფართო და ორმხრივი ინტეგრაცია (მხედველობაში გვაქვს იმპორტთან ერთად ექსპორტის ზრდა, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია და დივერსიფიკაცია!). უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციისაკენ მიმავალი გზა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გადის!

—ინტეგრაციის გაფართოება-გადრმავეების მიზნით ეროვნული მეურნეობის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება). მოდერნიზაცია გულისხმობს პოსტ-საბჭოური ეროვნული ეკონომიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად განახლებას, ანუ მის გათანამედროვეობას. ეს მოითხოვს ჰიდროენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის და ტურისტული პო-

ტენციალის სულ უფრო სრულ და ეფექტიან რეალიზაციას. მნიშვნელოვანია ფასი, ხარისხი, ღირსის ბუნებრივი კურსი და სტაბილური მიწოდება. ციტრუსების, ხილისა და სხვათა მიწოდების სტაბილურობა და ხარისხი კი შეუძლებელია მიღწეული იქნეს სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობის გარეშე, ე. ი. აუცილებელია ამ სფეროებში ინვესტიციების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება;

– მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია, თავის მხრივ, მოითხოვს ინფრასტრუქტურის სხვადასხვა კომპონენტის განვითარებას. საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია შეუძლებელია ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების, საავტომობილო ტრასებისა და რკინიგზის, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების მშენებლობის გარეშე;

– ქვეყნის წარმატების საწინდარია ადამიანი, რომლის “ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია”. სწორედ ამიტომ, საქარველომ უნდა დაიცვას და განავითაროს თავისი ადამიან-კაპიტალი. ამისათვის მნიშვნელოვანია მეტი ინვესტიციები განათლებასა და ჯანდაცვაში, რამეთუ ქვეყანას იაფი და უხარისხო ცოდნა უფრო მეტი უჯდება, ვიდრე ძვირი, მაგრამ ხარისხიანი ცოდნა;

– სამუშაო ძალის ჰორიზონტალური მობილობის მიზნით განათლების უწყვეტი სისტემის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების კურსების დანერგვა, რამეთუ სათანადო ცოდნის, გამოცდილების, უნარჩვევებისა და მუდმივი განახლების უნარის მქონე ადამიანების გარეშე არაერთარი კონკურენტუნარიანი რესურსი არ არსებობს;

– საჭიროა, ასევე, საკუთარი ადამიან-კაპიტალის დაცვა-შენარჩუნება ე.წ. “ტვინების გადინებისაგან” და მისი განვითარება. აქტუალურია მაღალკვალიფიციურ და მაღალა-

ნაზღაურებად შრომაზე დამყარებული ინოვაციური ეკონომიკის შექმნა, ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდა, საზღვარგარეთ მოგზაურობა, მრავალი ქვეყნის გაცნობა და თანამედროვე განათლების მიღება;

–ღია ეკონომიკის ადეკვატური პროფესიული უზრუნველყოფა. ღია ეკონომიკა, არსებითად, ეს არის ინგლისურენოვანი ეკონომიკა. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ბიზნესის სპეციალისტს მოეთხოვება ინგლისური ენის ჯეროვანი ცოდნა. ამას გარდა, საერთაშორისო ბიზნესის თავისებურებების გაგებისთვის სტუდენტმა სასწავლო დროის რაღაც ნაწილი (ერთი-ორი სემესტრი მაინც) უნდა გაიაროს საზღვარგარეთ. საერთაშორისო ბიზნესის სპეციალისტმა, ასევე უნდა იცოდეს ბიზნესის წარმოების ქართული თეორია და პრაქტიკა. ე.ი. საერთაშორისო ბიზნესის სპეციალისტი ერთდროულად უნდა იყოს ეროვნულიც და გლობალურიც. ამასთან, ეს მოდელი უნდა განხორციელდეს როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში;

–სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება - განვითარება. კერძოდ, კანონის უზენაესობა, რომელიც საიმედოთ დაიცავს კერძო საკუთრებას. მნიშვნელოვანია ხელისუფლების შტოების ურთიერთშეკავებისა და წონასწორობის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია ყველა დონის ჩინოვნიკებზე კონტროლისათვის. სტაბილური და პროგნოზირებადი კანონმდებლობისა და ინვესტიციური რეჟიმის გარეშე შეუძლებელია კაპიტალის და “ნოუ-ჰაუს” მოზიდვა, საქართველოს მოსახლეობისა და მისი ბუნებრივი რესურსების მთელი პოტენციალის რეალიზება და ჯანსაღი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.

ცხადია, ამგვარი ინსტიტუტების ჩამოყალიბება იოლი საქმე არ არის. ამისათვის საჭიროა დრო და დიდი ძალისხმევა. ამ გზაზე იქნება გარკვეული წარუმატებლობაც.

===== ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

აშშ-იც ბევრი იყო ამგვარი წარუმატებლობა. მაგალითად, დიდმა დეპრესიამ გამოავლინა მრავალი ნაკლოვანება ამერიკულ ეკონომიკაში, სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებში. საჭირო გახდა რუხვევების გენია, რათა გადაჭრილიყო ეს გიგანტური პრობლემები ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების გატარება ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკის მომავლის ფორმირებასა და მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციაზე.

The main directions of Georgia's integration into the world economy

U. Samadashvili

The present study aims to clarify the substance and forms of economic openness and discusses Georgia's, as a small economy's, integration into the world economy, ways and directions. According to the author, for Georgia's sustainable economic growth and integration into the world economy, it is necessary to: implement modernization of the national economy, which in turn requires a significant investment in infrastructure; protection and development of human capital; ensuring open economy adequately and professionally; formation and development of governmental economic and political institutions, restoration of Georgia's territorial integrity, etc.

1.Амосова В.В., Давыдова И.В. Открытая экономика и проблемы ее регулирования: Учебное пособие. М., 2006г. ;

2.Экономика. Под редакцией профессора А.С. Булатова. М., 2005г.;

3. *Экономика. Толковый словарь.* — М.: «ИНФРА-М», Издательство «Весь Мир». Дж. Блэк. Общая редакция: д.э.н. Осадчая И.М., М., 2000. ;

4. *Райзберг Б.А., Лозовский Л.Ш., Стародубцева Е.Б.. Современный экономический словарь.* — 2-е изд., испр. М.: ИНФРА-М. ;

5. Russia's Economy and Prospects for US-Russian Economic Relations. 23.10. 2007.;

6. რიჩარდ ვ. რანი. ბათუმის „სასწაული“. The washington times.20 მარტი, 2012 წ.;

7.უშანგი სამაღაშვილი, მარინა გედევანიშვილი. საერთაშორისო ბიზნესი, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა. თბ., 2012წ.

**კონკურენტუნარიანობისა და
სტრატეგიის ურთიერთკავშირის
საკითხები**

გიორგი ღაღანიკა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი**

საქართველოს წინაშე მდგომი უამრავი მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემიდან, რთულია ერთი რომელიმეს გამოყოფა. ხშირად ერთი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა ცხადდებოდა ყველა სხვა პრობლემის გადაწყვეტის უნივერსალურ მექანიზმად. მაგალითად, უახლოეს წარსულში მიჩნეული იყო, რომ ეკონომიკური ზრდა ავტომატურად გადაწყვეტს ყველა სხვა პრობლემას. აღნიშნულმა მიდგომამ არა, თუ ვერ გადაწყვიტა დასაქმების პრობლემა, არამედ, ხშირ შემთხვევაში გააუარესა სიტუაცია. საბოლოო ანგარიშით, როგორც ამას ამტკიცებს მსოფლიო გამოცდილება, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებლურობის ზრდას, რაც განაპირობებს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. კონკურენტუნარიანობა აღარ განიხილება ერთი საწარმოს ან დარგის დონეზე, პირიქით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კვლევას. ამ მიზნით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშებს, ასევე შექმნილია კვლევითი ცენტრები, რომლებიც იკვლევს კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ასპექტებს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობისადმი ასეთი დიდი ინტერესი მარტივად აიხსნება პრაგმატული მოსაზრებებით. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ძალიან მნიშვნელოვანია პოტენციური ინვესტორისათვის, ვინაიდან მხოლოდ დაცულობა

და ბიზნესის წარმოების სიმარტივე ვერ განაპირობებს ინვესტიციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ინვესტიციების დაცულობა და ბიზნესის წარმოების სიმარტივე უნდა განვიხილოთ, როგორც საბაზისო ფაქტორები, ხოლო ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც ფაქტორი რომელიც განაპირობებს ინვესტიციის დაბრუნებადობისა და მომგებიანობის მაჩვენებლებს. ცალსახაა, რომ წარმატებული სტრატეგია არ შეიძლება არ დაეფუძნოს კონკურენტუნარიანობას. ამ შემთხვევაში კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს რეალიზებულ უპირატესობას, შექმნილ და კონკრეტულ ბაზარზე დაშვებულ საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც გააჩნია საფასო, ხარისხობრივი, საფასო-ხარისხობრივი თანადობის, მიწოდების, მომსახურების ვადის და ფორმის ან ნებისმიერი სხვა უპირატესობა, რომელიც აღიქმება მომხმარებლის მიერ და ამდენად უზრუნველყოფს ამ პროდუქტის ან მომსახურების წარმატებულ რეალიზაციას.

ამდენად, როდესაც ვმსჯელობთ, გარკვეული პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაციის ზრდაზე, ეს შეუძლებელია თუ არ არსებობს რეალური კონკურენტუნარიანობა, რომელიც უნდა გახდეს ამ პროდუქციის ან მომსახურების წარმატებული რეალიზაციის საფუძველი. კონკურენტუნარიანობაში უნდა გამოიყოს რამდენიმე ასპექტი, კერძოდ: კონკურენტუნარიანობა, რომელიც გამოვლენილია და დადასტურებულია; კონკურენტუნარიანობა, რომელიც პოტენციურად არსებობს, თუმცა, მისი რეალიზაცია შესაძლებელია სხვა ფაქტორების მეშვეობით; კონკურენტუნარიანობა, რომელიც შექმნილია ხელოვნურად, ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილების საფუძველზე; კონკურენტუნარიანობა, რომელიც ეფუძნება ცალკეული სპეციფიკური ფაქტორის არსებობას. განვიხილოთ თითოეული ეს ფაქტორი. არსებული კონკურენტუნარიანობა საკმაოდ კარგად ცნობილი ფენომენია და ეფუძნება ქვეყნის აბსოლუტურ ან ფარდო-

ბით უპირატესობას საგარეო ვაჭრობაში. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი ამ კონკურენტუნარიანობის საზომად იყენებს გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობის ან ლაფაიეს ინდექსებს [3]. ანალოგიურ დამოკიდებულებას ავლენს კონკურენტული უპირატესობისა და სტრატეგიის კვლევის ცენტრი, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტში არსებობს. გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა ესაა უპირატესობა, რომელიც გვაქვს დღეს. გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა ეფუძნება ერთი გარკვეული საქონლური ჯგუფის ან მომსახურების საექსპორტო მოცულობას და ქვეყნის მიერ დაკავებულ ადგილს მსოფლიოში ამ საქონლის ან მომსახურების ექსპორტიორ ქვეყნებს შორის. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტუნარიანობის შეფასება ეფუძნება კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკისა და მასში ექსპორტის წილის სხვადასხვა ასპექტის შეფასებას.

განვიხილოთ გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა საქართველოსათვის (იხ. ცხრილი 1)

საქართველოს გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა 2010 წლისათვის [1].

ცხრილი 1

წლები	ათასი აშშ დოლარი	ადგილი მსოფლიოში
ლოგისტიკური და სატრანსპორტო მომსახურება	695,11	71
ტურიზმის მომსახურება	672,92	83
აგროპროდუქტები	281,37	93
მეტალები და მომპოვებელი მრეწველობა	565,59	75
საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი ლითონები	93,04	82

ბიორგი ღაღანიძე

ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ისეთი სპეციფიკური მაჩვენებლები, როგორცაა: ექსპორტის წილი მთლიან შიგა პროდუქტში, ექსპორტის სტრუქტურა და ა.შ. აღნიშნული მაჩვენებლები მოტანილია ცხრილ 2-ში.

ექსპორტის წილი მთლიან შიგა პროდუქტში [1,2,3].

ცხრილი 2

ქვეყანა	რესურსების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში	რესურსების ექსპორტის წილი მშპ-ში	საბოლოო პროდუქციისა და დამამუშავებელი მრეწველობის წილი მთლიან ექსპორტში	საბოლოო პროდუქციისა და დამამუშავებელი მრეწველობის წილი მშპ-ში	ექსპორტის წილი მშპ-ში
საქართველო	23,40%	2,57%	0,21%	0,05%	10,99%
სომხეთი	29,91%	2,71%	0,13%	0,02%	9,05%
აზერბაიჯანი	89,18%	34,88%	0,08%	0,04%	39,11%
ირლანდია	4,47%	2,39%	0,61%	0,61%	53,54%
ხორვატია	9,67%	1,87%	1,86%	0,70%	19,37%
მაკედონია	16,93%	5,80%	1,12%	0,49%	34,23%

მოყვანილი მაჩვენებლების ანალიზი ცალსახად მიანიშნებს, რომ საქართველომ მკვეთრად უნდა გაზარდოს ექსპორტის წილი მშპ-ში და როგორც რესურსულად ღარიბი ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი, ამის მიღწევის გზაა დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა. ამის ნათელი დადასტურებაა ხორვატიისა და მაკედონიის მაგალითები.

პოტენციურად არსებული კონკურენტუნარიანობა ეფუძნება რაიმე რესურსის (შრომითი რესურსების ჩათვლით), სატრანსპორტო სისტემების ან სხვა რაიმეს ფარდობით

უპირატესობას რომელიმე საქონლის ან მომსახურების წარმოებაში. მაგალითად, საქართველოში არსებობს მანგანუმი, რაც პოტენციურად იძლევა შესაძლებლობას გექონდეს უპირატესობა სადენების ან ბატარეების წარმოებაში. ამ პოტენციის რეალიზაცია სხვა ფაქტორების გარეშე შეუძლებელია და ამდენად თუ აირჩევა სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება ამ პოტენციურ უპირატესობას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვა დანარჩენი ფაქტორები და პირობები.

კონკურენტუნარიანობა შექმნილი ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილებებით, ესაა ცალკეული საკანონმდებლო აქტების მიღების საფუძველზე შექმნილი კონკურენტუნარიანობა. მაგალითად, მოგების გადასახადის შემცირება, თავისუფალი სავაჭრო ან ამწყობი ზონების ფორმირება, ქვეყანაში მიღებული მოგების საზღვარგარეთ გატანის შეზღუდვების არ არსებობა. ნებელობითი გადაწყვეტილებები, რასაკვირველია, ქმნის გარკვეულ უპირატესობას, მაგრამ ძალიან მარტივია მათი კოპირება. ამდენად, მხოლოდ ამ გადაწყვეტილებების ხარჯზე სტაბილური კონკურენტული უპირატესობის მიღწევა საკმაოდ რთულია. ასევე, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ნებელობითი გადაწყვეტილებების შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი. ამ ფაქტორის მიხედვით პოტენციური ინვესტორებისაგან ქვეყნის, როგორც სტაბილური პარტნიორობის აღქმა რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ყალიბდება.

სპეციფიკურს მიეკუთვნება, ფაქტორები რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში წარმოიქმნა და მათი უსასრულოდ არსებობა გამორიცხულია. საქართველოსათვის ასეთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ მისი უნიკალური საგარეო-სავაჭრო მდგომარეობა. სამხრეთ კავკასიაში საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც

ბიორგი ღაღანიძე

სრულფასოვნად ვაჭრობს ყველა თავის სახმელეთო მეზობელთან. რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს გამონაკლისს და ეს ფაქტორიც მთლიანად განპირობებულია რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.

ამდენად, სტრატეგიის ფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ კონკურენტუნარიანობის რომელ ფაქტორებს ვეფუძნებით და რა წარმოადგენს პოტენციური ინვესტირებისათვის რეალურად მნიშვნელოვან ფაქტორებს. აუცილებელია სრატეგია ასევე ეყრდნობოდეს სხვა ფაქტორებს, რაც როგორც მინიმუმი, ხელს არ უშლის ძირითადი კონკურენტუნარიანობის ფაქტორის რეალიზაციას. ამდენად, ბიზნეს სტრატეგიების ერთ თუ ვიმსჯელებთ სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ პოზიციას, ანუ ძირითადი ფაქტორი გამყარებული უნდა იყოს სხვა ფაქტორების მეშვეობით.

სტრატეგიის შერჩევისას ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლო განვითარების სცენარების ზუსტი განჭვრეტა. XX საუკუნის ბოლოს, ალბათ, ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დაწყებული დეინდუსტრიალიზაციის პროცესი, ძალიან მალე შეიცვლებოდა რეინდუსტრიალიზაციით. ეს ტენდენცია უკვე აშკარად გამოკვეთილია და მის წარმატებას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორი, როგორცაა დამატებითი სამუშაო ადგილების ფორმირება. თუ XX საუკუნის ბოლოს დეინდუსტრიალიზაცია წარმოქმნიდა სამუშაო ადგილებს მომსახურების სექტორში და ამდენად დაკარგული სამუშაო ადგილები კომპენსირდებოდა, რეინდუსტრიალიზაცია წარმოშობს რა სამუშაო ადგილებს წარმოების სფეროში, ამავედროულად მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს ახალი სამუშაო ადგილების ფორმირე-

ბას მომსახურების სფეროში.

საქართველოს კონკურენტული უპირატესობები, რასაკვირველია, ქმნის ახალი სამუშაო ადგილების ფორმირების გარკვეულ შესაძლებლობას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურების განვითარება საკმაოდ პერსპექტიულია, მაგრამ ამ სფეროს ახასიათებს მაღალი კაპიტალური დანახარჯები ტექნოლოგიებში, რის გამოც შედარებით დაბალია ახალი სამუშაო ადგილების ფორმირების პოტენციალი. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, მნიშვნელოვანი რაოდენობის სამუშაო ადგილები შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ხარჯზე. ვინაიდან, მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, ევექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დროს მასში დასაქმებულია მთელი დასაქმებულების 7-12%. ამდენად, საქართველომ უნდა ეძებოს ისეთი გზები, რაც ემყარება რეალურ კონკურენტუნარიანობას და ამავდროულად, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. დღეისათვის სამრეწველო წარმოებაში ინოვაციურობა კონკურენტული უპირატესობის მიღწევის რეალური შესაძლებლობაა. სამწუხაროდ, ქართულ საწარმოებში ინოვაციურობა ძალიან დაბალია. კონკრეტული სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება ინოვაციურობის ზრდაზე, არ მოიტანს შედეგებს მოკლე (3-5-წლიანი) პერიოდში. ამდენად, მოსაძებნია ის ველები, სადაც ინოვაციურობა არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ ასპექტს. ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო იქნება საქართველოს სამშენებლო მასალების, კერძოდ კი, ბუნებრივი ქვების და ინოვაციური დიზაინის შერწყმის საფუძველზე კონკურენტუნარიანი კლასტერის ფორმირება. კლასტერში თავმოყრილი იქნება ბუნებრივი ქვების მოპოვება, დამუშავება, დიზაინი და მისი რეალიზაცია.

ცხადია, ეს პროდუქცია ვერ იქნება ორიენტირებული დიდ მასშტაბებზე, მაგრამ სწორედ ამით ყალიბდება ვიწრო სემენტზე მუშაობის თავისებურება და უპირატესობა, სადაც პროდუქციის ფასსა და დანახარჯებს შორის არაა პირდაპირი კავშირი, მაღალია ხელით შრომის ხვედრითი წონა და ამდენად იქმნება დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილები. სწორედ ასეთი კლასტერების ფორმირებაზე უნდა იყოს ორიენტირებული სახელმწიფოს ხელშემწყობი პოლიტიკა, ხოლო კონკრეტული სტრატეგიები დაეფუძნება ცალკეული კლასტერის კონკურენტუნარიანობას. კონკურენტუნარიანი კლასტერების შექმნა და შესწავლა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ასე, მაგალითად, სტოკჰოლმის კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრი ცალკეული ქვეყნების მიხედვით სწავლობს თითოეულ კლასტერს და ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს. სამწუხაროდ, საქართველოში არ ხდება არც საერთაშორისო და არც ადგილობრივ დონეზე, ასეთი სამუშაოების წახალისება და ამდენად საკითხები ცალკეული მკვლევარების დონეზე დადის.

რა შეიძლება გახდეს ძირითად სტრატეგიებად ქართული ექსპორტორიენტირებული კომპანიებისათვის? ალბათ, შეუძლებელია ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ ერთმნიშვნელოვნად და მოვიცვათ ყველა დარგი, სექტორი ან კლასტერი. თუმცა, რასაკვირველია, არსებობს, გარკვეული საერთო პოზიციები. კერძოდ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიამ აჩვენა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია იაფი პროდუქციის წარმოება, გარდა ამისა, ძალიან რთულია ცალკეული დასახელების პროდუქციის დიდი ოდენობით წარმოება. შესაბამისად, ყველაზე სწორ სტრატეგიად რჩება გარკვეულ საბაზრო სემენტებზე მოვახდინოთ ფოკუსირება და გამოშვებულ იქნეს გან-

სხვაგვებულ ხარისხობრივი პარამეტრების პროდუქცია. ბაზრის ვიწრო სეგმენტზე მუშაობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. საბაზრო სეგმენტებზე საბაზრო მოთხოვნა შეზღუდულია, მომხმარებლები ითხოვენ ძალიან სპეციფიური პარამეტრების მქონე პროდუქციის გამოშვებას, აქცენტი კეთდება ცალკეულ დეტალზე. ამავდროულად ვიწრო სეგმენტზე მუშაობა ნიშნავს, რომ პრაქტიკულად იცი ყველა ძირითადი კონკურენტი, ზუსტად შეგიძლია განსაზღვრო მოთხოვნის მოცულობა, გამოიყენო არასაფასო კონკურენციის მეთოდები. ასევე აღსანიშნავია, რომ ვიწრო სეგმენტზე მუშაობა აქცენტირებას ახდენს პროდუქციის ხარისხზე და ამდენად საშუალებას აძლევს მწარმოებლებს მიიღონ გაცილებით უფრო მაღალი მოგება, ვიდრე ჩვეულებრივი პროდუქციის შემთხვევაში. ხელით შრომის მაღალი ხვედრითი წონა ქმნის დამატებით სტიმულებს ახალი სამუშაო ადგილების ფორმირებისათვის. ცხადია, ეს თეორიული მსჯელობა უნდა განმტკიცდეს გარკვეული პრაქტიკული ქმედებებით. კერძოდ, უნდა შეიქმნას კონკურენტული კლასტერების ფორმირების ხელშემწყობი გარემო. ცხადია, მიზანშეწონილი არ იქნება სახელმწიფომ თვითონ განსაზღვროს თუ რა კლასტერები შეიქმნას, არამედ უნდა შეიქმნას საერთო ხელშემწყობი პირობები - რა ფორმებით და როგორ უნდა მოხდეს ამ კონკურენტული კლასტერების ფორმირება. განვიხილოთ ორი შესაძლო მიმართულება, რაც ურთიერთს კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, შეიძლება გარკვეული ზომით ხელსაც შეუწყობს ერთმანეთის განვითარებას.

კონკურენტული კლასტერების ფორმირების ერთ მიმართულებად შესაძლებელია განვიხილოთ საექსპორტო ალიანსების შექმნა. ამ შემთხვევაში საექსპორტო ალიანსი შეიქმნება დივერსიფიცირებული კომპანიების მიერ, რომ-

გიორგი ჯალანია

ლებიც ერთმანეთის პროდუქციის მომხმარებლებია. უმარტივესი მაგალითია ხილის წვენის წარმოება, ჩამოსხმა, რეალიზაცია. საექსპორტო ალიანსში გაერთიანებული კომპანიები ადვილად შეძლებენ დაგეგმონ თითოეულისათვის წარმოების ოპტიმალური მოცულობა, მაქსიმალურად შეათანხმონ წარმოების გრაფიკები, გამოიყენონ უკვე არსებული საკუთარი სატრანსპორტო არხები, რესურსების გაზიარების საფუძველზე მიაღწიონ ეკონომიას და ა.შ. საექსპორტო ალიანსებს უნდა განესაზღვროთ რამდენიმე შეღავათი, კერძოდ: საექსპორტო ალიანსში შემავალი კომპანიები მათ მიერ ალიანსის წევრებისათვის მიწოდებული პროდუქციის პროპორციულად მიიღებენ მოგების რეგრესიული დაბეგვრის მოდელს, ანუ თუ ალიანსში შემავალი ერთ-ერთი კომპანიის მიერ ალიანსის სხვა წევრებისათვის მიწოდებული პროდუქცია წარმოადგენს კომპანიის მიერ მთლიანად გამოშვებული პროდუქციის 40%-ს, მაშინ კომპანიის მოგების 40% დაიბეგრება რეგრესიული მეთოდით ან ამავე მეთოდით დაიბეგრება ალიანსის სხვა წევრებისათვის მიწოდებული პროდუქციის მოცულობაზე მიღებული მოგება. ასევე უნდა იქნეს განხილული საექსპორტო ალიანსების მაქსიმალური ხელშეწყობა ისეთი აქტივობებით, როგორცაა საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის მიწოდება, სავაჭრო მისიების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში ქართული კომპანიების მონაწილეობის თანადაფინანსება. ეს პრაქტიკული სამუშაოები, ცხადია, მოიტანს შედეგს მხოლოდ იმ პირობების დაცვით, რომ განხორციელებული სტრატეგია ეფუძნება რეალურ კონკურენტუნარიანობას.

მეორე ვარიანტი ითვალისწინებს გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში კონკურენტული კლასტერის ფორმირებას.

ასეთ მაგალითად, შეიძლება მივიჩნიოთ ფოთის ინდუსტრიული ზონისა და საერთაშორისო სასაწყობო რეჟიმის ფორმირება. ამ გადაწყვეტილებას შეიძლება თამამად ვუწოდოთ ნებელობით აქტზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანობა, თუმცა, რეალური კონკურენტული უპირატესობის გარეშე ამ კონკურენტული კლასტერის ფორმირება არ განხორციელდა.

ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საქართველომ არა მხოლოდ იმსჯელოს სხვადასხვა რეიტინგში მიღებულ კონკურენტუნარიანობის შეფასებებზე, არამედ გადადგას რეალური ნაბიჯები კონკურენტუნარიანობის შესწავლის, მისი ამდლების კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაში. საყოველთაოდ ცნობილია ირლანდიის რესპუბლიკის წარმატებები ექსპორტის ზრდაში, ტერმინიც კი გაჩნდა - “კელტური ვეფხვი”. ძალიან დიდი წვლილი ამ წარმატებაში შეიტანა ირლანდიაში მოქმედმა კონკურენტუნარიანობის ეროვნულმა საბჭომ, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს თავის მოხსენებას. ამ მოხსენების მიმართ ძალიან მაღალია ნდობა, როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესსექტორში. ფაქტობრივად, ეს მოხსენება აყალიბებს სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობაში ყოველწლიურ პრიორიტეტებს. ამ მიმართულებით საქართველოშიც უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად ვიმსჯელებთ დაბალ კონკურენტუნარიანობაზე. გამოყენებული სტრატეგიების დაბალ ეფექტიანობაზე და ხელშესახები რეზულტატი ეკონომიკური ზრდის სახით არ გვექნება.

Competitiveness and strategy interdependence

G. Gaganidze

In the scientific article the Author analyzes the competitiveness of Georgia and its relations with different strategies. Competitiveness is analyzed through different dimensions and methods. The author reviews the ways for formation special clusters with high competitiveness and different strategies to create such clusters.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰარვარდის უნივერსიტეტის სტრატეგიის და კონკურენტუნარიანობის კვლევის ინსტიტუტი, <http://data.isc.hbs.edu/iccp/>
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია, <http://www.geostat.ge>
3. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, ITC, www.intracen.org

**ვალუტის ბაცვლითი კურსის რეჟიმები
და მათი გავლენა მაკროეკონომიკურ
სტაბილურობაზე**

ნაზირა კაკულია

**თეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

1970–იან წლებში, ბრეტონ-ვუდსის სისტემის გაუქმების შემდეგ, გამოიყენება მოქნილი სავალუტო კურსის მექანიზმი. თუმცა, ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემები, რომლებშიც სავალუტო კურსები ოფიციალურად დგინდება საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით და დღემდე გამოიყენება მრავალ ქვეყანაში. საინტერესოა იმის გაანალიზება, თუ როგორ ზემოქმედებს ფიქსირებული და მცურავი სავალუტო კურსების სისტემა მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე და რომელი სისტემაა, საბოლოო ანგარიშით, უკეთესი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის.

ინტერესმოკლებული არ იქნება თვალი გადავაგლოთ რა გზა გაიარა ფინანსურმა სისტემამ თანამედროვე მცურავი სავალუტო კურსების შემოღებამდე: ისტორიული განვითარების კვალდაკვალ, სასაქონლო მასის ზრდასთან ერთად, ოქროსგან ფულის შექმნა და ამ გზით ფულადი მასის მოცულობის ფორმირება, რბილად რომ ვთქვათ, უსარგებლო გახდა. ფულის წარმოება დაიწყო იაფფასიანი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ლითონისაგან. ამდენად, დღის წესრიგში დადგა ასეთი ვალუტის კურსების განსაზღვრის საკითხი. ამისათვის შემოღებულ იქნა ოქროს სტანდარტი. პირველი საერთაშორისო შეთანხმება მოიცავდა ვალუტის გაცვლითი ოპერაციების რეგულირებას. ზემოხსენებული სისტემა სათავეს

1819 წლიდან იღებს.¹

აღნიშნული შეთანხმების მონაწილე ქვეყნები, ვალდებულებას იღებდნენ თავისი ვალუტით დაეფიქსირებინათ ოქროს განსაზღვრული შემცველობა. მიუხედავად კრიზისებისა, რომელიც დროდადრო იწვევდა ვალუტის გაცვლითი კურსის რყევებს, ასეთმა სტანდარტმა პირველ მსოფლიო ომამდე იარსება.

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის ვალუტის გაცვლის ოპერაციების მარეგულირებელი არანაირი სისტემა არ არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1930 წელს ქ. ბაზელში დაფუძნდა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი. იგი შეიქმნა ახალგაზრდა სახელმწიფოებისა და იმ სახელმწიფოების მხარდასაჭერად, რომლებიც განიცდიდნენ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს [2, გვ.440].

ამის შემდეგ მსოფლიო ფინანსური წესრიგის ფორმირების მცდელობას წარმოადგენდა სისტემის შექმნა, რომელიც ცნობილია ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებად. 1944 წელს აშშ-მა მოიწვია ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა სრულიად ახალი წესრიგი, რომლისგანაც დასაწყისს ღებულობს მსოფლიო ფინანსური სისტემის ფუნქციონირება. ახლადშექმნილი სისტემა გულისხმობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველობას საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში, ადგენდა ვალუტის მსოფლიო რეზერვებს – დე-იურე ამერიკულ დოლლარს და დე-ფაქტო - ფუნტ სტერლინგს. ასევე

¹ 1819 წელი ითვლება ოქროს სტანდარტის შემოღების პერიოდად, როდესაც ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო კანონი ოქროს სტანდარტის აღდგენის შესახებ, რომელიც ინგლისის ბანკს ავალდებულებდა აღედგინა ქალაქის ბანკნოტების გადაცვლა ოქროზე ფიქსირებული კურსის მიხედვით. ამ პოლიტიკის განხორციელება ფაქტობრივად დაიწყო 1821 წელს, ხოლო ოფიციალური საერთაშორისო აღიარება მიიღო პარიზის კონფერენციაზე 1867 წელს. დაწყებული 1870 წლიდან, ეს სისტემა გავრცელდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეს განპირობებული იყო დიდი ბრიტანეთის როლით, რომელიც ამ პერიოდისთვის მსოფლიო ლიდერი ხდება წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში, ხოლო ლონდონი – მსოფლიო ფინანსური ცენტრი. ერთ დოლარის ოქროს შემცველობამ XX საუკუნის ბოლოს შეადგინა 0,04837 უნცია, ხოლო ერთ ფუნტ სტერლინგში - 0,2354 უნცია [3, გვ.18].

დაწესებულ იქნა ვალუტის პარიტეტები. ყველა ისინი მიბმულ იქნა დოლართან. თვით დოლარი კი მიება უნცია ოქროს¹.

1964 წელს, იაპონიისა და სხვა მსოფლიო ქვეყნების ვალუტების კონვერტირებასთან დაკავშირებით, ნათელი გახდა, რომ აშშ ვერ შეძლებდა შეენარჩუნებინა უნცია ოქროს ღირებულება დოლარებში. დაიწყო ინფლაციური პროსესები აშშ-ში. ადმინისტრაცია ცდილობდა გამკლავებოდა ამ მოვლენას, მაგრამ უშედეგოდ. აშშ-ის საგარეო ვალი სულ უფრო იზრდებოდა, რის შედეგადაც 1970 წელს დაიწყო დოლარის უმძიმესი კრიზისი, რომელიც საპროცენტო განაკვეთების შემცირებას მოჰყვა. კაპიტალმა დაიწყო ევროპაში გადინება (სადაც საპროცენტო განაკვეთები მაღალი იყო). 1971 წელს საგადასახდელო ბალანსი განიცდიდა მწვავე დეფიციტს. იმ პერიოდის აშშ-ის პეზიდენტი ნიქსონი გადაწყვეტილებას ებეზულობს შეაჩეროს დოლარების თავისუფალი კონვერტაცია ოქროში. ვაშინგტონი აკეთებს ყველაფერს, რომ გადაარჩინოს ბრეტონ-ვუდსის სისტემა [2, გვ. 444]. იგი მიმართავს ინტერვენციასაც - 5 მლრდ დოლარის ოდენობით, მაგრამ ვერც ეს შევლის არსებულ სიტუაციას და დოლარი 10%-იან დევალვაციას განიცდის. განვითარებული ქვეყნების ვალუტა გადადის მცურავ კურსზე.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის დასასრულად 1973 წელი ითვლება. უკვე 1976 წელს იამაიკის კონფერენციაზე შეიქმნა ახალი სისტემა – მცურავი სავალუტო სისტემა, რომელსაც უნდა მოწესრიგება საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები.

მოქნილი სავალუტო სისტემის საპირისპიროდ, სადაც ვალუტის კურსი მასზე მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით განისაზღვრება, ფიქსირებული სავალუტო კურსების დროს ნომინალური კურსის სიდიდე ოფიციალურად დგინდება მთავრობის მიერ (შესაძლებელია სხვა ქვეყნებთან კონსულტაციისა და შეთანხმებების შედეგად, ასევე, ზოგიერთ სისტემაში სავალუტო კურსს შეუძლია მერყეობა წინასწარ განსაზღვრულ ვიწრო ფარგლებში).

¹ დოლარს უნდა შეენარჩუნებინა უცვლელი ფასი: 35 დოლარი ერთ უნციაზე [3, გვ. 25].

ფიქსირებული სავალუტო კურსების ძირითადი პრობლემაა ის, რომ მთავრობის მიერ დადგენილი სავალუტო კურსი შეიძლება განსხვავდებოდეს მოთხოვნა-მიწოდების შედეგად განსაზღვრული კურსისაგან. როდესაც ოფიციალური სავალუტო კურსი უფრო მაღალია, ვიდრე მისი წონასწორული მნიშვნელობა, ანუ ის მნიშვნელობა, რომელიც თავისუფალი საბაზრო ძალების სახელმწიფოს ჩარევის გარეშე დგინდება. ასეთ შემთხვევაში ოფიციალურ კურსს “აწეული” “ზედმეტად შეფასებული” (Overvalued exchange rate) ეწოდება[5, გვ.410]. ეს წონასწორულზე მაღალი ფასია.

არსებობს რამდენიმე შესაძლო ტენდენცია, როდესაც ოფიციალური სავალუტო კურსი განსხვავდება წონასწორული კურსისაგან:

პირველ რიგში, ქვეყანას შეუძლია უბრალოდ შეცვალოს თავისი ვალუტის ოფიციალური კურსი ისე, რომ ის იყოს წონასწორულთან ახლოს. მაგალითისთვის, ქვეყანას შეუძლია უბრალოდ მოახდინოს დევალვაცია. თუმცა, რადგანაც ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემებში იშვიათია რევალვაცია(დევალვაცია), საესებით შესაძლებელია, რომ ქვეყანა, რომელსაც მუდმივად კორექტივები შეაქვს ფიქსირებულ კურსში, შეუძლია გადავიდეს მოქნილ სავალუტო რეჟიმზე.

მეორე, მთავრობას შეუძლია შეზღუდოს საერთაშორისო ტრანსაქციები, მაგალითად: იმპორტის ან ფინანსური რესურსების გადინების დაბეგვრით. ასეთი ღონისძიებები ამცირებს ეროვნული ვალუტის მიწოდებას სავალუტო ბაზარზე. ამ გზით ზრდის მის წონასწორულ მნიშვნელობას ფიქსირებულთან შედარებით. ზოგიერთი ქვეყანა უფრო შორს მიდის და უკრძალავს ადამიანებს სახელმწიფოს ნებართვის გარეშე უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას, თუმცა, სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა საერთაშორისო ოპერაციებში იწვევს მრავალ ეკონომიკურ დანახარჯს: უცხოური საქონლისა და კრედიტების ხელმისაწვდომობის შემცირების ჩათვლით.

მესამე, თავად მთავრობას შეუძლია გახდეს ეროვნული ვალუტის მყიდველ-გამყიდველი სავალუტო ბაზრებზე. ასეთ

მიდგომას იყენებს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, სადაც ფიქსირებული სავალუტო კურსია.

აწეული კურსის შემთხვევაში, ვალუტის მიწოდება ოფიციალური კურსის დროს, სავალუტო ბაზარზე აღემატება კერძო მოთხოვნას ამ ვალუტაზე. ჩვეულებრივ, ამ განსხვავებას შეისყიდის ცენტრალური ბანკი, რომელიც ამ მიზნისთვის იყენებს ოფიციალურ რეზერვებს. ეს არის ვალუტის ის ოდენობა, რომელიც უნდა გამოეყენებინა ცენტრალურ ბანკს თავისი ვალუტის გამოსასყიდად ნებისმიერ პერიოდში, რათა ოფიციალური სავალუტო კურსის დროს გაეწონასწორებინა ვალუტის მიწოდება და მოთხოვნა [1, გვ. 59]. როგორც ცნობილია, ქვეყნის ოფიციალური რეზერვების შემცირება წლის განმავლობაში ტოლია საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის. ამდენად, ვალუტის მიწოდების ოფიციალურ კურსსა და კერძო მოთხოვნას შორის არსებული განსხვავება გამოსახავს რეზერვების იმ ოდენობას, რომელიც ცენტრალურმა ბანკმა უნდა გამოიყენოს ეროვნული ვალუტის მხარდასაჭერად.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ ბანკს შეუძლია რაღაც დროის განმავლობაში შეინარჩუნოს წონასწორულზე მაღალი სავალუტო კურსი, სთავაზობს რა გამოსყიდოს საკუთარი ვალუტა ფიქსირებული ფასით, მას არ შეუძლია მუდმივად ამის გაკეთება, რადგან იგი ოფიციალური რეზერვების შეზღუდულ რაოდენობას ფლობს. მაგალითად, ოქროს სტანდარტის ეპოქაში ცენტრალურ ბანკებს არ ქონდათ საკუთარი შეზღუდული ოქროს მარაგები. ასეთი კურსის ხანგრძლივად შენარჩუნება ოქროს მარაგების ამოწურვას გამოიწვევდა და მხოლოდ ვალუტის დევალვაციის შესაძლებლობას მოგვცემდა. ცენტრალური ბანკის მცდელობა შეინარჩუნოს მაღალი სავალუტო კურსი, შეიძლება სწრაფად და დრამატულად დასრულდეს სპეციალური ზეწოლის გამო. სპეკულაციური ზეწოლა (speculative run) ცნობილია, აგრეთვე, როგორც სპეკულაციური იერიში (speculative attack) - ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსურ ინვესტორებს ემინიათ რომ წონასწორულზე მაღლა მყოფი ვალუტა მალე

შეიძლება დეველოპირებულ იქნეს, რის შედეგადაც ამ ვალუტით გამოხატული აქტივების ღირებულება შემცირდება სხვებთან შედარებით [5, გვ.415]. დანახარჯების თავიდან ასაცილებლად ინვესტორები დაჩქარებული ტემპით გაყიდვიან ამ აქტივებს. სამამულო აქტივების პანიკური გაყიდვები, რაც ვალუტის სპეკულაციურ ხეწოლასთან არის დაკავშირებული, გაზრდის გარღვევას ვალუტაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ეს გაზრდილი გარღვევა ასწევს იმ კურსს, რა ზომითაც ცენტრალურმა ბანკმა უნდა დახარჯოს თავისი ოფიციალური რეზერვები. ეს აჩქარებს დეველვაციას და ამართლებს ფინანსურ ინვესტორთა მოლოდინებს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მაღალი სავალუტო კურსი დიდხანს ვერ ნარჩუნდება. თუ ვალუტის კურსი მაღალია, ასეთმა ქვეყანამ არ უნდა განახორციელოს დეველვაცია ან როგორმე უნდა შეცვალოს ეკონომიკური პოლიტიკა, რათა ასწიოს სავალუტო კურსის წონასწორული მნიშვნელობა.

ჩვენ განვიხილეთ სიტუაცია, როდესაც ვალუტის კურსი წონასწორულზე მაღალი იყო, მაგრამ ის აგრეთვე შეიძლება იყოს წონასწორულზე დაბლა. ასეთ დროს ცენტრალური ბანკი ყიდის ეროვნულ ვალუტას სავალუტო ბაზარზე და ამით ზრდის საკუთარ ოფიციალურ რეზერვებს. შეზღუდვების გარეშე ოფიციალური რეზერვების მოცულობა დაბალი სავალუტო კურსის პირობებში შეიძლება უსასრულოსდ დიდხანს შენარჩუნდეს [6, გვ.240]. მაგრამ, წონასწორულზე დაბლა არსებულმა სავაჭრო კურსის გამტარებელმა ქვეყანამ შეიძლება დააგროვოს თავისი რეზერვები მხოლოდ იმ სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ხარჯზე, რომელსაც ასეთივე კურსი აქვს და კარგავს თავის რეზერვებს. რადგანაც პარტნიორ ქვეყნებს არ შეუძლიათ უსასრულოდ დაკარგონ თავიანთი რეზერვები, საბოლოო ანგარიშით, მათ შეუძლიათ მოახდინონ პოლიტიკური ზეგავლენა მოცემულ ქვეყანაზე იმ მიზნით, რომ მისი სავალუტო კურსის წონასწორული მნიშვნელობა მისივე

ვალუტის ოფიციალურ კურსთან შესაბამისობაში მოიყვანონ¹.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის დროს, თითოეულ ქვეყანას, როგორც წესი არა აქვს საშუალება თავისუფლად გაზარდოს ფულის მიწოდება გამოშვებისა და დასაქმების ზრდის მისაღწევად. ამის ნაცვლად, ფულის მიწოდება რეგულირდება იმ პირობით, რომ გაცვლითი კურსის ოფიციალური და ძირითადი მნიშვნელობა ერთი და იგივე იქნება. თუ ქვეყანას სურს ფულის მიწოდების ზრდა რეცესიასთან საბრძოლველად ამის მიღწევა მხოლოდ სავალუტო კურსის პრობლემის წარმოქმნით შეუძლია (რაც სავარაუდოდ მომავალში მოჰყვება დევალვაცია) ან თავისი სავალუტო კურსის დაუყოვნებლივ შემცირებით [1, გვ.605]. ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია მონეტარული პოლიტიკის გამოყენება მაკროეკონომიკის სტაბილიზაციისათვის.

ამდენად, ნომინალური გაცვლითი კურსი მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში მყარდება. ორივე შემთხვევაში, ფულის მიწოდების შემცირება ზრდის ნომინალური გაცვლითი კურსის ძირითად მნიშვნელობას ან ნომინალური გაცვლითი კურსის მნიშვნელობა განისაზღვრება მიწოდებითა და მოთხოვნით სავალუტო ბაზარზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის ჯგუფის ერთ წევრს, როგორც წესი, არ შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს მონეტარული პოლიტიკა, მთელ ჯგუფს შეუძლია ამის გაკეთება იმ შემთხვევაში, თუ შეათანხმებენ თავიანთ პოლიტიკას. ფიქსირებული გაცვლითი

¹კეინზიანურ მოდელში მონეტარული პოლიტიკა ფიქსირებული გაცვლითი კურსით მოქმედებს რეალურ გაცვლით კურსზე მოკლევადიან პერიოდში – იწვევს მის გამყარებას. ასევე, ადგილობრივი გამოშვების შემცირებასა და რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას. იმის გამო, რომ მოკლევადიან პერიოდში კეინზიანურ მოდელში ადგილობრივი და უცხოური ფასების დონე ფიქსირებულია, რეალური გაცვლითი კურსის გამყარება, ასევე გულისხმობს ნომინალური გაცვლითი კურსის გამყარებას მოკლევადიან პერიოდში. გრძელვადიან პერიოდში ფული ნეიტრალურია და ამიტომ ფულის მიწოდების შემცირება არ მოქმედებს რეალურ გაცვლით კურსზე.

კურსი, შეიძლება ითქვას, უკეთ “მუშაობს” მხოლოდ მაშინ, როდესაც სისტემის მონაწილე ქვეყნებს აქვს მსგავსი მაკროეკონომიკური მიზნები და შეუძლია თანამშრომლობა მონეტარული პოლიტიკის გატარებისას.

ჩვენ განვიხილეთ ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, თუმცა, მცურავ გაცვლით კურსსაც, ასევე მისთვის დამახასიათებელი პრობლემები გააჩნია. პირველ რიგში, ეს არის არასტაბილურობა, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში აგდებს ზოგადად ხალხს და კერძოს ბიზნესს თავისი ტრანსაქციების შესასრულებლად სხვა ქვეყნებთან. როგორც ვხედავთ, ორივე სისტემას თავისი უარყოფითი მხარე გააჩნია. მაგრამ ჩვენ მიუხედავად ყველაფრისა, პასუხი უნდა გავცეთ რომელი სისტემაა უკეთესი. როგორც ვხედავთ ფიქსირებული სავალუტო კურსები რიგ ქვეყნებს შორისაა ეფექტიანი, როცა მათ შორის ვაჭრობის გაფართოება და ინტეგრაცია მთელ რიგ მათთვის დამახასიათებელ უპირატესობებს აყალიბებს ამ ქვეყნებს შორის და ასევე ამ ქვეყნებში გატარებული მონეტარული პოლიტიკა ახლოსაა ერთმანეთთან. იმ ქვეყნებს, რომელთაც შეუძლიათაა მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლად გატარება იმის გამო, რომ მათ წინაშე განსხვავებული მაკროეკონომიკური მოკებია და უმუშევრობისა და ინფლაციის განსხვავებული ვითარებაა, შეუძლიათ გამოიყენენ მხოლოდ მცურავი სავალუტო კურსი.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში წონასწორობა ხორციელდება ან დადებითი სალდოთი ან საგადასახდლო ბალანსის დეფიციტით, მაგრამ საგარეო წონასწორობის ასეთი დარღვევები, საბოლოო ანგარიშით გამოსწორებული უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლით. კერძოდ, საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის პირობებში ცენტრალური ბანკი კარგავს სავალუტო რეზერვებს და საბოლოოდ იძულებულია განახორციელოს ფულადი მასის შემცირება, თუკი მას სურს შეინარჩუნოს ფიქსირებული გაცვლითი კურსი.

ფულის მიწოდების შემცირების ალტერნატივაა

ცენტრალური ბანკის უარი ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცენტრალური ბანკი უშვებს ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებას მანამდე, ვიდრე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი არ იქნება ლიკვიდირებული. ეს მოხდება ავტომატურად, თუკი ქვეყანაში გამოყენებული იქნება მცურავი გაცვლითი კურსი.

მცურავი გაცვლითი კურსისა და ცენტრალური ბანკის ჩაურევლობის პირობებში საერთო საგადასახდელო ბალანსი – BP¹ ყოველთვის ნულის ტოლია.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ თუმცა საგადასახდელო ბალანსი მცურავი სავალუტო კურსის დროს ყოველთვის ნულის ტოლია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სავაჭრო ბალანსსაც აუცილებლად იგივე მნიშვნელობა ექნება [6, გვ.331].

დღესდღეობით, განსხვავებული სავალუტო სისტემის პირობებში, საბიუჯეტო-საგადასახდო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების შესწავლის მიზნით გამოიყენება IS-LM-BP მოდელი.

მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტების გამოიყენება განსხვავებულად მოქმედებს ეროვნული შემოსავლის ცვლილებაზე. ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ფიქსირებული კურსის პირობებში (კაპიტალის შედარებით მაღალი მობილობის პირობებში) განაპირობებს შიგა საპროცენტო განაკვეთის ზრდას, მოკლევადიანი კაპიტალის მოდინებას, საგადასახდელო ბალანსის დადებითი სალდოს წარმოქმნას, ფულის მიწოდების ზრდას, რაც დადებით იმპულსს აძლევს გამოშვების ზრდას. მცურავი კურსის პირობებში (კაპიტალის სრული მობილობით) ვალუტის გაძვირება გამოწვეული კაპიტალის მოდინებით განაპირობებს გამოშვების დაბრუნებას საწყის დონეზე.

მცურავი კურსის მომხრეების აზრით ეს რეჟიმი

¹ BP – ასახავს ურთიერთკავშირს Y და i საპროცენტო განაკვეთს შორის, როდესაც ბალანსის სალდო ნულის ტოლია. . BP მოიცავს როგორც მიმდინარე ოპერაციითა ანგარიშს NX-ს, რომელიც დადებითად არის დამოკიდებული შიგა და მსოფლიო საპროცენტო ნგანაკვეთებს შორის არსებულ სხვაობაზე () [4, გვ.78].

საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს შიგა პრობლემების გადაწყვეტაზე. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიზნებს შორის ხშირად ასახელებენ სამს: სრული დასაქმების მიღწევა, ფასების სტაბილურობა და საგადასახდლო ბალანსის გაწონასწორება. რამდენადაც მცურავი კურსის პირობებში საგასახდლო ბალანსის წონასწორობა ავტომატურად მიიღწევა, რჩება მხოლოდ სრული დასაქმების მიღწევა, რაც შესაძლებელია შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გატარებით და ასევე, ფასების სტაბილურობის შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით.

მცურავი გაცვლითი კურსი ამცირებს სხვა ქვეყნების ეკონომიკაში მომხდარ უარყოფით პროცესებს. თუკი საზღვარგარეთ იწვება ეკონომიკის ვარდნა (რაც იწვევს სამამულო ექსპორტის შემცირებას მცურავი კურსის პირობებში), ეს გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას და როგორც შედეგი - ექსპორტის ზრდას და იმპორტის შემცირებას. ამდენად, შესაძლებელი ხდება გამოშვების მანამდე არსებულ დონესთან მიახლოება.

როგორც ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, ფიქსირებული რეჟიმი ეფექტიანია ინფლაციური პროცესების შემაკავებელი პოლიტიკისთვის, მაგრამ ფაქტობრივად გამოუსადეგარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად [5, გვ. 403].

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგები ერთმნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სავალუტო კურსის რეჟიმზე. თუკი განვიხილავთ პოლიტიკის გავლენას უმნიშველოვანეს მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, ვნახავთ, რომ:

1. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგები (კაპიტალის დაბალი მობილობის მქონე ქვეყნებში) მცურავი კურსის შემთხვევაში იწვევს შემოსავლის, საპროცენტო განაკვეთისა და წმინდა ექსპორტის ზრდას, სავალუტო კურსის შემცირებას, ხოლო სავალუტო რეზერვები უცვლელი რჩება;
2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები (კაპიტალის

დაბალი მობილობის მქონე ქვეყნებში) მცურავი გაცვლითი კურსის შემთხვევაში იწვევს შემოსავლის ზრდას, საპროცენტო განაკვეთისა და წმინდა ექსპორტის გაზრდას ან შემცირებას, სავალუტო კურსის შემცირებას, ხოლო სავალუტო რეზერვები უცვლელი რჩება.

იგივე პოლიტიკის გატარება ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში კი იწვევს: შემოსავლის, საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო კურსისა და წმინდა ექსპორტის უცვლელობას, ხოლო სავალუტო რეზერვები მცირდება.

დაბოლოს, მცურავი კურსის მხარდასაჭერად შეიძლება ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ასეთი კურსის პირობებში საჭიროა ნაკლები რეზერვები უცხოური ვალუტით, ვიდრე ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმის პირობებში. ასევე აღნიშვნის ღირსია ის გაქტიც, რომ სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფალი ეროვნული ვალუტის მცურავი კურსის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მონეტარული მეთოდოლოგიური წარმოდგენებით მთელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის მთავრი პრიორიტეტია.

როგორც ცნობილია, საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო, იგი ასრულებს შოკების შემწოვ ფუნქციასაც და შესაბამისად სტაბილურია გრძელვადიან პერიოდში. გაცვლითი კურსი განისაზღვება სავალუტო ბაზრის მიერ, რომელიც შედგება კომერციული ბანკებისაგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისაგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შედის.

ამდენად, დღეს-დღეობით ეროვნული ბანკის მიერ არჩეული კურსი სავსებით პასუხობს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფის მიმართულებით.

**Exchange rate regimes and their influence
on macroeconomic stabilization**

N. Kakulia

On the background of the world economic and financial crisis, increasing discussions are held regarding the fixed and floating exchange rates.

Some economists consider that the fixed exchange rate and the gold standard are the issues which deserve more circumstantial analysis and as a consequence assign advantage in the process of formation of a world financial order.

In the present article we consider positive and negative aspects of fixed and floating exchange rates. On the basis of the carried-out analysis, we showed advantage of floating exchange rates in achieving macroeconomic stabilization.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barro R. Gordon D.B. – A Positive Theory of Monetary Policy in a Natural Rate Model, Journal of Political Economy 91 (August 1983): 589-610;
2. Bordo Michael D. Kydland Finn E. – The Gold Standard as a Rule: An Eassay in Exporations in Economic History 32 (October 1995): 423-464;
3. Meltzer A.H.n Keynes’s Monetary Theory: A Different Interpretation. Cambrige: Cambridge University Press, 1988;
4. Аганова Т.А. Серегина С.Ф. Макроэекономика. Москва, из. МГУ, 2010. ст. 70-92;
5. Эндю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008. 401-405;
6. Селишев А.С. Макроэкономика. 2-е издание, Санкт-Петербург, 2002, ст. 236-345.


**სურსათის საბაზრო ფასების მერყეობა
და მისი გავლენა
მწარმოებლებისა და მომხმარებლების
ქსევაზე**

თენგიზ თაქთაქიშვილი
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

სურსათის საცალო გაყიდვები მსოფლიო ბაზარზე წლიურად დაახლოებით 4 ტრლნ დოლარს შეადგენს [1], საიდანაც უდიდესი წილი სუპერმარკეტებსა და ჰიპერმარკეტებზე მოდის. მსოფლიო მასშტაბით საცალო გაყიდვების 40% მოდის სურსათზე [2].

1970-იანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიოში ჩამოყალიბდა სურსათის ფასების კლების ტენდენცია, რამაც XXI საუკუნის დასაწყისში მიაღწია ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულს. ეს მდგომარეობა შეიცვალა 2006 წლიდან და სურსათის ფასები არნახული ტემპებით გაიზარდა (იხ. გრაფიკი).

FAO-ს სურსათის ფასების ინდექსის დინამიკა 1961–2010 წლებში [4].



როგორც გრაფიკულა ნაჩვენები, 1975 წლიდან მსოფლიოში მცირდებოდა სურსათის ფასები. მართალია, 2006–2008 წლების სასურსათო კრიზისის პერიოდში დაფიქსირებული ფასების ზრდა ნაკლებია 1975 წლის მაჩვენებელზე, მაგრამ რადგანაც მწარმოებლები და მომხმარებლები ადაპტირებული იყვნენ დაღმავალ ფასებთან, ტენდენციის შემობრუნება მნიშვნელოვნად იმოქმედა მათ გადაწყვეტილებებზე და წარმოშვა გაურკვეველობა და პანიკა სასურსათო ბაზრებზე.

2006 წლიდან მოყოლებული დაფიქსირდა სურსათის ფასების ორი კრიზისი, 2006-2008 და 2010-2011 წლების. ორივე კრიზისის განმაპირობებელი ფაქტორები მსგავსია და მოიცავს შემდეგს: მაღალი ფასები ენერგორესურსებზე, აშშ დოლარის კურსის დაწვეა, მზარდი ეკონომიკის ქვეყნიდან მოთხოვნის გადიდება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოყენება ბიოსაწვავის საწარმოებლად და სხვა. ფასების ზრდაზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების მიერ ექსპორტის შეზღუდვამ და სასურსათო ბაზარზე სპეკულაციური გარიგებების ზრდამ.

2002-2008 წლებში აშშ დოლარი გაუფასურდა 30%-ზე მეტად და რადგანაც, სურსათის ძირითად სახეობებზე მსოფლიო ვაჭრობა ხორციელდება დოლარით, მისი კურსის დაკლების კვალობაზე ბოლო წლებში მსოფლიოში აღინიშნა სურსათის ფასების ზრდის ტენდენცია. სურსათის ფასის ზრდა დაახლოებით 25%-ით ნაკლები იქნებოდა მისი ძირითადი სახეობებით ვაჭრობა ევროში რომ ხორციელდებოდას [3, გვ.13].

სურსათის ფასების ზრდას განაპირობებს მასზე მოთხოვნის გადიდება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი. ეს არის ქვეყნები მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, რომლებიც ბოლო პერიოდში განიცდიან ეკონომიკურ აღმავლობას. მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მზარდი შემოსავლების კვალობაზე სულ

უფრო გაიზრდება სურსათზე მოთხოვნა ამ ქვეყნებში.

მსოფლიო სასურსათო კრიზისის პერიოდში სურსათის ფასები იზრდება თითქმის ყველა ქვეყანაში. გამონაკლისს წარმოადგენს ქვეყნები, რომლებიც ზღუდავენ საერთაშორისო ვაჭრობას. თუმცა, სავაჭრო იზოლაცია განაპირობებს ფასების უფრო მეტ ზრდას და მერყეობას საერთაშორისო დონეზე [4].

სასურსათო კრიზისის პერიოდში ბევრმა ქვეყანამ, რომელიც ახორციელებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს, გადაწყვიტა შეეზღუდა ექსპორტის მოცულობა, რათა შიგა ბაზარზე გაეზარდა მიწოდება. მაგალითად, 2008 წლის თებერვალში ყაზახეთმა განაცხადა ხორბალზე საექსპორტო გადასახადების დაწესების შესახებ, რათა შეეზღუდათ მისი გატანა საზღვარგარეთ. შედეგად, ერთი დღის განმავლობაში უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფასი კიდევ 25%-ით გაიზარდა [5].

ბრინჯის წამყვანმა ექსპორტიორებმა – ეგვიპტემ, ინდოეთმა და ბრაზილიამ – მსოფლიო სასურსათო კრიზისის დროს შეაჩერეს მისი გატანა საზღვარგარეთ.

შეზღუდვების დაწესებამ ექსპორტზე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სურსათზე ფასების ზრდას მსოფლიო ბაზრებზე (სწორედ ისევე, როგორც ექსპორტის მზარდმა სუბსიდირებამ განაპირობა სურსათზე მსოფლიო ფასების მკვეთრი დაცემა 1986-1988 წლებში) [6, გვ.2].

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2005–2008 წლებში, ბრინჯის მსოფლიო ფასი გაიზარდა 127%-ით, ხოლო ხორბლისა – 114%-ით.

ერთერთი კვლევის თანახმად (Martin W., Anderson K., Export restrictions and price insulation during commodity price booms, 2011), 2005-2008 წლებში ბრინჯის მსოფლიო ფასის ცვლილების 45% და ხორბლის მსოფლიო ფასის 29% განპირობებული იყო სავაჭრო შეზღუდვების დაწესებით, რითაც სახელმ-

წიფოები ცდილობდნენ თავიდან აერიდებინათ გაზრდილი მსოფლიო ფასების გადაცემა ეროვნულ ეკონომიკაზე. საყოველთაო ფაქტია, რომ რამდენადაც მეტად ახერხებს ქვეყანა სურსათით თვითუზრუნველყოფას, იმდენად ნაკლებადაა დამოკიდებული მის ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასები მსოფლიო ფასებზე, რადგანაც კრიზისის პირობებში იმპორტის განხორციელება გაზრდილ ფასად არ იქნება მომგებიანი.

მიწოდების, მოთხოვნისა და ვაჭრობის მოცულობის ცვლილება და მისი გავლენა მომხმარებლებზე, მწარმოებლებსა და უცხოელებზე დამოკიდებულია არამარტო შიგა მიწოდებისა და მოთხოვნის ელასტიკურობებზე, არამედ საზღვარგარეთ იმპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობაზეც. უფრო არაელასტიკური უცხოური მოთხოვნა ნიშნავს მსოფლიო ფასის უფრო მეტად ზრდას. იმპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა საზღვარგარეთ არის იმის მაჩვენებელი, თუ რატომ იწვევს მსხვილი მიმწოდებელი ქვეყნის მიერ საკუთარი ბაზრის სტაბილიზაციის მცდელობა მსოფლიო ბაზრის დესტაბილიზაციას [7].

სურსათზე ფასების ზრდის კიდევ ერთი მიზეზია აშშ-ს და ევროკავშირის მიერ ბიოსაწვავის წარმოების მხარდაჭერა, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს დიდი ოდენობით სოფლის მეურნეობის პროდუქციას, როგორც წარმოების ფაქტორს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სასურსათო კრიზისის პერიოდში ბიოსაწვავზე მოთხოვნამ განაპირობა ფასის ზრდა - სიმინდზე 70%, სოიოზე - 40%-ით.

ბიოსაწვავის წარმოების მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა დაამყარა ახალი კავშირები ნავთობისა და სურსათის ფასებს შორის. როდესაც ნავთობზე ფასები იზრდება, იზრდება მოთხოვნა ბიოსაწვავზე და შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა მის მისაღებად საჭირო პროდუქტებზე, რაც საბოლოო ანგარიშით, ზრდის სურსათის ფასებს. საპირისპირო

ხდება, როდესაც ნავთობზე ფასები მცირდება. ისტორიულად, ნავთობის მსოფლიო ფასები იყო უფრო მერყევი, ვიდრე სურსათის ფასები. შესაძლებელია, რომ ნავთობის ფასებთან უფრო მეტად დაკავშირების გამო, სურსათის ფასები გახდეს უფრო მერყევი.

სურსათის მსოფლიო ფასები ასევე იზრდებოდა 2011 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში და შემცირდა მეორე ნახევარში. სურსათის ფასების სწრაფმა ზრდამ არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო მოსახლეობის, განსაკუთრებით კი – ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

რა შედეგები შეიძლება მოყვეს ზრდად ან მერყევ ფასებს? – სურსათზე მაღალი ფასები ზიანს აყენებს მომხმარებლის ბიუჯეტს, თუმცა, ზრდის მწარმოებელთა შემოსავალს. მერყევი ფასების შემთხვევაში კი, ზარალდება როგორც მომხმარებელი, ასევე მწარმოებელი, რადგანაც იზრდება გაურკვეველობა და რთულდება მომხმარებლისა და მწარმოებლის მხრიდან ბიუჯეტის დაგეგმვა [8].

ფასების მერყეობის მაღალმა დონემ შესაძლოა გამოიწვიოს დიდი დანაკარგები მწარმოებელთა მხრიდან. ხშირად, ცვლილებები იმდენად მასშტაბური და სწრაფია, რომ მწარმოებელი ვერ ახერხებს გადაწყობას შეცვლილ ფასებზე. ფასებთან მიმართებით გაურკვეველობის მაღალი დონე ხშირად განაპირობებს მწარმოებელთა პესიმისტურ განწყობას და შედეგად, ისინი ერიდებიან დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას.

ფასების მერყეობის მაღალი დონე ხშირად ხდება ვაჭრობის, განსაკუთრებით სპეკულაციური ვაჭრობის საფუძველი, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ფასების უფრო მეტ არასტაბილურობას.

განვითარებულ ქვეყნებშიც კი სურსათზე ფასის ზრდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებელთა გადაწ-

ვეტილებებზე. მაგალითად, Beef Issues Quarterly-ის მიერ 2011 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად, ზრდასრულ მომხმარებელთა 60% არის მგრძობიარე სურსათის ფასების მიმართ – მათ უხდებთ ცვლილებების შეტანა სურსათის მოხმარებაში.

სურსათის გაზრდილ ფასებთან დაკავშირებით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ მომხმარებლის საპასუხო რეაქცია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში.

განვითარებულ ქვეყნებში, მსოფლიო სასურსათო კრიზისის ფონზე, ადგილი არ ჰქონია სურსათის საერთო მოხმარების მნიშვნელოვან შემცირებას. მაგალითად, 2006-2008 წლების მსოფლიო სასურსათო კრიზისის პერიოდში დიდ ბრიტანეთში, კერძოდ შოტლანდიაში, სურსათის გაზრდილი ფასების საპასუხოდ მომხმარებლებმა სურსათისა და სასმელების ფართო ასორტიმენტი ჩაანაცვლეს შედარებით იაფი პროდუქციით. გარდა ამისა, მომხმარებლებმა სუპერმარკეტების მსხვილი და ცნობილი ბრენდებიდან აქცენტი გადაიტანეს იმ სუპერმარკეტებზე, რომლებიც სთავაზობდნენ ფასდაკლებებს. ამ სუპერმარკეტებმა (იდლ, ლდი და Iცელანდ) მნიშვნელოვნად გაზარდეს ბაზრის წილი. თუ 2007 წლის დეკემბრის დასაწყისისთვის ასეთმა ზრდამ შეადგინა -1.5%, 2008 წლის დეკემბრის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი იყო 22.8%. ამის საპირისპიროდ, 30 წამყვანი სუპერმარკეტის იგივე მაჩვენებლები იმავე პერიოდში შემცირდა 18.2%-დან 3.6%-მდე [9].

ამ პერიოდში, მომხმარებლებს შოტლანდიაში არ შემცირებიათ მოხმარება. ისინი იძენდნენ იმავე რაოდენობის სურსათს, რასაც იძენდნენ მსოფლიო სასურსათო კრიზისადე. თუმცა, ისინი უკვე აქცენტს აკეთებდნენ იგივე კატეგორიის სურსათის უფრო იაფ სახეობებზე.

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებში მომხმარებლის დიდი ნაწილი, ფი-

ნანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყიდულობს იაფფასიან სასურსათო პროდუქციას. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სურსათზე გაზრდილი ფასების პირობებში, რადგანაც უკვე მოიხმარენ იაფფასიან პროდუქციას, ისინი ვერ შეძლებენ გადაერთონ უფრო იაფი სურსათის მოხმარებაზე და დადგებიან არჩევანის წინაშე: შეამცირონ მოხმარებული სურსათის ოდენობა ან სურსათის მოხმარების იგივე მოცულობის შესანარჩუნებლად შეზღუდონ სხვა ხარჯები. მრავალ განვითარებად ქვეყანაში, ღარიბი მოსახლეობა საკუთარი შემოსავლის 75%-ს ხარჯავს სურსათზე. ეს ნიშნავს იმას, რომ სურსათზე გაზრდილი ფასების პირობებში, მათ მოუწევთ შემოსავლის დარჩენილი 25%-ის ნაწილის მიმართვა სურსათზე. გამომდინარე აქედან, მათ თითქმის აღარ რჩებათ თანხა ისეთი მომსახურების მისაღებად, როგორცაა ჯანდაცვა და განათლება.

სურსათის საცალო ფასებში სწრაფი ან მოულოდნელი ცვლილებების გავლენა მომხმარებლებზე დამოკიდებულია მათ შემოსავალსა და ასევე, იმაზე, თუ მომხმარებლის ხარჯების რა ნაწილს შეადგენს ესა თუ ის პროდუქტი. თუ სურსათის გარკვეული სახეობა შეადგენს მომხმარებლის ბიუჯეტის მცირე ნაწილს (მაგალითად, მარილი, ბრინჯი), მომხმარებელი ნაკლებად მგრძობიარე იქნება სურსათის ამ სახეობაზე ფასის ცვლილების მიმართ. უფრო ძვირადღირებულ სურსათზე (მაგალითად, ხორცი) ფასის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლების არჩევანზე.

სასურსათო ნედლეულის ხვედრითი წონა სურსათის საცალო ფასებში კლების ტენდენციით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, სურსათის საცალო ფასები სულ უფრო ნაკლებად მგრძობიარე ხდება სასურსათო ნედლეულის ფასებთან მიმართებით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიო სასურსათო კრიზისის გავლენა სურსათის საცალო ფასე-

ბზე შესაძლოა უფრო დიდი და მეტად საზიანო ყოფილიყო, სასურსათო ნედლეულს რომ უფრო დიდი წილი ეჭიროს სურსათის საცალო ფასში.

როგორც წესი, სოფლის მეურნეობის საქონლური პროდუქციის ფასს ემატება დამუშავების, შეფუთვის, ტრანსპორტირების, რეკლამის და სხვა ხარჯები. ამიტომ, პროდუქტის ღირებულების წილი სურსათის საცალო ფასში მცირდება. მაგალითად, აშშ-ში სასურსათო ნედლეულის წილი სურსათის საცალო ფასში შემცირდა 1950 წლის 40.9%-დან 18.5%-მდე 2006 წელს. ზოგადად, რაც უფრო მცირეა ეს მაჩვენებელი, მით უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს სასურსათო ნედლეულის ფასის ცვლილება სურსათის საცალო ფასზე [10, გვ.6].

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდის საპირისპიროდ, ხშირად ხდება არსებული მარაგების შემცირება და მიწოდების გაზრდა ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, დაბლა წევს ფასებს. თუმცა, როდესაც მარაგები ამოიწურება, ბაზარი უფრო დაუცველი რჩება მოთხოვნით ან მიწოდებით გამოწვეული ახალი შოკების მიმართ. სასურსათო მარაგების არარსებობის პირობებში, ფასების მერყეობა გაცილებით დიდია, ვიდრე მარაგების არსებობისას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარაგების დინამიკა ასახავს წარმოებისა და მოხმარების მდგომარეობას. როდესაც მსოფლიო მარაგები ეცემა კრიტიკულ დონეზე, ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო დგას სურსათზე ფასების ზრდის ზღვარზე [11].

თანამედროვე სურსათის ინდუსტრია საკმაოდ გლობალიზებულია, ამიტომ, სურსათის მსოფლიო ფასების ცვლილება ზემოქმედებს ყველა ქვეყნის სურსათის ბაზარზე და იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს მწარმოებლების და მომხმარებლების გადაწყვეტილებებში.

**Food price volatility and its influence on producer
and consumer behavior**

T.Taktakishvili

The article analyses factors that affect modern food market and the influence of volatile food prices on producers and consumers in de-veloped as well as in developing countries.

Started from 1970s world food prices had been reducing, but since 2006 this tendency changed and food prices have become became volatile. Ex-panding biofuel production in the USA and the EU, growing demand for food in emerging countries (China, Brazil, Russia, India) and volatility of dollar affect world food prices significantly. When the food prices are high, consumers in developed countries choose cheaper products, while consumers in developing countries reduce amount of consumed food. As far as food industry is much globalised, changes in food prices influ-ence each country's food market.

გამოყენებული ლიტერატურა

1. USDA, Economic Research Service, <http://www.ers.usda.gov/topics/international-markets-trade/global-food-markets/global-food-industry.aspx>
2. FAO, Food Retail, 2009;
3. Headey D. and Fan S., Reflections on the Global Food Crisis, How Did It Happen? How Has It Hurt? And How Can We Prevent the Next One? International Food Policy Research Institute (IFPRI®), RE-SEARCH MONOGRAPH 165, Washington, D.C., 2010;
4. FAO, The State of Food Insecurity in the World, 2011;
5. Кононов Д. Е., Мировой продовольственный кризис: причины и возможные последствия, Политематический сетевой электронный научный журнал Кубанского государственного аграрного университета, №72, Ст. 144-154, 2011;

**ბიზნესის სოციალური
პასუხისმგებლობა**

პასილ ხიგანიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

პასუხისმგებლობა როგორც სოციალური მოვლენა, ადამიანთა საზოგადოების განქნასთან ერთად [1], ხოლო მისი როგორც სოციალურ-ფილოსოფიური კატეგორიის მნიშვნელობის განსაზღვრა, მოხდა შედარებით გვიან. ხ. იონასი ამას ხსნის იმით, რომ პასუხისმგებლობის ზომა თანაფარდობაშია ხელისუფლებისა და ცოდნის ზომასთან, რაც ინდუსტრიაში ეპოქაში შეზღუდული იყო [2].

პასუხისმგებლობას გააჩნია ორგვარი ბუნება: სამართლებრივი და სოციალურ-ეთიკური. XIX საუკუნის დამდეგსა და XX საუკუნის დასაწყისში პასუხისმგებლობა განიხილებოდა უშუალოდ როგორც დანაშაულის სფეროს პრობლემა. XX საუკუნის შუა ხანებში, როცა სამეურნეო საქმიანობის შედეგი ხდება არა მხოლოდ რეალიზებული მატერიალური კეთილდღეობა, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის საკითხიც, მან განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. გასულ XX საუკუნეშივე, პასუხისმგებლობა როგორც ადამიანის მოქმედების ფუძემდებლური პრინციპი, დაიყვანებოდა იმგვარ გაგებამდე, რომ „იყოს პასუხისმგებელი“ შეუძლია არამხოლოდ ინდივიდს, არამედ სოციალურ ჯგუფს, ერთობას, კლასს. წარმოიქმნა ახალი კატეგორია - „სოციალური პასუხისმგებლობა“, რომელიც ხორციელდება როგორც სოციალური კონტროლის ფორმით, ასევე სუბიექტების მიერ გაცნობიერებული პასუხისმგებლობის საზოგადოებრივი როლით.

პასილ სიზანიშვილი

სოციალური პასუხისმგებლობა მიეწერება არა ცალკე აღებულ ინდივიდს, არამედ ინდივიდს, როგორც სოციალური ერთობის წარმომადგენელს.

დღეს სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის ეკონომიკური საქმიანობის შედეგი თანამედროვე საბაზრო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის ჩარჩოებში, როცა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა, საბოლოო ანგარიშით, მიიღწევა ადამიან-კაპიტალით, გამოხატული მისი ინტელექტუალური ფორმით [3].

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა როგორც ეთიკური ნორმა, საფუძვლად უდევს სამეურნეო საქმიანობის პროცესს. იგი ამავე დროს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პირობას და მის ინდიკატორს.

საერთაშორისო პრაქტიკაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ცალსახა განსაზღვრება არ არსებობს. მასში იგულისხმება, ერთი მხრივ, ქველმოქმედება, მეცენატობა, სპონსორობა, ფილანტროპია, მეორე მხრივ, სოციალურ-მარკეტინგული პროგრამები და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის ნებაყოფლობით გაღებული წვლილი საზოგადოების სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროთა განვითარების საქმეში. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი ეს მოცემული განსაზღვრება უფრო მეტად იდეალურია და სინამდვილეში შეუძლებელია მისი სრულად განხორციელება იმიტომ, რომ თუნდაც ერთი გადაწყვეტილების ნებისმიერი შედეგის წინასწარ გათვლა უბრალოდ შეუძლებელია. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის არა წესი, არამედ ეთიკური პრინციპი, რომელიც უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას გააჩნია მრავალდონიანი თვისება. მისი საბაზო დონე გულისხმობს გადასახადების და ხელფასის დროულ და სრულ დაფარვას, შეძლებისდაგვარად სამუშაო შტატების გაფართოებას.

მეორე დონე გულისხმობს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფილაქტიკურ მკურნალობას, ბინათმშენებლობას, სოციალური სფეროს განვითარებას, ე.ი. პერსონალისათვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფას როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო დროს. სოციალური პასუხისმგებლობის ამგვარ ტიპს პირობითად ეწოდება „კორპორაციული პასუხისმგებლობა“. მესამე უმაღლესი დონე გულისხმობს საქველმოქმედო საქმიანობას.

განზოგადებული სახით შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის გავლენა საზოგადოებაზე, ეს არის იმ სუბიექტთა პასუხისმგებლობა, ვინც იღებს ბიზნეს-გადაწყვეტილებებს მათ წინაშე, რომლებზეც პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებენ აღნიშნული გადაწყვეტილებები. იგი არის ბიზნესის სუბიექტების პასუხისმგებლობა იმ ნორმებისა და წესების დაცვაზე, რაც კანონმდებლობით განსაზღვრულია ბუნდოვნად ან საერთოდ არაა განსაზღვრული (მაგ. ეთიკის, ეკოლოგიის, გულმოწყალების, კაცთმოყვარეობის, სიბრალულისა და ა.შ. სფეროში), რაც გავლენას ახდენს ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და საერთოდ საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე[4].

თანამედროვე მსოფლიოში სოციალური პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქველმოქმედებით. ის შედგება წარმოებაში მაღალი ხარისხის საქონლისა და მომსახურების, გადასახადების სრული და დროულად გადახდის, შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის, პარტნიორებსა და კონკურენტებთან კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის წარმოების, როგორც საკუთარი პერსონალის, ასევე ადგილობრივი საზოგადოების და გაერთიანებების სოციალურ დაცვასა და განვითარებაზე ზრუნვის, გარემოს დაცვის ღონისძიებებისა და ა.შ კომპონენტებისაგან. შედეგად სახეზეა ბიზნესსა და საზოგადოებას შორის არსებული პრინციპულად ახალი ურთიერთობების ფორმირება.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა აქტიურად და

წარმატებით ხორციელდება მთელს მსოფლიოში. კომპანიები არა უბრალოდ წყვეტენ საზოგადოების პრობლემებს, აბანდებენ რა სახსრებს განათლების, მედიცინის, მეცნიერების, წარმოების განვითარებაში, გვერდში უდგანან სოციალურად დაუცველ ფენებს და ზრუნავენ ბუნების დაცვის ღონისძიებათა გატარებაზე, არამედ ამგვარი საქმიანობიდან ისინი იღებენ გარკვეულ სარგებელსაც. დასავლეთის ქვეყნებში იგი ფუნქციონირებს როგორც მყარი სოციალური ინსტიტუტი. ის არის რაციონალური და ეფექტური და სწორედ ამით განსხვავდება ტრადიციული ქველმოქმედებისაგან[5].

ამერიკელი მეკლევარების თვალსაზრისით, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის არსია ის, რომ კომპანიის სტრატეგიული საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს ოთხი ძირითადი მიმართულებით: 1) ნებისმიერი ინიციატივის მხარდაჭერა მტკიცე პოზიტიური ურთიერთობების ფორმირებისათვის; 2) პროფესიული განათლების განვითარებასა და სრულყოფაში მონაწილეობა მსოფლიო ბაზრისა და ნაციონალური ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად; 3) ბიზნესის მონაწილეობა კულტურისა და ხელოვნების დარგებში შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისათვის; 4) საწარმოს ნებაყოფლობითი მონაწილეობა გარემოს დაცვის ღონისძიებებში[6].

თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობის, როგორც ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ფორმირება და განვითარება, ხდება უფრო და უფრო აქტუალური და მწვავედ მოთხოვნადი პრობლემა. ეს განპირობებულია იმით, რომ მსოფლიო თანამეგობრობის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, რომლებიც მეტ-ნაკლები ხარისხით განიცდიან ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების გავლენას, ასევე საზოგადოებრივი განწყობების მოლოდინებისა და ფასეულობათა სისტემების ცვლილებებს, იზრდება ბიზნესის როლი და მნიშვნელობა მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ფენების

სოციალური მხარდაჭერის, თანამედროვე სოციალურ სტანდარტებამდე მათი ცხოვრების დონის ამაღლების და სხვა საჭირობორტო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტით შესაძლებელია სავარაუდო ან უკვე მომწიფებული წინააღმდეგობის თავიდან აცილება არა მხოლოდ ბიზნესსა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაში, არამედ ბიზნესსა და ხელისუფლებას შორისაც. ეს, თავის მხრივ, იწვევს საზოგადოების ლოიალური განწყობის შექმნას როგორც ბიზნესის, ასევე ხელისუფლების მიმართ, ისევე როგორც საზოგადოების მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებას და ეროვნული მეურნეობის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, რაც ფრიად აქტუალურს ხდის იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის და გადაუჭრელი საკითხების კომპლექსურ კვლევას, რომელიც ეხება სოციალურ-ეკონომიკურ პასუხისმგებლობას.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში სახელმწიფოს, სამოქალაქო ინსტიტუტებს და კერძო კომპანიებს შორის მთელს მსოფლიოში მოხდა საკმაოდ არსებითი ცვლილებები. დერეგულირების, პრივატიზაციის, გლობალიზაციის პროცესების შედეგად წინა პლანზე წამოიწია საზოგადოებრივი ურთიერთქმედებების პრინციპულად ახალმა ფორმებმა. ქვეყნების მთავრობები თანდათანობით ხედებიან, რომ მკაცრი რეგულირება და მძარცველური გადასახადები ხელს არ უწყობს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას, უფრო კი პირიქით. ამიტომ, იძულებითი ურთიერთობის ფორმებს ეტაპობრივად ანაცვლებს ნებაყოფლობითი თვითრეგულირების ფორმები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კერძო სექტორი უსისტემო ქველმოქმედებიდან გადადის საზოგადოებრიობასა და მთავრობას შორის არსებულ ურთიერთქმედებათა სტრატეგიულ ფორმებზე. ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს სოციალური პასუხისმგებლობის კორპორაციული პროგრამები[7].

ფართო გაგებით, კორპორაციული სოციალური პა-

სუხისმგებლობა არის ბიზნესის გავლენა საზოგადოებაზე. იგი არის ბიზნესის ეთიკური ქცევა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან მიმართებით. ის გულისხმობს კომერციული წარმატებების მიღწევას იმ გზებით, რაც აფასებს ეთიკურ პრინციპებს და პატივს სცემს ადამიანს, საზოგადოებასა და გარემოს. კორპორაციული-სოციალური პასუხისმგებლობა გაიგება როგორც პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის განვითარებული ფორმა, რასაც მოაქვს სარგებელი ბიზნესისათვის და საზოგადოებისათვის და ხელს უწყობს საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენის მინიმიზაციას და პოზიტიური გავლენის მაქსიმიზაციას[8].

ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რატომ ეთმობა ასეთი დიდი ყურადღება სოციალურ პასუხისმგებლობას. სახელდება რამდენიმე მიზეზი, რომელთა შორის გამოვყოფთ შემდეგს: 1) გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული კონკურენციის გამწვავება; 2) კომპანიათა მხარდი მასშტაბები და გავლენები; 3) კომპანიებს შორის არსებული მძაფრი კონკურენცია ინტელექტუალური პერსონალისათვის; 4) სამოქალაქო აქტიურობის ზრდა და ა.შ.

დასავლეთში, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, სულ უფრო ფართოდ ვრცელდება შეხედულება, რომლის თანახმადაც კერძო კომპანიებმა საკუთარი ინიციატივით არსებითი როლი უნდა ითამაშონ „საზოგადოებრივი მიზნების“ მიღწევაში – „კორპორაციული მოქალაქეობის“ სახელით. კორპორაციებმა ბიზნესი უნდა აწარმოონ სხვადასხვა „დაინტერესებული მხარეების“ (Stakeholders) ინტერესთა გათვალისწინებით, რათა ერთობლივად იქნეს მიღწეული „მდგრადი განვითარების“ გაცხადებული მიზანი. „მდგრადი განვითარების“ ცნება, მთლიანობაში, საკმაოდ ბუნდოვანია და ითვლება, რომ მას გააჩნია სამი უმთავრესი ასპექტი: ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. ამგვარად, კომპანიებმა უნდა დაისახონ შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნები, შეაფასონ შესრულების ხარისხი

და გაანდეთ კიდევ დამოუკიდებელი აუდიტური დასკვნები მოცემულ საკითხებთან მიმართებით. ითვლება, რომ მხოლოდ ამგვარი მოქმედებით შეუძლიათ კომპანიებს იყენენ შესაბამისობაში საზოგადოების მოლოდინებთან, რაც თანამედროვე მსოფლიოში წარმატების ხანგრძლივი სტრატეგიის საკვანძო ფაქტორია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ იქნეს უგულვებელყოფილი კომპანიების მომგებიანობისა და ზოგადად, კაპიტალიზაციის სტრატეგიები და მიზნები. ნებისმიერ შემთხვევაში. საწარმო არ უნდა ზარალდებოდეს ფინანსური მანვერებლების კუთხით. სწორედ ამიტომ, საჭიროა დადგინდეს კავშირი მოგებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის.

დღეს, სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი სცილდება ეკონომიკის სფეროს და გადადის ფასეულობების სფეროში. იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მიდგომა ფართოდ გავრცელდება, მოწმენი გავხდებით მაქსიმიზების მისწრაფებაზე დაფუძნებული პოსტრაციონალური ეკონომიკის დაბადების. ისეთის, რომლის დროსაც კომპანიები საკუთარი საქმიანობიდან შექდებენ პოზიტიური ექსტერნალიების მაქსიმიზებას მოგების და კაპიტალიზაციის განსაზღვრული დონის ერთდროული შენარჩუნებით. ამის სრულად განხორციელება კი შესაძლებელია საზოგადოებრივი ფასეულობების თანდათანობითი ძვრების ფონზე ეგოცენტრიზმიდან სოციოცენტრიზმისაკენ, რომელიც ამჟამად შეინიშნება დასავლეთში.

ზემოთ თქმულის მიუხედავად, არის მოსაზრება, რომლის თანახმადაც პასუხისმგებლობის კონცეპტი დღემდე არ გამოიყენება ეკონომიკაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ეკონომიკურ სამყაროში არ არსებობს [9]. ცხადია, პასუხისმგებლობა ეკონომიკური კონტექსტით, უწინარესად, მიუთითებს კორპორაციებისა და ზოგადად ბიზნესის ვალდებულებაზე, ეკონომიკური ქმედებების მორალური შედეგების თვალსაზრისით, ანუ რამდენად არსებობს კორპორაციულ გადაწყვეტილებებში ის ეთიკური რეფლექსიები, რაც საწარმოებში მიღებული უნდა

იოს როგორც აუცილებლობა, რაც სამწესაროდ, ჯერ კიდევ არც თუ იშვიათად, უგულვებელყოფილია ეკონომიკაში.

Social Responsibility of Business

V. Khizanishvili

There is not unambiguous definition of social responsibility of business in international practice. It is understood as charity, businessman, sponsorship, philanthropy, as social marketing programs and corporate social responsibility.

The social responsibility of business has influence on society. This is the responsibility of receiving subjects of business solutions in front of them, who this solutions influence directly or indirectly. . The social responsibility of business is not only the rule, but the ethical principle, which must be taken into consideration in the receiving process of the solution. It, as the ethical norm, is based on the process of economic activity, and at the same time it represents the condition of formation of civil society and its indicators.

The issue of social responsibility of business is beyond the economic sphere and moves to the values sphere, what makes new prerequisites for the post-rational economics.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.5ka.ru>
2. <http://www.lib.ua-ru>
3. <http://www.dibase.ru>
4. <http://www.ru.wikipedia.org>
5. <http://www.lib.ua-ru>
6. <http://www.buiss.ru>
7. <http://www.prompolit.ru>
8. <http://www.un.by/ru>
9. Shionoya, Y., Economy and Morality *The Philosophy of the Welfare State), UK., Bodmin, Convall, 2005, P. 279.



ბაღრი რამიშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი**

საქართველოში ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისთვის უაღრესად აქტუალურია წარმატებული ბიზნეს-სტრუქტურების ფორმირება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და კადრების მომზადებას, არამედ არანაკლები ეფექტი შეიძლება იქონიოს თანამედროვე მენეჯერული მიღწევების და გამოცდილების გაზიარებამ. ამის მნიშვნელობა მით უფრო ნათლად გამოჩნდება,თუ ტექნოლოგიების მოპოვება-შემუშავებასა და პერსონალის სწავლებასთან შედარებით,მის სიიაფეს და დანერგვის სისწრაფეს გავითვალისწინებთ. ქართულ რეალობაში ვირტუალური ორგანიზაციების როლზე მსჯელობის დაწყებადღე აუცილებელია მასთან დაკავშირებული ზოგიერთი დეფინიციის და ცნების დაზუსტება, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ მენეჯმენტის თანამედროვე სამეცნიერო თუ პრაქტიკულ ლიტერატურაში აზრთა საკმაოდ დიდი სხვადასხვაობაა. საინტერესოა აგრეთვე ის,თუ რამ გამოიწვია მსგავსი სტრუქტურული ერთეულების ფორმირება და რა როლს შეასრულებს ის მსოფლიოს ეკონომიკაში მომავალში, რა დადებითი და უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია მას ბისნესზე,დასაქმებულებსა თუ საზოგადოებაზე. სწორედ აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ შეგვეძლება ვი-

მსჯელოთ საქართველოში მისი პერსპექტივების შესახებ.

XX საუკუნის მეორე ნახევარი კომერციული ორგანიზაციებისთვის დიდი გამოწვევების ეპოქა იყო. „კონკურენციის გლობალიზება, ორგანიზაციების შემცირება, შერწყმა, შთანთქმა, იერარქიული სტრუქტურების „გაბრტყელება“ და დაქირავებულთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოება, ხარისხის მართვის პროგრამების განხორციელება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ინტრაპრენიორული ინიციატივის წახალისება, ორგანიზაციის ყველა დონეზე და მიმართულებით მრავალფეროვნების ზრდა“ [2, გვ.1] ის ცვლილებებია, რამაც კარდინალურად შეცვალა წარმოდგენა ტრადიციული ორგანიზაციის შესახებ. ამას დაერთო უკანასკნელ ორ ათწლეულში საინფორმაციო ტექნოლოგიების მხრივ მიმდინარე რევოლუციური გარდატეხა და წარმოიშვა ისეთი ორგანიზაციული ურთიერთობები, რაც საქართველოსთვისაც უდიდეს რეზერვებს შეიცავს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სიახლეა „ვირტუალური ორგანიზაცია“. ის აღარ არის მოვლენა შორეული მომავლიდან, რომელსაც ერთგვარი ირეალურობის ელფერი დაჰკრავს, არამედ ამ ტიპის სტრუქტურული წარმონაქმნები უკვე ფართოდ მკვიდრდება განვითარებულ სამყაროში და მათი მეშვეობით ხდება უმნიშვნელოვანესი კონკურენტული უპირატესობის გენერირება, რაც ფასეულობათა ჯაჭვის ოპტიმალურ და მოქნილ კონსტრუქციაში ვლინდება, თუმცა, ამ სიახლეს სხვა დადებითი მხარეებიც გააჩნია.

ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და მენეჯერულ მიდგომებზე დამყარებული ორგანიზაციული წარმონაქმნების შესახებ კონცეფციები XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ეს იყო კომპიუტერული ტექნიკის განვითარების და ავტომატიზაციის დასაწყისი და ამ მოვლენებთან დაკავშირებული დიდი იმედების ეპოქა. მაშინ სჯეროდათ ეკონომიკური გაფურჩქვნის ხანის სწრაფად დადგომისა, როდესაც ადამიანურ შრომას მთლიანად ჩაანაცვლებდა კომპიუტერები და

რობოტები. ხშირ შემთხვევებში ეს პროგნოზები გამართლდა, ზოგჯერ კი ფრიად გადაჭარბებულიც აღმოჩნდა, განვითარდა ისეთი პროცესებიც, რაც ადრე წარმოდგენილი იყო. სამივე ეს შეფასება შეიძლება ვირტუალური ორგანიზაციების შესახებაც გამოვიყენოთ. სადღეისოდ ძნელია ვარაუდი როდის გაჩნდება ჭეშმარიტად ვირტუალური კომპანიები, რომელთა ჩამოყალიბებასაც უკვე XXI საუკუნის დასაწყისისთვის ვარაუდობდნენ, თუმცა, ორგანიზაციების „ვირტუალიზაციის“ პროცესი აშკარაა. ასევე ცალსახად დასტურდება მისი მზარდი როლი ბიზნესში. ამასთან, არავის შეეძლო 40 წლის წინ ეწინასწარმეტყველა ის საოცარი შესაძლებლობები, რასაც კაცობრიობას და კონკრეტულად მენეჯმენტს უქადადა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ხშირად ტრადიციულ და ვირტუალურ ორგანიზაციებს არცთუ დიდად განსხვავებულ მოვლენებად მიიჩნევენ, თუმცა, ეს მოსაზრება ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია და მივიჩნევთ, რომ ეს უკანასკნელი რევოლუციური მოვლენაა ბიზნესში და ის განსაკუთრებულ როლს შეასრულებს მომავალში და არამარტო კომერციულ სექტორში. ვირტუალური ორგანიზაცია ადამიანთა ერთობლივი მოღვაწეობის ახალი ფორმაა, რომელიც ქსელური ურთიერთობების და უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოიქმნა. თავად სიტყვათა წყობაში „ქსელური ურთიერთობები“, იგულისხმება აუტოსორსინგის შედეგად წარმოქმნილი თანამედროვე სტრუქტურული კავშირები, რომლებიც ახალ პარტნიორულ-სამართლებრივ საფუძველზე იქმნება - ტრადიციული ადმინისტრაციულ-დირექტიულის ნაცვლად. ეს არის ჭეშმარიტად რევოლუციური ცვლილებები, რომელიც, ჩვენი აზრით, ახლო მომავალში ძირეულად შეცვლის მსოფლიო ბიზნეს-ლანდშაფტს. მაჟორული დამოკიდებულება ვირტუალური ორგანიზაციების მიმართ შეინიშნებოდა 1980-იან წლებში, როდესაც სამეცნიერო ჭვრეტა წინ უსწრებდა პრაქტიკას. აღტაცებამ იკლო 1990-იანი წლების დასაწყისში, მაშინ მას

ზოგიერთი მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით დამყარებულ სამეწარმეო კავშირად მიიჩნევდა და მის მნიშვნელობას ტრადიციული ორგანიზაციების კონტექსტშით განიხილავდა. თუმცა, XXI საუკუნის დასაწყისმა მკვეთრად წარმოაჩინა ახალი ორგანიზაციული ფორმების უდიდესი როლი მსოფლიო ბიზნესში და დღეს არ იქნება გადაჭარბებული თუ განვაცხადებთ, რომ ვირტუალური ორგანიზაციები მენეჯმენტში, ბიზნეს-სტრატეგიაში და ტექნოლოგიურ ინოვაციებში მიმდინარე საეტაპო ცვლილებების ლოგიკური შედეგია, რომელიც თავად გვევლინება ეკონომიკურ ურთიერთობებში მიმდინარე რევოლუციური პროცესების ერთ-ერთ მთავარ გენერატორად.

დროთა განმავლობაში სულ უფრო მცირდება ტრადიციული იერარქიული სტრუქტურების რაოდენობა. ჩვენ მიერ სტატიის დასაწყისში აღნიშნული რამდენიმე ცვლილებაც სწორედ ამ პროცესის განმაპირობებელი ან ამსახველია. დაქირავებულთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოება ნიშნავს კვალიფიციური, განათლებული და თვითმოტივირებული პერსონალის რაოდენობის განუხრელ ზრდას, ინტრაპრენიორული ინიციატივის წახალისება იწვევს ორგანიზაციაში ტრადიციული ადმინისტრაციულ-იერარქიული ურთიერთობების რღვევას. ყოველივე ამის საფუძველზე კი იქმნება ე.წ. „ბრტყელი სტრუქტურები“, სადაც მინიმუმამდეა შემცირებული იერარქიული საფეხურების რაოდენობა. ამგვარი წარმონაქმნის მახასიათებლები გააჩნია ჩვენი განხილვის ძირითად საკითხს - ვირტუალურ ორგანიზაციასაც. როგორც აღვნიშნეთ, ეს ახალი კონცეფცია რეაქციაა მსოფლიოში გაბატონებული მზარდი ცვლილებების ტენდენციაზე და ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენის - დინამიკურობის და სტაბილურობის - საინტერესო შერწყმას წარმოადგენს. გარე-გარემოსთან, ბაზართან ურთიერთობა თანამედროვე კომპანიისგან მოითხოვს დინამიკურობას, მაგრამ ორგანიზაციის წარმატების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად

კვლავ რჩება ორგანიზაციული ცოდნის, კომპეტენციების, შესაძლებლობების სტაბილური, გრძელვადიანი განვითარება.

ტრადიციული ორგანიზაციისა და მისი სტრუქტურის დასახასიათებლად ხშირად იყენებენ ტერმინს - „მექანიკური“, რითაც ხდება ფუნქციურ და იერარქიულ ერთეულებს შორის მყარი და ხისტი ურთიერთობების ხაზგასმა, რის გამოც ორგანიზაცია ვერ ამჟღავნებს გარე-გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტაციის მაღალ უნარს. ვირტუალური კომპანიის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობაა ის, რომ იგი მუდმივად განიცდის როგორც ფორმის, ასევე შინაარსობრივ „მიმიკრიას“, რადგან, ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად, მრავალ დარგში მომუშავე მსგავს მეწარმე სუბიექტებსაც უწევს არსებობის გახანგრძლივებისთვის გარემოსთან მუდმივი შეგუება. მათ კი ამის განსაკუთრებული უნარი გააჩნიათ. სწორედ ამ უნიკალური თვისების გამო, ჩვენ ვირტუალური სტრუქტურის უკეთ დასახასიათებლად, საგანგებოდ შემოგვაქვს ტერმინი - „მიმიკრია“, რომელიც გარემოსთან ადაპტაციის განსაკუთრებულ ფორმას აღნიშნავს. გამომდინარე აქედან, ვირტუალური ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა ის, რომ შეუძლებელია მისი ფიზიკური ფორმის იდენტიფიცირება, ის ორგანიზაციული მიზნებისა და გარე პირობების შესაბამისად მუდმივ რეკონსტრუქციას განიცდის. ასეთი გარეგანი ამორფულობა კი წარმოუდგენელია პერმანენტული შინაგანი ცვლილების გარეშე. ამიტომ, ვირტუალური კომპანიების შიგნითაც მუდმივად მიმდინარეობს სტრუქტურის, განყოფილებების, პერსონალის, ტექნოლოგიების, ორგანიზაციული ცოდნის განახლება, ოღონდ ამ პროცესს, როგორც უკვე ითქვა, სტაბილური განვითარების ხასიათი უნდა ჰქონდეს. გამომდინარე მისი უკიდურესი მოქნილობიდან, რაც უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე მიიღწევა, ვირტუალურ ორგანიზაციაში შეიძლება გაერთიანდეს დარგობრივი ფასეულობათა ჯაჭვის თითქმის ყველა რგოლი - დაწყებული საწყისი პროცესები-

დან საბოლოო მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებით დასრულებული.

ვირტუალური ორგანიზაციის მრავალი დეფინიცია არსებობს, რაც მისი არსის შესახებ არსებული მრავალფეროვანი შეხედულების ასახვაა. ერთ-ერთი განმარტებით, „ვირტუალური ორგანიზაცია არის ახალი სტრუქტურული წარმონაქმნი, რომელშიც საინფორმაციო ტექნოლოგიები ადამიანების, აქტივების და იდეების დინამიკური კავშირის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება“ [6, გვ.18]. ასევე არსებობს საკმაოდ ზოგადი შეხედულებები, რომელთა თანახმად ვირტუალური ორგანიზაცია კომპანიებისა და ბიზნეს-ელემენტების ისეთი თანაარსებობაა, რომლებიც რაიმე სტრუქტურული შეზღუდვებით არ არის დაკავშირებული, ერთობლივად კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის ფუნქციონირებენ და საწარმოო პროცესის განხორციელების დროს დამოკიდებულნი არიან კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებზე. მცირედ განსხვავებულია სხვა დეფინიცია, რომლის თანახმად „ვირტუალური ორგანიზაცია ახალი სტრუქტურული წარმონაქმნია, რომელიც გეოგრაფიულად დაშორებული ინდივიდების, ჯგუფების ან ორგანიზაციული დეპარტამენტების თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილ დროებით ან მუდმივ კავშირს წარმოადგენს“ [5, გვ.6].

ვირტუალური ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია: „უნარების და შესაძლებლობების განვრცობილი ქსელი - ვირტუალური ორგანიზაციის სტრუქტურა განაწილებულია მრავალ ადგილს შორის, რაც უნარების და შესაძლებლობების მოზიდვის ფართო სივრცეს ქმნის; კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება, რომლის გარეშე ვირტუალური ორგანიზაციების არსებობა შეუძლებელია. მიუხედავად ზოგიერთის მტკიცებისა, რომ ის ყოველთვის არსებობდა, ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ის სწორედ ამ ტექნოლოგიებმა დაძლია დროისა და სივრცის ბარიერი, რამაც ფიზიკურად დანაწევრებულ

კოლექტივს ერთად მუშაობის საშუალება მისცა; მოქნილობა, დინამიკურობა, დაუდგრობა - ვირტუალური ორგანიზაცია აღარ არის დროისა და სივრცის ტრადიციული ბარიერებით შეზღუდული. იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციების დინამიკურ გარდაქმნას დასაქმებულთა სამუშაო გარემოსა და მმართველობითი სტრუქტურის ჩათვლით. დაუდგრობა დაკავშირებულია პროდუქციის და მომსახურების ცვლილების სურვილთან, რაც უფრო მაღალი ინოვაციურობის და კრეატიულობის ვითარებას ქმნის. ინტეგრაცია - როდესაც სხვადასხვა ინდივიდი, ჯგუფი ან ორგანიზაცია ერთიანდება ვირტუალურ ორგანიზაციაში, მათ წარმატების მისაღწევად სჭირდებათ კოლექტიური ურთიერთქმედება. ეს კი გამომდინარეობს თანამშრომლობის კოოპერირების და ნდობის უფრო მაღალი დონიდან“ [3].

ვირტუალური ორგანიზაციების წარმოშობა სამმა მოვლენამ განაპირობა: პირველ რიგში, აღსანიშნავია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების და განსაკუთრებით ინტერნეტის დანერგვა; კომუნიკაციის უკიდურესმა გამარტივებამ გამოიწვია უმნიშვნელოვანესი ბიზნეს-აქტივობის აუთოსორსინგის გააქტიურება, რაც თავად იქცა ვირტუალური ორგანიზაციების შექმნის უმთავრეს ინსტრუმენტად. ბოლოს კი უნდა აღინიშნოს გლობალიზაციის შესახებაც. თანამედროვე ვითარებაში წარმოუდგენელია ნაციონალურ საზღვრებში ლოკალიზებული ვირტუალური ორგანიზაცია, რადგან ამ ტიპის წარმონაქმნების უმთავრეს უპირატესობას, რაც ფასულობათა ჯაჭვის ოპტიმალურობაში გამოიხატება, სწორედ მათი ფორმირებისთვის საჭირო კომპონენტების მრავალფეროვანი არჩევანი განაპირობებს. მართალია ზემოთ ფაქტორები ჩამოთვლილია მათი მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ თუ ქრონოლოგიურ-ლოგიკურ მიმდევრობას დავიცავთ, ვირტუალური ორგანიზაციების წარმოშობაზე უპირველესად აუთოსორსინგის გავლენა უნდა განვიხილოთ. სწორედ ეს მოვლენა გახდა ქსელური სტრუქტურების ფორმირების გან-

მაპირობებელი, რომელიც თავის მხრივ, ვირტუალური ორგანიზაციის საფუძველია. „ქსელური ეწოდება ისეთ ორგანიზაციას, სადაც ადმინისტრაციულ-დირექტიული, იერარქიული ურთიერთობების პარტნიორულ-სახელშეკრულებო კავშირებით ჩანაცვლება ხდება, სადღეისოდ ეს პროცესი იმდენად გაღრმავდა, რომ ამჟამად უკვე აქტიურად მსჯელობენ ბიზნესის ახალ სტრუქტურაზე, რომლის უმთავრესი დანიშნულება იქნება პარტნიორების კოორდინირება და არა სხვადასხვა სახეობის ბიზნეს-ფუნქციების და საწარმოო ოპერაციების უშუალოდ შესრულება“ [1, გვ.67]. როდესაც ამგვარ ქსელურ ურთიერთობებში ჩართული ერთეულები ერთმანეთთან კავშირის დასამყარებლად თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს იყენებენ, იქმნება ვირტუალური ორგანიზაცია. თვით სიტყვა „ვირტუალურიც“ ამ ტერმინში სწორედ ურთიერთობების ხილული სამყაროდან ციფრულ-ელექტრონულ სივრცეში გადატანას აღნიშნავს, თუმცა, ამ საკითხზე სხვა მოსაზრებაც არსებობს, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

ტერმინი - აუთოსორსინგი სამეცნიერო-პრაქტიკული მიზნებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოიყენება, თუმცა არსებობს მოსაზრებები, რომ მსგავს ქმედებას ბიზნესში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოდან ჰქონდა ადგილი. მაგრამ, მან განსაკუთრებული მნიშვნელობა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, კომუნიკაციურ ტექნოლოგიებსა და მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების გამო შეიძინა. სადღეისოდ ინფორმაციის გავრცელება და მოპოვება იმდენად გამარტივდა, რომ თამამად შეიძლება ითქვას - ეს ფაქტორი ეკონომიკური აქტივობის წინააღმდეგ ბარიერს აღარ წარმოადგენს. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა კი აუთოსორსინგის გავრცელების უმთავრესი გენერატორია. მსოფლიოში მსგავსი საქმიანობის სახეობების, ბიზნეს-პროცესების განმახორციელებელი უამრავი ფორმა არსებობს, უკიდურესად გაადვილდა მათგან ყველაზე ეფექტიანის შერჩევაც და კონკრეტული კომპანიის მიერ მისი მონაცემების

საკუთართან შედარებაც. შედეგად ეს უკანასკნელი ხშირად რწმუნდება გარე სტრუქტურების უპირატესობაში და მათთან ამყარებს გრძელვადიან პარტნიორულ ურთიერთობებს, აუქმებს რა საკუთარ სტრუქტურულ ერთეულს ან ფასეულობათა ჯაჭვის რგოლს. აუთსორსინგის შედეგად მიღებული კავშირის მართვა - ბრძანება-აღსრულებითი კონტექსტით შეუძლებელია და ამ შემთხვევაში ზემოქმედების მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტი რჩება. სწორედ ამის გამოა, რომ ქსელური და აგრეთვე ვირტუალური ორგანიზაციების არსებობის უმთავრეს გარანტიად პარტნიორების რეპუტაცია და ურთიერთნდობა გვევლინება.

ჩვენ მიერ შემუშავებული ფორმულის მიხედვით, ვირტუალური ორგანიზაცია ისეთი ქსელური წარმონაქმნია, რომლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი ერთმანეთთან კავშირს კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით უზრუნველყოფენ. შესაბამისად, თანამედროვე საინფორმაციო მიღწევების გარეშე წარმოუდგენელია ვირტუალური ორგანიზაციის არსებობა. როგორც აღვნიშნეთ, თვით ტერმინი - „ვირტუალური“, სწორედ კომპიუტერული ქსელების გამოყენებას უკავშირდება, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ორგანიზაციის ფიზიკური შემადგენლის ერთგვარ გაუჩინარებას, გაწოვას საინფორმაციო ციფრულ ველში. ამ ტერმინის გამოყენებას იმასაც უკავშირებენ, რომ სრულად ვირტუალიზებული კომპანიის ოფისი ტრადიციული ფორმით აღარც არსებობს, ანუ ის შენობა ან ფართი, რისი მეშვეობითაც ობიექტელის მიერ ხდება ორგანიზაციის ფიზიკური იდენტიფიცირება, სრულყოფილ ვირტუალურ ორგანიზაციას არ გააჩნია.

საინფორმაციო ტექნოლოგიები უსწრაფესი ტემპით ვითარდება. ამავე დროს მენეჯმენტში გამოყენებული ტექნიკური საშუალებები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ამ მხრივ გამოიყენება როგორც საყოველთაოდ გავრცელებული ფიჭური ტელეფონები, ინტერნეტი და მათთან ასოცირებული

სერვისები, ასევე ჯერ კიდევ ნაკლებ ხელმისაწვდომი ვიდეო კონფერენციების გამართვის საშუალებები და ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიები.

ვირტუალური თანამშრომლობისთვის გამოიზრდა ტექნოლოგიები ორ ჯგუფად იყოფა - ასინქრონული და სინქრონული ტექნოლოგიები. თანამშრომლობის ასინქრონული ინსტრუმენტები არ მოიაზრებს დროის კონკრეტულ მომენტში მონაწილეთა ერთობლივ საქმიანობას და მოიცავს დოკუმენტების საერთო გამოყენების პროგრამულ უზრუნველყოფას, კალენდარული და ახალი ამბების ჯგუფებს. სინქრონული საშუალებები კი მონაწილეთა ურთიერთქმედებას დროის კონკრეტული მომენტისთვის უზრუნველყოფს და აერთიანებს ვირტუალური შეხვედრების ოთახს (ჯგუფური მხარდაჭერის სიტემები), ერთობლივ სააკლიკაციო და ელექტრონულ დაფებს, ვიდეო და აუდიო კონფერენციებს. ამ ორი ტექნოლოგიის კომბინაციის შედეგად მიიღება ისეთი საინტერესო ინტეგრირებული თანამშრომლობის სისტემები, როგორცაა თანამშრომლობის ვირტუალური სივრცე. ყველა ეს ტექნოლოგია უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს, თანაც პერპსექტივები მართლაც რომ ფანტასტიკურია. ამის დასტურად გამოდგება ერთი მოვლენა, რომელიც ევროპაში, კერძოდ ისლანდიაში 2010 წელს მოხდა და საქმიანი აქტივობის მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია. მხედველობაში გვაქვს ვულკანის ამოფრქვევა, რომლის შედეგადაც საკმაო ხნით პარალიზებული იყო საჰაერო სამგზავრო გადაზიდვები. კარგად არის ცნობილი, რომ საქმიანი ადამიანებისთვის თვითმფრინავი შეუცვლელი ტრანსპორტია შორ მანძილზე გადასაადგილებლად. ამიტომ, ამ ბუნებრივმა კატაკლიზმამ ევროპაში კინაღამ ეკონომიკური აქტივობის კოლაფსი გამოიწვია. სწორედ მაშინ კონტინენტის საქმიანმა წრეებმა აქტიურად დაიწყეს ვირტუალური თანამშრომლობის ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი ვიდეო და აუდიო კონფერენციების გამოყენება. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტექ-

ნოლოგიების როლი მომავალში განსაკუთრებით გაიზრდება, რაც დაკავშირებულია ინერნეტ2-ის, ანუ მომავლის ინტერნეტის დანერგვასთან, რომელსაც ინფორმაციის გადაცემის გაცილებით უკეთესი შესაძლებლობა ექნება არსებულთან შედარებით. არცთუ შორეულ მომავალში რეალური გახდება დისტანციურად სრულფასოვანი უმაღლესი განათლების, სამედიცინო დახმარების და სხვა სერვისების მიღება.

ვირტუალური ორგანიზაცია შესაძლებლობას აძლევს პერსონალს ოფისს მიღმა, არა ერთ რომელიმე კონკრეტულ შენობაში, არამედ სხვადასხვა ადგილზე შეასრულოს სამუშაო. მაგრამ ამ მხრივაც არსებობს განსხვავება. პირველ შემთხვევაში დაქირავებული ასრულებს ძირითადად ინფორმაციულ შეკვეთას და შესრულებულ სამუშაოს ინტერნეტის მეშვეობით უგზავნის დამქირავებელს. მაგრამ, თანამედროვე ე.წ. ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ დაქირავებულმა მოშორებით, ფიზიკური ხელმისაწვდომობის დისტანციაზე გაცილებით შორს, შეასრულოს კონკრეტული მოქმედებები. უფრო სწორად მოხდეს მის მიერ ერთ ადგილზე განხორციელებული მოქმედებების უზუსტესი გადაცემა შორ მანძილზე. ამ ტექნოლოგიების საფუძველზე მომავალში ვირტუალური ორგანიზაციები არა მარტო სერვისის სექტორში იქნება პოპულარული, არამედ ფართოდ დამკვიდრდება მატერიალურ წარმოებაშიც, თუ რა თქმა უნდა, ამის საჭიროება წარმოიქმნა და ეკონომიკურადაც დასაბუთებული აღმოჩნდება ეს. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიის ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს პერსონალის საქმიანობა იმ პირობებში, როდესაც სამუშაოს განხორციელებისა და შემსრულებლის განთავსების ადგილები დაშორებულია ერთმანეთისგან. ქვემოთ მოტანილია ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიების ის ტიპები, რომლებიც ზემოთ განხილული მიზნისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. ეს ტექნოლოგიებია: „შედწევადი სისტემები - მისი მომხმარებელი სამყაროსთან კონტაქტს

ამყარებს კომპაქტური, მოძრავი მოწყობილობების მეშვეობით (მაგ: ვირტუალური მუზარადები, სამგანზომილებიანი სათვალეები, სენსორული ხელთათმანები) და ერთვება მათთან ინტერაქციაში როგორც მათი ნაწილი. ვირტუალური რეალობის ეს ფორმები ყველაზე უფრო პოპულარული და აღქმადია; სამაგიდო სისტემები - ნაკლები შესაძლებლობებით და ფასით გამოირჩევა. მათი მეშვეობით მომხარებელს შეუძლია სამყაროსთან ინტერაქცია, მაგრამ მასში ჩართვის გარეშე; სატელევიზიო დასწრების ტექნოლოგიები - მომხმარებელი დისტანციურად ახორციელებს კონტროლს მექანიკური მანიპულატორის მეშვეობით ამა თუ იმ მოქმედებების შესრულების თუ მსოფლიოს ზოგიერთი ასპექტის გამოსაკვლევად. ეს ტექნოლოგიები გამოიყენება მარსის შესასწავლად, ოკეანეების სიღრმეების გამოსაკვლევად“ [3].

გლობალური საინფორმაციო ველის ფორმირებამ, საზღვრების გამჭვირვალობის ზრდამ და რეგიონალიზაციის პროცესმა წარმოშვა საერთაშორისო ქსელური კავშირების ფორმირების შესაძლებლობა. თანამედროვე პირობებში, ვირტუალური ორგანიზაციის არსზე მსჯელობა არ იქნება სრულყოფილი, თუ ამას ზენაციონალური კონტექსტით არ განვახორციელებთ. ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია კანონმდებლობის სინქრონიზაციის პროცესი, რაც ორი ვექტორის ურთიერთფორსირების შედეგად ვითარდება. ერთი მხრივ გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში საერთო „თამაშის წესების“ დამკვიდრებისთვის მოწოდებულია საერთაშორისო ეკონომიკური და სხვა მომიჯნავე ფუნქციის მქონე ორგანიზაციები, ხოლო, მეორე მხრივ კი მიმდინარეობს რეგიონალიზაციის პროცესი და დღეს ძნელად მოიძიება პლანეტაზე ქვეყანა, რომელიმე მსგავსი გაერთიანების წევრი არ იყოს. სამართლებრივ სივრცეში არსებული განსხვავებები უმთავრესი პრობლემაა საერთაშორისო ქსელური ურთიერთობებისთვის, რაც სწორედ რეგიონული ინტეგრაციის და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით დაიძლევა.

ვირტუალურ ორგანიზაციებს დიდი პოტენციალი გააჩნია მსოფლიო ბიზნესისთვის, მაგრამ მათი როლი განსაკუთრებულია განვითარებადი სამყაროს მცირემასშტაბიანი ქვეყნებისთვის. ასეთი სახელმწიფოების სამეწარმეო სტრუქტურების განსაკუთრებულ პრობლემაა მსოფლიო ბაზრებისადმი წვდომა, რაც სწორედ ვირტუალური პარტნიორული კავშირების მეშვეობით შეიძლება გადაიჭრას. აქ უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ სადღეისოდ მსოფლიოში სულ უფრო ვითარდება მცირე ბიზნესისა და გიგანტური მულტინაციონალური კომპანიების თანამშრომლობა, ე.ი. განვითარებადი სამყაროს ახლადშექმნილ მცირე კომპანიებს გაუჩნდა შანსი მსხვილ საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობისა. დაინტერესება ამ შემთხვევაში ორმხრივია. „პატარა საწარმოებისთვის მულტინაციონალურ კომპანიებთან (მნკ) თანამშრომლობის შესაძლებლობები თავისთავად ნათელია: მნკ-ები თავაზობენ მათ გაყიდვებიდან შემოსავლების პოტენციურ წყაროს; ისინი უზრუნველყოფენ გლობალური ბაზრებისა და საკუთარი კლიენტებისადმი ხელმისაწვდომობას და თავაზობენ პატარა კომპანიებს ისეთ უზარმაზარ ბერკეტებს, როგორცაა მნკ-ების ბრენდი და ღრმა ტექნოლოგიური კომპეტენციები. მნკ-ებისთვის კი პატარა საწარმოებთან თანამშრომლობას შეიძლება არაიმდენად თვალსაჩინო, მაგრამ მნიშვნელოვანი უპირატესობა მოაქვს. განვიხილოთ ორი უმთავრესი მათგანი: პატარა საწარმოს ხშირად აქვს მნიშვნელოვანი დამატებითი აქტივები, რომელთა დაუფლები-სთვისაც მნკ იბრძვის, რადგან ამაზე დამოკიდებულია მათი ეფექტიანი განვითარება. უმთავრესად ეს აქტივებია ადგილობრივი ცოდნა და ლოკალური ბაზრებისა და დისტრიბუციის არხებისადმი ხელმისაწვდომობა; ბევრი მსხვილი მნკ აქტიურად ეძიებს ახალ იდეებს და ინოვაციებს მსოფლიო მასშტაბით. მათ ამის მიღწევის დამატებითი საშუალებაა ლოკალურ ბაზრებზე მცირე საწარმოებთან თანამშრომლობის შედეგად უჩნდებათ“ [4, გვ.7].

იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ბიზნესის ამ თანამედროვე ფორმის გამოყენება, ქვეყანაც უნდა აკაყოფილებდეს რამდენიმე პირობას: პირველ რიგში, იქ კარგად უნდა იყოს განვითარებული კომუნიკაციური ინფრასტრუქტურა, უნდა ცხოვრობდეს განათლებული ადამიანები, რომელთაც შეეძლება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მეტ-ნაკლებად უნდა ფუნქციონირებდეს სამართლებრივი გარემოს მარეგულირებელი სახელმწიფო ინსტიტუტები და ქვეყნის ბიზნეს-სტრუქტურები უნდა სარგებლობდეს სანდოობის მაღალი ხარისხით. ეს პარამეტრები კი იმდენად რთული დასაკმაყოფილებელია, რომ ამგვარი განვითარებადი სახელმწიფოს პოვნა რთულია. ჩვენი აზრით, საქართველოა ის იშვიათი გამონაკლისი, რომელიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ პირობებს და გარდა ამისა გააჩნია დამატებითი უპირატესობები, რაც აქ ვირტუალური კომპანიების განვითარების საშუალებას იძლევა. საქართველოში ცხოვრობს განათლებული მოსახლეობა, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ქართველები ყოველთვის დიდ დაინტერესებას და ცოდნას ავლენდნენ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართ. საქართველოს რეგიონში საკვანძო გეოგრაფიული ადგილმდებარეობა უკავია, რაც პერსპექტივაში კარგ შესაძლებლობას იძლევა, რათა აქ შეიქმნას ვირტუალური კომპანიების მაკოორდინირებელი ცენტრები. უახლოეს პერიოდში საქმე გვექნება ტრადიციული და ვირტუალური სტრუქტურების ერთგვარ სიმბიოზთან, როდესაც ქართული წარმოშობის კომპანიები და ფიზიკური პირები საკუთარ პროდუქციას თუ სამსახურს შესთავაზებენ უცხოურ მულტინაციონალურ კომპანიებს. ამგვარი აქტიუობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნის მცირე მასშტაბების გამო, რადგან ადგილობრივ პირობებში ურთულესი პრობლემა იქნება მსხვილი და მრავალპროფილური საწარმოების ფორმირება და გლობალურ ბაზრებზე საბოლოო მომხმარებელზე პირდაპირ გასვლა. თავდაპირვე-

ლად მოხდება იმ სფეროების ვირტუალიზება, სადაც ეს ყველაზე მეტად არის შესაძლებელი. უპირველესად ეს შეეხება იმ ორგანიზაციებს და სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთა საქმიანობის შედეგი არის ინფორმაცია და ძირითადად არამატერიალური რესურსები სჭირდებათ. ეს მიმართულებებია საინფორმაციო, ინტელექტუალური, შოუ-ბიზნესის სფეროები. თუმცა, პერსპექტივაში ყველა ტიპის ორგანიზაცია შეიძლება გადავიდეს ვირტუალურ ფორმაზე. პირველ რიგში ეს შეეხება ადმინისტრაციულ სამუშაოს, აგრეთვე კავშირების დამყარებას როგორც ორგანიზაციებს შიგნით, ასევე მიმწოდებლებსა და მომხარებლებთან. გარდა ამისა, ბიზნესურთიერთობების ვირტუალიზაცია ძალიან პერსპექტიული იქნება საპროექტო ორგანიზაციებში. ქართული წარმოშობის მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც საინფორმაციო, არამატერიალური პროდუქციის შექმნაზე არიან სპეციალიზებულნი, კარგი შანსი უჩნდებათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში. მსგავსი ერთეული ფაქტები უკვე არსებობს, მაგრამ ამას ჯერ კიდევ არ მისცემია სისტემური ხასიათი. ვირტუალური ორგანიზაციების საქართველოში დანერგვა ასევე მოიტანს იმ უპირატესობებს, რაც ზოგადად ახასიათებს მათ. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის დადებითი ცვლილებები, რაც ვირტუალური ორგანიზაციის პერსონალთან არის დაკავშირებული. ვირტუალური ორგანიზაციის უმთავრესი მახასიათებელი ხომ ის არის, რომ მას არ სჭირდება საკუთარი პერსონალის მუდმივად ერთ ადგილზე კონცენტრირება. თანამედროვე ვითარებაში ვაკანსიისთვის გამოცხადებული კონკურსის შემდეგ არ იქნება საკვირველი შემდეგი ფრაზის მოსმენა: „თქვენ დანიშნული ხართ! მიბრძანდით შინ და. . .“ შეუდევით სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას!“. შინ შრომა მრავალ სიკეთეს მოუტანს დაქირავებულს. მათგან აღსანიშნავია: ნაკლები სტრესული ზემოქმედება, საოჯახო ცხოვრების გაუმჯობესება - ეს განსაკუთრებით ეხება დედებს, რომლებსაც მცირეწლოვანი

შვილები ჰყავთ; სატრანსპორტო და კვების დანახარჯების შემცირება, დროის დაზოგვა. თუმცა, ერთი შეხედვით, ეს ფანტასტიკური შესაძლებლობა არ აღმოჩნდა ბევრისთვის აღმაფრთოვანებელი. შინ შრომის საწინააღმდეგო არგუმენტები, პირველ რიგში, ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ. ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში ცალსახად დადასტურდა ადამიანისთვის სოციალური მოთხოვნილებების მნიშვნელობა. ჯგუფური ურთიერთობების როლზე აღარავინ დაგობს „ჰოთორნას“ ექსპერიმენტის შემდეგ. სოციალიზაციისადმი ღტოლვა შრომისადმი მოტივაციის მძლავრ ფაქტორადაც გვევლინება. სწორედ ამიტომ, „საოფისე“ ცხოვრებას გააჩნია თავისი ხიბლი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზოგიერთისთვის, თვით იმ მატერიალურ თუ სხვა სახეობის სარგებელზეც კი, რის შესახებაც ზემოთ იყო მსჯელობა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ადამიანის კონსერვატული ბუნება. ამჟამად მცხოვრებნი იმ თაობებს მივუკუთვნებით, ვისთვისაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები რევოლუციურ სიახლედ დარჩება და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩვენგანი უპრობლემოდ სარგებლობს აღნიშნულით, ადამიანისათვის დამახასიათებელი სიახლისადმი შიშის გამო, სრული ფსიქოლოგიური თავსებადობა მათდამი ჯერ კიდევ არ არის. გამომდინარე აქედან, პირადი უშუალო ურთიერთობები ნაკლებად საეჭვო და უფრო კომფორტულია დიდი უმრავლესობისთვის, ვიდრე „ელექტრონული შეამავლების“ მეშვეობით.

ვირტუალიზაცია თავად ორგანიზაციებისთვისაც მრავალი უპირატესობის მომტანია. მათგან აღსანიშნავია: მწარმოებლურობის ზრდა, უძრავ ქონებაზე გაწეული დანახარჯების შემცირება, მოქნილობის ზრდა, სამუშაო ძალის ღირებულების შემცირება, „გაცდენების“ მინიმიზაცია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს იმ პრობლემების შესახებაც, რომელთაც ვირტუალური ორგანიზაციები აწყდება. ამ მხრივ უპირველესად უნდა ითქვას კონტროლის გართულების შესახებ. კონტროლი მცირდება იმიტომ, რომ ვირტუალურ ორგანიზაციას

ამავე დროს გააჩნია ბრტყელი სტრუქტურა, სადაც მინიმუმადეა დაყვანილი იერარქიული საფეხურების რაოდენობა და მათ შორის ურთიერთობები ემყარება კვალიფიციური პროფესიონალების თვითმოტივაციას და ექსპერტული ძალაუფლებით აღჭურვილი მენეჯერის მმართველობას. ამ შემთხვევაში ვერ ხერხდება შემსრულებლის ქცევის კონტროლი და მოწმდება მხოლოდ მისი სამუშაოს საბოლოო შედეგი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვირტუალურ ორგანიზაციებში ხდება განსაკუთრებით დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გაგზავნა, რაც ხშირად წარმოქმნის პრობლემებს. განსაკუთრებით რთულია საავტორო, საიდუმლო ინფორმაციის დაცვა. ვირტუალურ ორგანიზაციებში დიდ ძალისხმევას საჭიროებს ერთიანი კოლექტიური სულისკვეთების ფორმირება, რადგან ფიზიკურად დაშორებულ პერსონალს უჭირს საკუთარი თავის იდენტიფიცირება კომპანიასთან.

ვირტუალური ორგანიზაციების მასობრივად გავრცელების დადებითი ეფექტია ისიც, რომ შემცირდება ტრანსპორტის, გზების დატვირთვა, დაიზოგება საწვავი და გაუმჯობესდება ეკოლოგიური ვითარება, განიტვირთება მსხვილი ქალაქები და მეტი პერსპექტივა გაჩნდება გარეუბნებისა და პროვინციული დასახლებული პუნქტებისთვის.

Virtual organizations - opportunity for rapid integration of Georgian business in global economy

B. Ramishvili

Rapid and multiple changes have been going on in the world economy in recent decades, which has fundamentally changed the global business environment. The most important are the processes connected to the approaches of the formation and management of commercial organizations. In this regard, the main event is formation of virtual organizations, that is the reaction of management to changes going in business environment. The factors affecting commercial organizations

are discussed in the article. There are also shown and analyzed virtual organizations' definitions, determining factors of their production and advantages and problems which are connected with functioning. The final part of the article discusses the advantages, that the formation of virtual organizations can bring to Georgian business and it is concluded that the virtual organizations are the most important tool for Georgia's rapid business integration in global economy.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბადრი რამიშვილი - თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურები უკრნ. „ეკონომიკა“ 1-2, 2013 წ. 61-69 გვ;

2. Nancy J. Barger and Linda K. Kirby - The Challenge of Change in Organizations

DAVIES-BLACK PUBLISHING Palo Alto California, 1995;

3. Les Pang - Understanding Virtual Organizations - <http://www.isaca.org/Journal/Past-Issues/2001/Volume-6/Pages/Understanding-Virtual-Organizations.aspx>;

4. Shameen Prashantham Julian Birkinshaw - Dancing with Gorillas: How Small Companies Can Partner with MNC-s - California Management Review fall 2008, pp. 6-23;

5. Theo DIMITRAKOS, David GOLBY, Paul KEARNEY - Towards a Trust and Contract Management Framework for dynamic Virtual Organisations - <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/summary?doi=10.1.1.100.8431>;

6. Marco Mazzeschi – The Virtual Organization – 7th International Conference on Concurrent Enterprising Bremen Germany, 27-29 June 2001 - <http://freepdfdb.org/pdf/the-virtual-organisation-41946563.html>;

7. Малкольм Уорнер, Морген Витцель - Виртуальные организации. Новая форма ведения бизнеса в XXI веке, Москва, 2005, 296 с.

**ორგანიზაციული ქსევის
რეგულირების მეთოდები**

ნინო შარესაშვილი

**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი**

ინდივიდების ქმედებები დამოკიდებულია მათ გრძნობებსა და შეხედულებებზე როგორც საკუთარი პიროვნების, ასევე კოლეგებისა და მთლიანობაში - ორგანიზაციის შესახებ. იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერ ორგანიზაციაში გადაწყვეტილებას რესურსების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით ცალკეული პიროვნება იღებს, ორგანიზაციული ქცევის კონცეფციები და პრინციპები მენეჯერებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ორგანიზაციული ქცევის რეგულირების ქმედითუნარიანი ბერკეტების გარეშე კი თანამშრომლებს შორის არსებულ კონფლიქტებსა და გაუგებრობას შეუძლია დაარღვიოს ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმები. ადამიანები, განსხვავებული შესაძლებლობებითა და შეხედულებებით, რომლებიც ერთიანდებიან ჯგუფებში, ერთად უფრო მეტს აღწევენ, ვიდრე ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად.

იმის ცოდნა, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ასე და არა სხვაგვარად, შესაძლოა პოზიტიური ხელმძღვანელობის საფუძველი გახდეს, რაც დადებით შედეგს უზრუნველყოფს. მენეჯერებს ასევე შეუძლიათ ე.წ. ორგანიზაციული მოქალაქეობის სტიმულირება – ესაა სამსახურებრივი ქცევა,

რომელიც სცდება სამსახურებრივი მოთხოვნის ფარგლებს და უზრუნველყოფს ორგანიზაციის წარმატების მიღწევას. ორგანიზაციული მოქალაქეობის გამოვლინება შესაძლოა იყოს, მაგალითად, კოლეგების დახმარება, ზენორმატიული სამუშაო, გარემოებებიდან გამომდინარე, პროდუქციისა და პროცედურების სრულყოფის გზების ძიება. ორგანიზაციული მოქალაქეობის გასაავითარებლად, მენეჯერებმა სხვადასხვა გზით უნდა გამოიყენონ თავისი ცოდნა ორგანიზაციაში ადამიანების შესახებ. ამაში მოიაზრება თანამშრომლების შერჩევა პოზიტიური პიროვნული ხასიათის მიხედვით, ასევე, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაეხმარებიან ისინი თანამშრომლებს, შეძლებენ სხვათა პრობლემების გაზიარებას და ერთობლივად პრობლემების გადაწყვეტას.

ჩვენ, შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ ორგანიზაციული ქცევის ინსტრუმენტები შესაძლოა გამოყენებული იქნეს ორგანიზაციის თანამშრომლების თავისუფლების შეზღუდვის და უფლებების შელახვის მიზნით. ასეთი სცენარის განვითარება ნამდვილად შესაძლებელია, მაგრამ, ჩვენი თვალსაზრისით, ნაკლებად განსახორციელებელია, რადგან, მენეჯერების ქმედებები ზოგადად საზოგადოების მუდმივ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. მენეჯერს უნდა ახსოვდეს, რომ ორგანიზაციული ქცევა – ესაა ქმედითუნარიანი ღონისძიებები, როგორც ინდივიდების, ასევე ორგანიზაციების ურთიერთსარგებლიანობის უზრუნველსაყოფად.

ლოიალური და ერთგული პერსონალისაგან მიღებულ სარგებელზე უარს არცერთი მენეჯერი არ იტყვის. ეს გულისხმობს კადრების დაბალ დენადობას, თანამშრომელთა მზადყოფნას - იმაზე მეტი გააკეთონ, ვიდრე მათ ევალებათ. კადრების ერთგულება ძალიან მნიშვნელოვანია ისეთ ბაზრებზეც, სადაც სამუშაო ძალის დეფიციტია, ანუ სადაც დამსაქმებლები ერთმანეთის კონკურენტები არიან

კვალიფიციური სამუშაო ძალის მოძიებისას.

ორგანიზაციისადმი თანამშრომელთა ერთგულების ჩანერგვისათვის მენეჯერმა თანამშრომლებს უნდა მისცეს მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება, უზრუნველყონ ყველა იმ რესურსით, რაც განაპირობებს მათ წარმატებას კომპანიაში, სამართლიანად მოექცნენ მათ, შესთავაზონ თანამშრომლებს მათთვის ფასეული ჯილდოები და სხვა. მაგალითად, თანამედროვე გამოკითხვები გეჩვენებს, რომ თანამშრომლების ერთგულება მჭიდრო კავშირშია ინიციატივებსა და შეღავათებთან, რომელიც მიმართულია ოჯახურ ცხოვრებასა და სამსახურს შორის ბალანსის შენარჩუნებაზე.

ზოგიერთი ორგანიზაცია ადეკვატურად იყენებს შესაძლებლობას ხელშეკრულება გააფორმოს ინდივიდთან ცალკეული თვისებების მიხედვით, მაგალითად, ინდივიდის კვალიფიკაციის ან ანალიზის უნარით, მაგრამ, რეალურად კომპანიას უწევს დაიქირავოს არა მარტო ინდივიდი, არამედ პიროვნება მთელი მისი მახასიათებლებით. ადამიანის სხვადასხვა მახასიათებელი შეიძლება შევისწავლოთ ცალ-ცალკე, მაგრამ საბოლოოდ, გამოკვლევის დასკვნითი ფაზაა სინთეზი, რომელიც გვთავაზობს პიროვნების, როგორც ერთიანი სისტემის კომპლექსურ ანალიზს. პროფესიონალური ოსტატობა არ არსებობს გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე, ადამიანის პირადი ცხოვრება არ შეიძლება მთლიანად იყოს განცალკევებული შრომის პროცესისგან, ისევე როგორც მორალური მახასიათებელი განუყოფელია ფიზიკურისგან.

ორგანიზაციული ქცევის რეალიზაცია ვარაუდობს, რომ ორგანიზაციის ადმინისტრაციას სჭირდება არა უბრალოდ კვალიფიციური თანამშრომლები, არამედ განვითარებული პიროვნებები. ამასთან, მუშაკთა შრომითი საქმიანობა ბევრ რაღაცაში განსაზღვრავს მათს ინდივიდუალურ თვისებებს, მაშასადამე, მენეჯერებმა უნდა იფიქრონ თუ

როგორ ზემოქმედებს სამსახური მთლიანად პიროვნებებზე. თანამშრომლები გვევლინებიან არა მარტო ორგანიზაციის წევრებად იქსადაც მიმდინარეობს მათი შრომითი საქმიანობა, არამედ სხვადასხვა საზოგადოების წევრებად ორგანიზაციის გარეთ. ამიტომ, თანამშრომლების პიროვნული განვითარება დადებითად აისახება არამარტო მათ შრომით საქმიანობაზე, არამედ ის ვრცელდება ფირმის საზღვრებს გარეთაც.

ყოველ ჩვენგანს უნდა, რომ თავი იგრძნოს კომფორტულად მატერიალური და სულიერი თვალსაზრისით. ეს სურვილი გამოიხატება თვითეფექტურობის მისწრაფებაში ან იმის რწმენაში, რომ ჩვენ შევძლებთ შევასრულოთ დაკისრებული სამუშაო. გავამართლოთ მოლოდინი, შევიტანოთ მნიშვნელოვანი წვლილი საერთო წარმატების მიღწევაში. ბევრი თანამშრომელი აქტიურად ცდილობს, თავისი ნიჭის და იდეების საშუალებით, ხელი შეუწყოს ორგანიზაციის წარმატებას, გაუზიაროს კოლეგებს ის, რაც ისწავლეს და გაიგეს თავისი გამოცდილებით. ორგანიზაციებმა უნდა შეუქმნან მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები ასეთ მუშაკებს იმიტომ, რომ საქმე ეხება ორივე მხარის სარგებლიანობას.

ადამიანურ რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს პიროვნული ზრდის და ინდივიდის განვითარების ანალიზს, უფრო მაღალი კომპეტენციის მიღწევების დონეს, შემოქმედებით აქტიურობას და შესრულების მაღალ დონეს. მართვისადმი ტრადიციული მიდგომა ვარაუდობს, რომ მიზნებზე გადაწყვეტილებებს დებულობს მენეჯერი, რომელიც მკაცრად აკონტროლებს თანამშრომლის მხრიდან ამოცანის ამოსსნას. მოცემულ შემთხვევაში მართვას აქვს დირექტიული და მკონტროლებელი ხასიათი. ამის საპირისპიროდ, ადამიანურ რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა არის მხარდამჭერი. იგულისხმება, რომ მენეჯმენტის ამოცანაა ხელი შეუწყოს თანამშრომლების ჩვევების გაუმჯობესებას,

სიახლეების დანერგვას, სრულყოფას, პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას, ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც გაზრდის მათ წვლილს ორგანიზაციის მიზნის მიღწევაში.

ამგვარად, თანამშრომლებისათვის უნარების განვითარება და მათი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის ასპარეზის მიცემა უშუალოდ განაპირობებს მწარმოებლურობის ზრდას და შრომითი კმაყოფილების ხარისხის ამაღლებას.

ორიენტაცია ადამიანურ რესურსებზე ნიშნავს, რომ ჰარმონიულად განვითარებული, მაღალი მორალური პრინციპების მიმდევარი ინდივიდები ასრულებენ სამსახურებრივ დავალებებს უფრო უკეთესად და აღწევენ უფრო მაღალ შედეგებს. მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანურ რესურსებზე ეთვალისწინებს მენეჯერის ძირითადი ყურადღების გადართვას თანამშრომლების კონტროლიდან მუშათა შრომითი მაჩვენებლების ზრდის მხარდაჭერისკენ.

დღევანდელი რეალობის მიხედვით გავრცელებული აზრით, მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ ტრადიციული თეორიები ამცირებს მართვის სიტუაციების რეალურ სირთულეს, რომელსაც ესაჭიროება სხვადასხვა ქცევითი კონცეფცია. რაც გარკვეულწილად უკავშირდება ორგანიზაციული ქცევის სიტუაციური მიდგომის წარმოშობას, რომლის თანახმად ეფექტიანობის მიღწევა სხვადასხვა სიტუაციაში ითვალისწინებს სპეციფიკურ ქცევებს.

კონკრეტული სიტუაციის დეტალური ანალიზის საშუალებით შეგვიძლია მოვახდინოთ მისი მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიკაცია და განვსაზღვროთ ორგანიზაციული ქცევის უფრო ეფექტური მეთოდები. სიტუაციური მიდგომის უპირატესობაა ის, რომ იგი ხელს უწყობს ორგანიზაციაში არსებული პირობების გაფართოებული ანალიზის ჩატარებას და დასკვნებს მიიხნევს მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლად, ე.ი. მოცემული კონცეფცია საშუალებას აძლევს მენეჯმენტს

უარი თქვას ტრადიციულ შეხედულებებზე თანამშრომლების ქცევების შესახებ და დაეყრდნოს უნივერსალურ პრინციპებს. სიტუაციური მიდგომის გამოყენება ითვალისწინებს სისტემურობას, მეცნიერული დისციპლინების ფართო წრის გამოყენებას, კვლევებზე ორიენტირებას. შესაბამისად, ის ხელს უწყობს ორგანიზაციებში მენეჯერების „არსენალში“ მყოფ ყველა ცოდნის გამოყენებას ადამიანების ქცევის შესახებ.

სისტემა სოციალურ წონასწორობაშია, თუკი მის ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს შორის არის დინამიკური სამუშაო წონასწორობა. წონასწორობის ცნება თვითონ დინამიკურია და არა სტატიკური. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ორგანიზაციაში ადგილი აქვს მუდმივ ცვლილებებსა და მოქმედებებს, სამუშაო წონასწორობა მაინც მყარდება. ორგანიზაციაში არსებული სოციალური სისტემა მუდმივ მოძრაობაშია.

სოციალური სისტემის ცვლილებები სწრაფად შთანთქავს არსებულ ელემენტებს და ცდილობს თავიდან მიაღწიოს წონასწორობას. მეორე მხრივ, სერიოზული ცვლილებებს ან შედარებით მცირე, მაგრამ ერთმანეთის მიყოლებულ ბევრ ცვლილებას, რომელიც სწრაფად ურთიერთქმედებს ერთმანეთზე, ორგანიზაცია გამოყავს წონასწორობიდან და ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ კვლავ არ მოხდება გაწონასწორება. სისტემის დისბალანსი იწვევს ჰარმონიის დარღვევას და ეს შეიძლება არცთუ იშვიათად კონფლიქტშიც გადაიზარდოს.

ყოველთვის, როცა ინდივიდი მოქმედებს სხვა ადამიანების მოლოდინის შესაბამისად, მისი ქმედება არის სოციალური. ადამიანი არსებობს განსაზღვრულ სოციალურ კულტურაში, ანუ იმ გარემოში, სადაც ყალიბდება ადამიანის რწმენა, მისი თვისებები, ჩვევები, ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. კულტურა განისაზღვრება საზოგადოებაში

ზოგადად მიღებული ქცევებით და გავლენას ახდენს ინდივიდის ყველა ქმედებაზე. ხშირად სოციალური კულტურა განისაზღვრება ნაციონალური კულტურის მიხედვით. ნაციონალური კულტურის კრიტერიუმი შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი შემადგენელი სუბიექტების ურთიერთობებით, შრომითი ვალდებულებებით, ცვლილებების მიმართ დამოკიდებულებით. თუმცა, ნაციონალური კულტურის შიგნით შეიძლება ასევე არსებობდეს განსხვავებული სოციალური კულტურები, რაც ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის ქმედებებზე შრომის პროცესში. კულტურული განსხვავებები განაპირობებს ასევე გადაწყვეტილების მიღების წესებს, დამოკიდებულებას ხელმძღვანელობასთან, დამოკიდებულებას მანდილოსნებთან და მიღებული ხელმძღვანელობის სტილს. მენეჯმენტის მიერ სოციალური კულტურის გათავისებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა როგორც მართვის პროცესისათვის, იმდენად რამდენადაც ხელმძღვანელმა პირებმა სწორად უნდა აღიქვან და შეაფასონ თავიანთი ორგანიზაციის წევრების გამოცდილება და ცოდნა.

ინდივიდის მიერ სოციალურ კულტურაში ორიენტირების მცდელობა, მისი მოთხოვნების გათვითცნობიერება და შესაძლო რეაქცია უზრუნველყოფს ინდივიდის სწორ შეფასებას, სტაბილურობისა და სიმშვიდის შეგრძნებებს. თუმცა, ზოგიერთ კულტურაში ინდივიდთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ზღუდავენ და აიძულებენ მათ მხოლოდ კონკრეტულ ჩარჩოებში იმოქმედონ და იაზროვნონ. თანამშრომლებმა უნდა მოახდინონ სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ადაპტირება, რათა გამოიყენონ მათ წინაშე არსებული შესაძლებლობები შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით. ვალდებულების მოთხოვნა არის სოციალური ურთიერთობებისა და სხვებთან ერთად საზოგადო ზრუნვის ვალდებულების განვითარება.

ის გვიხსნის, თუ რატომ აქვთ ადამიანებს, რომლებიც განიცდიან სოციალური კონტაქტების ნაკლებობას უფრო მეტად აქვთ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. ვალდებულების მოთხოვნილება ზრდის ადამიანთა მოტივაციას თანამშრომლობისაკენ და შესაბამისად, არის ფუნდამენტური ინგრედიენტი ორგანიზაციის წარმატებასა და საზოგადოების განვითარებაში. (9. გვ. 793–814).

რაც შეეხება განსხვავებას მენეჯერების მიერ განხორციელებულ მოტივაციასა და მანიპულირებას შორის, არც თუ ძნელი გასარჩევია. ცხადია, თუ მუშაკი ხვდება რა ხდება, რეალურად რასთან აქვს საქმე და აქვს შესაძლებლობა და სურვილი გააკეთოს შეგნებულად არჩევანი, ეი მანიპულაციას არ აქვს ადგილი. აგრამ, იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს არაშეთანხმებულ ხელმძღვანელობასთან, არ არსებობს თავისუფალი არჩევანი, მაშინ უკვე შეიძლება ლაპარაკი მანიპულირებაზე, მიუხედავად იმისა, ვინ არის მისი სუბიექტი - კოლეგა თუ მენეჯერი. სამუშაო ადგილები ეკუთვნის კომპანიას, მომუშავე კი ვალდებულია თავად იზრუნოს კარიერაზე. [7, გვ.116]. ამ შემთხვევაში, მენეჯერმა მოტივაციის ფორმირებისას უნდა გამოიყენოს ის მიდგომები, რომლებშიც ასახულია ახალი რეალობა.

ორგანიზაციული ქცევა ეფუძნება სწრაფი ეფექტის მოლოდინს ქცევითი პროგრამების რეალიზაციიდან. აუცილებელია თითოეულმა მუშაკმა თავი იგრძნოს როგორც მეწარმემ. ცვალებადი გარემოცვა ორგანიზაციული ქცევის კიდევ ერთი პრობლემაა. იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზაცია იმყოფება სტაგნაციის ან კრიზისის მდგომარეობაში, კონფლიქტური და სტრესული სიტუაციები მკვეთრად იზრდება. არასაკმარისი ინფორმაცია ორგანიზაციული ქცევის კიდევ ერთი პრობლემაა. დისკუსიას იწვევს კვლევების ობიექტის (ადამიანი, ჯგუფი, ორგანიზაცია მთლიანად), ორგანიზაციული ქცევის როლის (ემპირიული წყარო და ინტეგრირებული

თეორია) ან მიმართულებების (მიკრო და მაკროპრობლემები) განსაზღვრა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციული ქცევის რეგულირებისა და სასურველი შედეგებით მოტივირების შედეგად ინდივიდი ცვლის თავის ქცევას. ცხადია, ამ შემთხვევაში მენეჯმენტი მანიპულირებს ადამიანებით თავისი ინტერესების შესაბამისად, რაც ეწინააღმდეგება ადამიანების მოთხოვნილებებს დამოუკიდებლობასა და თვითგამოხატვაზე. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქცევის ცვლილების პრაქტიკა ზედმეტად ზრდის მენეჯერის სამუშაო ძალაუფლებას ორგანიზაციაში, სადაც ყოველი ინდივიდი არის მოაზროვნე, საკუთარი ქცევის მაკონტროლებელი პიროვნება და იმსახურებს არჩევანის უფლებასა და თვითმოტივაციას. კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ ორგანიზაციული ქცევის რეგულირების მეთოდების გამოყენება შეუძლებელია ყოველგვარი საქმიანობის სფეროში. მაგალითად, როგორ უნდა განვსაზღვროთ სასურველი ქცევის მოდელი ან მხარდაჭერა ისეთი სპეციალობებისათვის, როგორიცაა კორპორაციის იურისტი ან კომპანიის მმართველი.

ორგანიზაციული ქცევის რეგულირება, რაც შემთხვევაში, ადამიანის შემეცნებით შესაძლებლობებს უზულებელყოფს (შეფასება და არჩევანი), რის გარეშეც სამუშაო დავალებების შესრულება აზრს კარგავს. ქცევის რეგულირების მეთოდებში კი მხოლოდ მინიმალური დოზით ხდება მათი ზეგავლენის გათვალისწინება თანამშრომელთა ქცევაზე. ამ შეზღუდვის გადალახვის მცდელობებმა განაპირობა სოციალური სწავლების თეორიის ჩამოყალიბება, რომელიც ამტკიცებს, რომ სამუშაო გარემოში საცდელი მოდელების იმიტაციითა და მათზე დაკვირვებით, ორგანიზაციის თანამშრომლები იღებენ მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციას სამუშაო პროცესის ეფექტიან გატარებაზე (ამის მაგალითი შეიძლება იყოს

სწავლება სხვა ადამიანების გამოცდილებებზე დაყრდნობით), ხოლო მომუშავეთა ქცევა სამუშაო გარემოში გაელენას ახდენს მათზე. კინც მათ აკვირდება. ამგვარად, ორგანიზაციაში მუდმივად ხდება ფორმალური ან არაფორმალური ორმხრივი ინფორმაციის გაცვლა მენეჯერებსა და მომუშავეებს შორის (თანამშრომლები მუდმივად ცდილობენ გააანალიზონ მენეჯერების მცდელობები მიმართული მათი ქცევის შესაცვლელად). მომუშავეები ძირითადად კონცენტრაციას ახდენენ, უპირველეს ყოვლისა, მენეჯმენტის ქმედებებზე და არა მათ სიტყვებზე, რაც ნიშნავს, რომ უფროსებს მუდმივად უნდა ახსოვდეთ, რომ მათ ქცევებს თანამშრომლები აღიქვამენ როგორც საცდელ მოდელს.

სოციალური სწავლების თეორიების თანახმად მომუშავეები რეაგირებენ სამუშაო გარემოში მომხდარ ცვლილებებზე არა მექანიკურად, არამედ ისინი გულდასმით აკვირდებიან სხვა ადამიანების ქცევას, მუდმივად აანალიზებენ სიმბოლესა და მითითებებს, რის შედეგადაც თანამშრომელთა ქცევა არის გათვითცნობიერებულად არჩეული ხასიათის. ამგვარად, ქცევის მოდელის გათვითცნობიერებული არჩევანი გულისხმობს მისი მიზნების წინასწარ განსაზღვრას.

ორგანიზაციული ქცევის რეგულირების მეთოდში აქცენტი კეთდება წახალისების გამოყენებასა და ინდივიდის სასურველი ქცევის გამაძლიერებელ აღტერნატიულ შედეგებზე. თუმცა, ამ მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელია მენეჯერმა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა არის მისი მიზანი: გაზარდოს კონკრეტული თანამშრომლის გარკვეული ქცევის ალბათობა გრძელვადიან პერიოდში, თუ შეამციროს ის. მიზნების განსაზღვრა მოიცავს პასუხს ორ კითხვაზე: უპირველეს ყოვლისა, რომელი ტიპის შედეგი იქნება გამოყენებული (დადებითი თუ უარყოფითი)? და ასევე, მიზანშეწონილია თუ არა ამ შედეგის გამოყენება, თუ 128

უმჯობესია თავის შეკავება? ამ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს შედეგების უნიკალურ ალტერნატივებს.

ორგანიზაციული ქცევის სრულყოფა არ არის ყველა პრობლემის აბსოლუტური გადაწყვეტა, რადგან ორგანიზაციული ქცევის სრულყოფა არ ახდენს ჩვენი საკუთარი ნაკლოვანებების დაგვემარებასთან დაკავშირებული შეცდომების, არაეფექტური ორგანიზების და არაადეკვატური კონტროლის კომპენსირებას. ორგანიზაციებში მუდმივად ვხვდებით ორგანიზაციული ქცევის ისეთ ძირითად შეზღუდვებს, როგორცაა ქცევითი მიკერძოებულობა, უკუგების შემცირება და არაეთიკური მანიპულირება.

სოციალური მიდგომა კი გულისხმობს საზოგადოების მოლოდინს ორგანიზაციისაგან, რომ მათ გადადგან ახალი ნაბიჯები სოციალური გულისხმიერების და პასუხისმგებლობის ასპექტით. თანამედროვე პირობებში ძალზედ აქტუალურია შესაძლებლობათა ძიების, ინფორმაციისა და რესურსების მოპოვების, საკუთარი და სხვათა ქმედების კონტროლის, მიღწევების შენარჩუნების მოთხოვნილებები. ის მოიცავს თვითშეფასების ამღლებას სტატუსისა და საზოგადოებაში აღიარების თვალსაზრისით. (5. გვ. 317-344). ამდენად, ისინი საფუძვლად უდევს კონკურენციისა და პატივისცემის მოთხოვნილებებს. სტიმული ავლენს ადამიანთა მოტივაციას, მიღწიონ არა იმ მდგომარეობას, რომელიც აკმაყოფილებს მათ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას, არამედ მიღწიონ სხვებზე მაღალ მდგომარეობას.

სამუშაო ძალის მრავალფეროვნების ფასეულობის აღიარება და მართვა მეტად აქტუალურია. სტერეოტიპებზე დაფუძნებული უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი შეხედულებები სხვა ადამიანების მიმართ, და უყურადღებობა მათი ღირსებების მიმართ მენეჯერებს სავალალო შედეგებამდე მიიყვანს. ორგანიზაციის თანამშრომელთა განსხვავება უნდა იყოს აღიარებული, გაცნობიერებული, შეფასებული

და გამოყენებული ურთიერთსარგებლის მიღების მიზნით. მომავალში, როგორც პერსპექტივები გვიჩვენებს, მუშაკი იქნება უფრო მეტად მრავალფეროვანი. სამუშაო ადგილებზე ხშირია როგორც უმნიშვნელო, ასევე არსებითი განსხვავებები თანამშრომელთა შორის. ამ ცვლილებების აღიარება უზრუნველყოფს ძლიერ კულტურულ ბიძგს დამსაქმებლებზე: მრავალფეროვნების აქტიური მართვა ხელს უწყობს ორგანიზაციის კონკურენტულ უპირატესობას – მაღლდება სამუშაო ძალის ხარისხი, უმჯობესდება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური შრომის მწარმოებლურობა.

ორგანიზაციული ქცევის ფილოსოფია ორიენტირებულია ადამიანურ რესურსებზე. ორგანიზაციული ქცევა არანაირ პირობებში არ უნდა გამოიყენებოდეს ადამიანთა მანიპულირებისათვის. ორგანიზაციის თითოეული წევრი უნდა იცავდეს ეთიკურ და მორალურ ნორმებს და არ უნდა ამტკბოდეს თავის უფლებებს. ეთიკური ხელმძღვანელობა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ორგანიზაციაში უფლებებით აღჭურვა უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაზრდას;

- ურთიერთობის გახსნილობა. ორგანიზაციამ უნდა იფუნქციონიროს, როგორც ორმხრივად გახსნილმა სისტემამ საწყისი ინფორმაციის თავისუფალი მიღებით და ორგანიზაციის ოპერაციებზე საზოგადოების ღიად ინფორმირებით; ხარჯის და შედეგების ანალიზთან ერთად აუცილებელია ადამიანური და სოციალური ხარჯებისა და შედეგების ანალიზი.

ორგანიზაციული ქცევის ახალი ასპექტები ეფუძნება იმ გარემოებებს, რომ აუცილებელია არსებული ორგანიზაციული გარემოს შეცნობა, მასზე რეაგირების მოხდენა და მისგან გამომდინარე მოქმედება. ასევე აუცილებელია

მუშაკის პირადი წვლილის წახალისება, განმტკიცება, რაც უზრუნველყოფს შრომის პროცესში მის მაღალ ჩართულობას და რაც მთავარია, ორგანიზაცია და არსებული სამუშაო ადგილები მუდმივი ევოლუციის და ცვლილებების საგანი უნდა იყოს მმართველობით საქმიანობაში.

Methods of regulation of organizational behavior

N. Paresashvili

The article ” Methods of regulation of organizational behavior “ focuses on individuals with the high moral principles performing better job assignments and achieving higher results. In the approach that is oriented on human resources the main focus of the manager is to switch form control of employees to the support of the growth of the workers' job satisfaction. According to the situational approach to organizational behavior achieving effectiveness in various situations depend on specific behaviors. Active management of diversity promotes competitive advantage of the organization - the quality of the labor force rises, both individual and team labor productivity improves.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ხომერიკი, მენეჯმენტის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2008 წ.;
2. ნ. ფარესაშვილი, ორგანიზაციული ქცევა, ნაწილი II, თბილისი, 2010 წ.;
3. Edwin A. Locke - Handbook of Principles of Organizational Behavior, Second Edition, 2009;
4. Richard L. Daft - Management, Eighth Edition, 2008;
5. **M.R. Leary, “Motivational and Emotional Aspects of the**

Self,” *Annual Review of Psychology* 58, no. 1 (2007), gv. 317–344.

6. McShane; Von Glinow - *Organizational Behavior*, Fifth Editon, 2010;

7. **Steven W. Flannes; Ginger Levin - People Skills for Project Managers, 2004;**

8. Stephen Bach - *Managing Human Resources*, 2005;

9. **J. Litman, “Curiosity and the Pleasures of Learning: Wanting and Liking New Information,” *Cognition and Emotion* 19, no. 6 (2005), gv. 793–814;**

10. Кляхин В.Н, Егоров М.С. - *Организационное Поведение*, Санкт-Петербург, 2010;

11. www.businessballs.com;

12. www.psychologytoday.com;

13. www.accel-team.com;

14. www.javitch.com;

15. www.cliffsnotes.com;

16. www.entrepreuer.com.



**სტოდისა და უნარ-ჩვევების
გამოვლენის ელექტრონული
სისტემა "კიპარ 1"**

თაა მუნჯიშვილი

**ივ. ჯაგახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი**

თანამედროვე პირობებში უადრესად აქტუალურია უნივერსიტეტის მიერ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში ინტელექტუალური ელექტრონული სისტემების შემუშავება და დანერგვა. ელექტრონულმა სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს:

- სასწავლო-მეთოდური სამუშაოების სრულყოფას, რაც მოიცავს სპეციალობების სასწავლო გეგმის, დისციპლინების სამუშაო პროგრამების (სილაბუსების), ლექციების კურსების, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული მეცადინეობების, საკურსო შრომებისა და პროექტების შემუშავებას და ა.შ.;

- სტუდენტთა მობილობის აღრიცხვის ოპერატიულობას;

- საგანმანათლებლო პროცესის რეალიზაციას: ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობების, ლაბორატორიული სამუშაოების, კონსულტაციების, კოლოკვიუმების, გამოცდების ჩატარებას;

- საგანმანათლებლო პროცესის ამსახველი დოკუმენ-

თბა მუნიციპალიტეტი

ტაციის მიღებას, როგორცაა: შუალედური და ფინალური შეფასებების უწყისები, სტუდენტის ბარათი და სხვა;

- ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენას ქუიზების, კოლოკვიუმების, გამოცდების, საკურსო და სადიპლომო პროექტების დაცვის მეშვეობით და სხვა.

აქ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან განვიხილავთ ჩვენ მიერ შემუშავებული და დანერგილი კომპიუტერული სისტემით ცოდნის, უნარ-ჩვევების გამოვლენისა და შეფასების პრობლემატიკას[1,2].

კომპიუტერული პროგრამებით ცოდნის გამოვლენისა და შეფასების საკმარისი რაოდენობის პროგრამული სისტემა არსებობს. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ მაიკროსოფტის მიერ შემუშავებული და ყველასთვის გამოყენებადი დისტანციური სწავლების კომპიუტერული სისტემა მუდლი. ჩვენი მონაცემებით, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის გამოვლენასა და შეფასებაში გამოიყენება მუდლი და საქართველოში შემუშავებული ცოდნის გამოვლენისა და შეფასების კომპიუტერული სისტემები. სამწუხაროდ, შედარებითი ანალიზის მიზნებისათვის, ხელმისაწვდომ წყაროებში, მუდლის გარდა, ჩვენ ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია ცოდნის გამოვლენისა და შეფასების ქართულენოვანი კომპიუტერული სისტემების შესახებ.

ჩვენ მიერ შემუშავებული კომპიუტერული სისტემის შესაძლებლობები მუდლის ფუნქციონალური შესაძლებლობების ანალოგიურია. განსხვავება შემდეგია/ცხრ. 1/

კომპიუტერული პროგრამებით ცოდნის გამოვლენა და შეფასება ეფექტურია ცოდნის გამოვლენისა და შეფასების სხვა მეთოდებთან ერთად. შევნიშნავთ, რომ ყველაზე დახვეწილი კომპიუტერული სისტემითაც ჯერჯერობით შეუძლებელია შემოქმედებითი უნარის გამოვლენა.

სისტემის დასახელება	ფუნქციონალური შესაძლებლობები
მუდლი	<ul style="list-style-type: none"> • ტესტების ბაზის შესაქმნელად საჭიროა პედაგოგთა ტრენინგი; • გამოცდის მიმდინარებისას კომპიუტერის ავარიულად მწყობრიდან გამოსვლისას არ ხორციელდება წყვეტის წერტილის დამახსოვრება. ამ დროს მხოლოდ გაეგლიდი დრო ფიქსირდება (მხოლოდ ბროუზერის მუშაობაში შექმნილ პრობლემურ სიტუაციაში), რის გამოც აუცილებელია გამოცდის თავიდან დაწყება; • სისტემა ინტეგრირებული არ არის სასწავლო პროცესის სხვა კომპონენტებთან
“კიბერი”	<ul style="list-style-type: none"> • ტესტების ბაზის შესაქმნელად საჭირო არ არის პედაგოგთა ტრენინგი. საგნების მიხედვით პედაგოგი ადგენს და წერს მონაცემების ბაზაში ტესტებსა და ამოცანებს. იგი ახორციელებს: აუდიო, ვიდეო, გრაფიკული ფაილების ფორმირებას და დაკავშირებას ტესტთან (ამოცანასთან), ბაზის რედაქტირებას, ტესტების რანჟირებას მარტივი და რთული ტესტების სახით, განსაზღვრავს თემების მიხედვით გასატანი ტესტებისა და ამოცანების რაოდენობას, გამოცდის ხანგრძლივობას და გადასცემს საგამოცდო ცენტრს საგნების მიხედვით გამოცდის დავალების შესადგენად; • გამოცდის მიმდინარებისას კომპიუტერის ავარიულად მწყობრიდან გამოსვლისას ხორციელდება წყვეტის წერტილის და დროის დამახსოვრება, ამიტომ გამოცდა გრძელდება წყვეტის ადგილიდან გამოცდისათვის დარჩენილი დროის გათვალისწინებით; • სისტემა ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის სხვა ფუნქციონალურ ბლოკებთან.

კომპიუტერული სისტემით ცოდნის გამოვლენა და შეფასება შეფასებათა სისტემის ერთ-ერთი მდგენელია. კომპიუტერული სისტემის შემოქმედებითი გამოყენების მაგალითია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ). აქ კომპიუტერული სისტემით შეფასებაზე 60% მოდის, ხოლო 40% კი - ტრადიციული მეთოდებით შეფასებაზე. კომპიუტერული სისტემით შეფასების მდგენელი - 60% შემდეგნაირად ნაწილდება: 20% ორ შუალედურ გამოცდაზე, ხოლო 40% - დასკვნით გამოცდაზე. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასკვნითი გამოცდა კომბინირებულია: საშუალოდ 20% - კომპიუტერული სისტემით, ხოლო დანარჩენის 20%-ის კი - ტრადიციული მეთოდით.

კომპიუტერული სისტემით გამოცდების ჩატარების საფუძველი დახურული და ღია ტესტების, ზოგადად ტესტების, ბაზაა. ტესტები ადეკვატურად უნდა ასახავდეს საგნის არსსა და შინაარსს. **დახურულს** ვუწოდებთ ისეთ ტესტს, სადაც რაოდენობის სავარაუდო პასუხებიდან ამორჩეულ უნდა იქნეს ერთი ან ერთზე მეტი სწორი პასუხი. **ღიას** ვუწოდებთ ისეთ ტესტებს, სადაც დასმულ კითხვაზე პასუხი(ები) დაწერილი უნდა იყოს. პასუხი(ები) შეიძლება იყოს გაანგარიშების შედეგი, დასახელებითი წინადადება წარმოდგენილი სიტყვების (სიტყვათა ფორმების), რიცხვების ერთობლიობის სახით. წინადადებაში რიცხვები შეიძლება იყოს ბუალტრულ ანგარიშებათა სისტემის ანგარიშის ნომერი, სამეურნეო ოპერაციის მნიშვნელობა და სხვა. წინადადების დაწერისას შესაძლებელი უნდა იყოს სიტყვის მცდარი ვარიანტების, აბრევიატურის, სიტყვათა ფორმების გამოყენება. სიტყვების დაწერა ნებადართულ უნდა იყოს განსხვავებული ალფაბეტით. ასეთი ამოცანის ტიპური მაგალითია შემდეგი:

ამოცანა

კრედიტით შეძენილია 52000 ლარის საქონელი ფასდათმობით. დავალიანება 30 დღეში უნდა დაიფაროს. დავალიანების 10 დღეში დაფარავისას ფასდათმობა 5%-ია. ოპერაცია აისახება წმინდა თანხის მეთოდით. საწარმო იყენებს მარაგის აღრიცხვის უწყვეტ მეთოდს. მყიდველმა არ ისარგებლა ფასდათმობით.

დავალება:

1. განსაზღვრეთ შეძენილი საქონლის თვითღირებულება;
2. განსაზღვრეთ შეთავაზებული ფასდათმობით მისაღები არასაოპერაციო შემოსავალი;
3. ასახეთ რთული ბუღალტრული მუხლით კრედიტორული დავალიანების წარმოქმნა;
4. ასახეთ რთული ბუღალტრული მუხლით კრედიტორული დავალიანების დაფარვა.

ამოხსნა

52000

2600

დებეტი 1610 52000 კ 8190 2600 კრედიტი 3110 49400

დ 3110 49400 დებ 8190 2600 კრ 1210 52000

ამოცანის პირველი ორი პასუხი რიცხვია, ხოლო მესამე და მეოთხე წამოადგენს რიცხვებისა და სიტყვების კონექტაციას. აქ ზოგი რიცხვი ანგარიშის ნომერია, ხოლო ზოგი კი - სამეურნეო ოპერაციის ამსახველი. პასუხებში გამოყენებულია სიტყვების - დებეტი, კრედიტი მცდარი ვარიანტები და ისინი დაწერილია ლათინური ქართული ალფაბეტით.

ტესტების შემუშავების მეთოდოლოგიური საფუძვლები სპეციალურ ლიტერატურაში დეტალურადაა განხილული[3].

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ღია ტესტების

თბა მუხიშვილი


წილი შეიძლება 100%-ს უახლოვდებოდეს, როგორცაა მაგ., ბსუ-ში საგნები - უცხო ენა, ენის მეტყველების კულტურა.

დახურული ტესტების ფორმირებისას ყურადღება უნდა მიექცეს გადაცემული მასალის სრულად და ადეკვატურად გამოვლენის პრობლემას. ჩვენს წინაშე ლექტორის მიერ ლექციაზე გადაცემულ მასალასთან ტესტების რელევანტობის საკითხი არ დგას. ვთვლით, რომ პედაგოგის მიერ კორექტულად, ამომწურავად არის დასმული კითხვა, ამოცანა. ჩვენ გვანტიერესებს როგორ მივადწიოთ დასმულ კითხვის, ამოცანის ირგვლივ სტუდენტის არსებული ცოდნის გამოვლენას. დასაბუთებულია, რომ ტრადიციული ტესტებით ცოდნის ათვისების კონტროლის სისტემა სტატისტიკურად საშუალებას იძლევა 15-20%-ით შეფასდეს სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისების ხარისხი. ამიტომ დახურულ ტესტებში სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს ისეთ ტესტებზე, სადაც დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხი დადებითად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ შეიძლია სავარაუდო პასუხიდან ორი ან სამი სწორი პასუხი იქნება გასაცემი.

თემების მიხედვით შედგენილი ტესტები სრულად უნდა ამოწურავდეს გადაცემულ მასალას. ასეთი ტესტების შედგენა რთული, ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, რომელიც პედაგოგისგან მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას და პროცესის ფორმალიზაციის უნარს. ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, პედაგოგმა ტესტების ბაზის შექმნისას უნდა იხელმძღვანელოს ბაზის ფორმირების შემდეგი სტრუქტურით/სქემა 1/:

ტესტების ბაზის სტრუქტურა

სქემა. 1



მეორე ცხრილში ნაჩვენებია ტესტების სახეობისა და დახურულ ტესტებში სწორი პასუხების რაოდენობის მიხედვით ჩვენ მიერ შემუშავებულ და დანერგულ კომპიუტერული სისტემაში - „კიბერ1“, ფორმირებული ტესტების ბაზის სტრუქტურა.

ცხრილი 2-დან ტესტების ბაზის მიმართ ორი განსახვავებული მიდგომა ჩანს. ბსუ-ში სიმძიმის ცენტრი გადატანილია ისეთ დახურულ ტესტებზე, სადაც 7 სავარაუდო პასუხიდან 3 სწორი პასუხია გასაცემი (14,98%). თსუ-ში კი – არა მარტო საგანში „ფინანსური აღრიცხვა“ არამედ სხვა საგნებშიც მხოლოდ ოთხი სავარაუდო პასუხიდან (ხშირად სამი ან ორი სავარაუდო პასუხიდან) ერთი სწორი პასუხია ამოსარჩევი. ზოგიერთ საგანში პასუხის არჩევისათვის საჭიროა სტუდენტმა ამოხსნას ამოცანა. ამ შემთხვევაში ამოცანის სავარაუდო პასუხებია ჩამოთვლილი, რომელთაგანაც შერჩეულ ინდა იქნეს ერთი სწორი პასუხი. ცხადია, ყველა შემთხვევაში სამი სწორი პასუხის აუცილებლობისას პასუხის გაცემა რთულდება. გასაკუთრებით მაშინ, როდესაც შეფასების პრინციპია -

ტესტების სახეებისა და დახურულ ტესტებში სწორი პასუხების რაოდენობის მიხედვით ტესტების ბაზის სტრუქტურა

ცხრილი 2

სასწავლებლის დასახელება	საგნების რაოდენობა	ტესტები					
		სულ	ღია	დახურული	მათ შორის		
					4-დან 1 სწორი პასუხი	7-დან 2 სწორი პასუხი	7-დან 3 სწორი პასუხი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ)	70	13894	3%	97%	68,14%	16,88%	14,98%
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საგანი - „ფინანსური აღრიცხვა“ (თსუ)	1	557	41,8%	58,23%	58,23%	0	0



- თუნდაც ერთი არასწორი პასუხის გაცემისას სტუდენტს ეწერება ნული ქულა. ბსუ-ს პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სამ სწორპასუხიანი ტესტების ხვედრითი წონის გაზრდისას მკვეთრად იზრდება საგანში ჩაჭრილ სტუდენტთა რაოდენობა. ერთ-ერთ საგანში მან 43%-ს მიაღწია. როგორც ჩანს, სწავლების ხარისხის ამადლების მიზნით მიზანშეწონილია უკლებლივ ყველა საგანში გაიზარდოს ორ და სამ პასუხიანი დახურული ტესტების რაოდენობა. ამჟამად ბსუ-ში იგი 31,86%-ია, თსუ-ში კი 0%.

თსუ-ში ბუღალტრული აღრიცხვის საგნებში სიმძიმის ცენტრი ღია ტესტებზეა გადატანილი - 41,77%. სტუდენტმა ამოცანის პასუხები გაანგარიშების შედეგის, ბუღალტრული გატარებების სახით უნდა დაწეროს. აქ საინტერესოა, რომ ღია ტესტებში 80% უჭირავს 4 და 5 პასუხიან ამოცანებს, ე.ი. ამოცანაზე სტუდენტმა 4 ან 5 სწორი პასუხი უნდა დაწეროს.

ბსუ-ში ცალკეულ საგნებშიც ანალოგიური მდგომარეობაა, მაგალითად, საგანში „მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია1“, რთული ტესტები საგანზე გამოყოფილი ტესტების 43,85%-ია. ამ საგანში დანარჩენი დახურული ტესტები მხოლოდ ერთპასუხიანია.


ჩვენ მიერ შემუშავებული და დანერგილია ბსუ-ში და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ცოდნის გამოვლენისა და შეფასების კომპიუტერული სისტემა „კიბერ1“. იგი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონული სისტემის ერთ-ერთი ფუნქციონალური ბლოკია.

ბსუ-ში „კიბერ1“-ით გამოცდები ტარდება 70 საგანში, რაც მოიცავს 20 სპეციალობას: მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, თურქულ, გერმანულ, ფრანგულ, ფარმაციის, მენეჯმენტის, ბუღალტრული აღრიცხვის და სხვა სპეციალობები.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ამჟამად „კიბერ1“-ით გამოცდები ტარდება ბუღალტრული აღრიცხვის საგნებში.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალური სტრუქტურა

სქემა 2



სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალური სტრუქტურა, რომლის ერთერთი ფუნქციონალური ბლოკი „კიბერ1“-ია შემდეგია/იხ. სქემა 2/

პროგრამული მოდულებით - „კიბერდაგეგმვით“ და „კიბერმონიტორინგით“ ხორციელდება:

- სასწავლო ჯგუფების ფორმირება;
- სემესტრიდან სემესტრზე გადაყვანა;
- დასწრებისა და მოსწრების (აქტივობა, კოლოკვიუმები, გამოცდები) ფიქსირება, სისტემა-ტიზაცია;
- მეცადინეობისა და გამოცდების ცხრილების ფორმირება;
- გამოცდების მიმდინარეობის ანალიზი;
- საგამოცდო უწყისების, დასწრების ცხრილების, სხვა-დასახვა სახეობის ცნობის ავტომატურად გაცემა;
- სტუდენტის ბარათისა და დანართის ავტომატურად ფორმირება;
- ინფორმაციის მიღება პედაგოგის საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია კურიკულუმების, სილაბუსების შესახებ. „კიბერ1“-ით შესაძლებელია:
- დახურულ ტესტებში შვიდი სავარაუდო პასუხიდან მაქსიმუმ სამი სწორი პასუხის ამორჩევა;
- ღია ტესტებში დასმულ ამოცანაზე მაქსიმუმ 30 სწორი პასუხის ჩაწერა (ჩასაწერი სწორი პასუხების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს);
- ნებისმიერი ტესტის ილუსტრირება ან ამოცანის (კითხვის) დასმა გრაფიკული ან ვიდეო- ინფორმაციით. ბსუ-ში უცხოელი სტუდენტებისათვის მოსამზადებელ განყოფილებაში საგნებში: ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკა, ქართული ენის მეტყველების კულტურა გამოცდები შეკითხვის დასმა აუდი პლეერის გამოყენებით ხორციელდება. სტუ-

თბა მუხიშვილი

დენტი ისმენს ქართულად სიტყვას, წინადადებას. მან სავარაუდო პასუხებიდან უნდა მონიშნოს ან ჩაწეროს, მაგალითად თურქულ ენაზე, მოსმენილი სიტყვა, წინადადება;

- არასწორი პასუხის დაწერისას სწორი პასუხების გამოტანა ან გამოტანის აკრძალვა;

- შეცდომით დაწერილ სიტყვასა და წინადადებაში სიტყვის (ების), ასოების გამოტოვებისას გამაფრთხილებელი შეტყობინების გამოტანა, კერძოდ, პირველი: პასუხში გამოყენებულია სისტემისთვის უცნობი სიტყვა. მაგ., სიტყვა დებეტის ნაცვლად სტუდენტმა დაწერა სიტყვა <ანალიზი>; მეორე: პასუხის ველებიდან მხოლოდ ნაწილია შევსებული. პირველ შემთხვევაში სისტემა ითხოვს დაზუსტებას, მეორეში კი – ეკითხება სურს თუ არა სტუდენტს პასუხი გასცეს დანარჩენ კითხვებს. სწორად გაცემისას სტუდენტს ემატება ქულა, არასწორად გაცემისას კი - გამოიტანება პასუხის სწორი ვარიანტი;

- პასუხის დაწერა ქართული ან ლათინური ალფაბეტით;

- ერთდროულად რაოდენობის საგანზე სხვადასვა ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული, თურქული და სხვა) გამოცდის ჩატარება;

- პასუხის დაწერისას სიტყვათა ფორმების, სიტყვის შესაძლო მცდარი ვარიანტების, აბრევიატურის გამოყენება;

- დასმულ შეკითხვაზე, ამოცანაზე ერთზე მეტი სწორი პასუხის არსებობისას შეფასება ნაწილობრივი შეფასების ან სრული შეფასების პრინციპით;

- მარტივ და რთულ ტესტებში ქულების წილობრივი დაფიქსირება;

- თემების მიხედვით გამოცდის დავალების ფორმირება საგნებისა და სპეციალობების მიხედვით;

- მოცემულ დღეს გამოცდაზე გამსვლელ სტუდენტთა სიის დაბეჭდვა;

• გამოცდის დაწყებისას ყოველი სტუდენტისათვის დავალების მიხედვით ტესტების ალბათურად ამორჩევა;

• დახურულ ტესტებში სავარაუდო პასუხების ალბათურად გადაღაგება;

• გამოცდის დამთავრების შემდეგ სტუდენტის მიერ გამოცდის ოქმის დათვალიერება და ა.შ.

ფუნქციონალური ბლოკით „ინტერაქტიული საითი“ უზრუნველყოფილია:

• დინამიკური კავშირის დამყარება: სტუდენტის ადმინისტრაცია მშობელი;

• ინტერნეტით ინფორმაციის მიღება: სტუდენტის საქმიანობის, სასწავლო გეგმების, სილაბუსების შესახებ სხვა;

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონული სისტემის საფუძველია მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენს მუდმივი და ცვლადი მონაცემების ბაზის ერთობლიობას, კერძოდ, მუდმივი მონაცემების ბაზაში არის ინფორმაცია: კურიკულუმების, საგნების, სწავლების საფეხურის, სემესტრის, სილაბუსის, სტუდენტის, პედაგოგის, ფაკულტეტების, სპეციალობების, მოდულების და სხვა შესახებ. დინამიკური მონაცემების ბაზა კი წარმოადგენს სტუდენტების დასწრებისა და მოსწრების, მათ შორის: აქტივობის, კოლოკვიუმებისა და ფინალური გამოცდების შეფასებების, პედაგოგის მიერ წაკითხული საგნების მონაცემების ერთობლიობას.

მონაცემების ბაზაში ცენტრალური ადგილი საგნების მიხედვით ამოცანებისა და ტესტების ბაზას უჭირავს. იგი შუალედური და ფინალური გამოცდების ჩატარების ინფორმაციულ ბირთვია. საგნების მიხედვით პედაგოგი ადგენს და თვით წერს მონაცემების ბაზაში ტესტებსა და ამოცანებს. იგი ახორციელებს აუდიო, ვიდეო, გრაფიკული ფაილების ფორმირებას და დაკავშირებას ტესტთან (ამოცანასთან). პედაგოგი, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ბაზის

თქა მუხიშვილი

რედაქტირებას, ტესტების რანჟირებას მარტივი და რთული ტესტების სახით, განსაზღვრავს თემების მიხედვით გასატანი ტესტებისა და ამოცანების რაოდენობას, გამოცდის დროს და გადასცემს საგამოცდო ცენტრს საგნების მიხედვით გამოცდის დავალების შესადგენად.


სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონულ სისტემაში ცენტრალური ადგილი *informaciis dacvas* უჭირავს. ხორციელდება მონაცემების ბაზის დაცვა ტექნიკურ, პროგრამულ, სისტემურ დონეზე. სპეციალური ალგორითმებით წარმოებს ბაზის შიფრაცია. გამონაკლის შემთხვევაში, სისტემის ავტონომიური რეჟიმით მუშაობისას დამატებით პროგრამულად ხორციელდება ინტერნეტის, კომპიუტერის გარე ჩამწერ-წამკითხველი მოწყობილობების გამოთიშვა.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონული სისტემა რეალიზებულია ‘ “კლიენტსერვერული” ტექნოლოგიით. მონაცემთა ბაზა ორგანიზებულია Microsoft SQL server2008–ze Windows Server 2008-ის პლატფორმაზე. კლიენტის ნაწილი რეალიზებულია Access 2007/2010. კლიენტის ნაწილში რეალიზებულია Office-ს დანართებს შორის ავტომატიზაციის ტექნოლოგია. კლიენტის პროგრამული გარემო დაწერილია ობიექტორიენტირებულ დაპროგრამების ენაზე VBA. interaqtiviლი saTi realizebulia ASP.NET tehnologiiT VB.NET-ზე /სქემა 3/.

სერვერზე განთავსებულია მონაცემების ბაზა წარმოდგენილი ურთიერთდაკავშირებული ცხრილების სახით, შენახული პროცედურები. კლიენტის ნაწილი შეიცავს: ბაზასთან კავშირის მიმთითებლებს, პროგრამებს, ფორმებს, ინტერფეისს. კლიენტის მანქანიდან სერვერთან დაკავშირება ხორციელდება ლოკალური ან გლობალური ქსელით.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის
ელექტრონული სისტემის ტექნიკური სტრუქტურა

სქემა 3



საერთოდ, ასეთი სისტემები, მათ შორის “კიბერ1”-იც, არ არის ორიენტირებული ავტონომიური რეჟიმით სამუშაოდ. უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის საგნებისათვისაა ავტონომიური რეჟიმით მუშაობა დასაშვები. ამ დროს შეუძლებელია მონაცემებში ოპერატიულად ცვლილებების შეტანა. გამოცდის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ საჭიროა პროგრამის დაყენება, ამოღება, ბაზების გაერთიანება და სხვა.

სისტემა, 2011 წლის შემოდგომიდან, სამრეწველო ექსპლოატაციაშია ბსუ-ში, ხოლო 2009 წლიდან - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ძირითადად

ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობის საგნებში. იგი დანერგილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. 2009/2010 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში ყველა საგანში (47 საგანი) ბაკალავრიატის ოთხივე კურსზე და სპეციალობაზე ჩატარებულ იქნა შუალედური, ფინალური და განმეორებითი გამოცდები.

სისტემის ექსპლუატაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოყოფილ იქნეს საკითხთა სიმრავლე, რომელთა ეფექტურად გადაწყვეტაზე გარკვეულწილად დამოკიდებულია ანალოგიური სისტემების ეფექტურობა:

- სისტემის ექსპლოატაციის დასაწყის ეტაპზე პედაგოგების მიერ წარმოდგენილი ტესტები არ შეესაბამება ხარისხის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება საკმარის მოცულობის სამუშაოების ჩატარება ტესტების გადამუშავების მიმართულებით;

- დასაწყისში ზოგიერთ პედაგოგს ძნელად წარმოუდგენია ცოდნის შეფასების ტრადიციული მეთოდების შეცვლა. ადგილი აქვს წიგნებიდან ტესტების გადმოწერას, გამარტივებას. პედაგოგთა უმრავლესობა ცდილობს მხოლოდ ერთსწორპასუხიანი დახურული ტესტები დაწერას;

- ძნელად გასაგები ხდება, რომ ტესტების ფორმირება ვარიანტების მიხედვით არ უნდა მოხდეს;

- პარალელურად ხორციელდება გამოცდის ჩაბარების იმიტაცია - ტრენინგი სტუდენტებთან. აქ გვეძლევა ტესტებისა და ამოცანების კორექტირების საშუალება. ტესტირების პროცესმა აჩვენა, რომ სტუდენტები სწრაფად ითვისებენ სისტემასთან მუშაობის უნარ-ჩვევებს, მაღლდება მათი ცოდნის მიღების მოტივაცია. ელექტრონული სისტემით ცოდ-

ნის შეფასების ტექნოლოგია გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორს;

- კონკრეტულ დისციპლინაში თემების მიხედვით ალბათურად ამორჩეული ტესტები ერთნაირი სირთულისაა. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს შეუდაროს თავისი შედეგები თანაჯგუფელთა მიღწეულ შედეგებს და დარწმუნდეს სისტემის ობიექტურობაში. ამავე დროს მათ შეუძლიათ ტესტირების პროცესის ჩატარების შემდეგ დათვალეირების რეჟიმით გადახედონ მათ მიერ გაცემულ პასუხებს და შესაბამისი პრეტენზიის შემთხვევაში, მიმართონ საგამოცდო ცენტრს. ასეთი მიდგომა საგრძნობლად ამცირებს აპელაციების რიცხვს. სისტემის დანერგვის შემდეგ ბსუ-ში პრეტენზიების რიცხვი დაახლოებით 70-80%-ით შემცირდა;

- აპელაცია გამოცდის დამთავრებისთანავე ტარდება;

- გამოცდისთვის (შუალედური, ფინალური) გამოყოფილი დრო ყველა სასწავლო დისციპლინაში 30-150 წუთია. გამოცდის დამთავრებისთანავე ხდება სათანადო უწყისების ფორმირება, გადაცემა უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებში ან განთავსება ინტერაქტიულ ვებგვერდზე;

- „კიბერ1“-ში ცალკეული სტუდენტისათვის დავალებების შერჩევა ინდივიდუალურად ხდება. გამორიცხულია ე. წ. “შპარგალკების” გამოყენების შესაძლებლობა. ხორციელდება გამოცდისათვის გამოყოფილი დროის მკაცრი აღრიცხვა და კონტროლი (ტესტირების დაწყების მომენტში ირთვება საათი და დროის ამოწურვისას ხდება გამოცდის ავტომატურად შეწყვეტა). გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტს შეუძლია გამოტოვოს ტესტური დავალება, სისტემა მათზე აუცილებლად დააბრუნებს;

- გამოცდის მიმდინარეობასას სტუდენტი ხედავს მო-

თბა მუნიციპალი

ცემულ მომენტში მიღებული ქულების, გაცემული სწორი, არასწორი, გასაცემი კითხვების რაოდენობას, გამოცდის დამთავრებამდე დარჩენილი დროის მნიშვნელობას;

- ფინალური გამოცდის ჩაბარებისას სტუდენტი ხედავს საგანში მიღებულ საბოლოო შეფასებას შუალედური შეფასებების, აქტივობების დეტალიზაციით. აქვე იწერება შეტყობინება გამოცდის ჩაბარების, განმეორებით ჩაბარების ან განმეორებით მოსმენის შესახებ;

- სისტემის ადმინისტრატორის გარეშე შეუძლებელია ინფორმაციაში კორექტივების შეტანა და წაშლა ბაზიდან;

- „კიბერ1“ დაკავშირებულია სასწავლო პროცესების მართვის სხვა კომპონენტებთან და უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის პირადი ბარათის, საანკეტო მონაცემების, დიპლომის ფორმის და დიპლომის დანართის ფორმირებას შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

- სისტემის ფუნქციონირების დაწყებისათვის აუცილებელია სისტემისათვის გამოცდის დავალება საგამოცდო ცენტრის თანამშრომელმა შეადგინოს, შემდეგ კი იგი პედაგოგის ფუნქციაა;

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის სისტემის ფუნქციონირება მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციასა და პასუხისმგებლობაზე დამოკიდებული. სისტემის მომსახურებისათვის, საგნებისა და სტუდენტების რაოდენობის მიუხედავად, ერთი – სისტემის ადმინისტრატორია საკმარისი. აქსიომაა, რომ გამოთვლითი ტექნიკის, ლოკალური გამოთვლითი ქსელის გამართულად მუშაობა, სასწავლო პროცესის ელექტრონიზაციის პირობებში, უნივერსიტეტში მაღალ დონეზე უნდა იყოს.

Management of educational process by means of by electronic System “Cyber 1”

T. Munjishvili

The electronic system of planning and management worked out by authors is in-process described by an educational process. Functional possibilities of the system, representing the process of preparation for tests and realization of examination are described.

The article analyses the automated management by an educational process by means of “Cyber 1”. The authors of this software are Z.Munjishvili, T, Munjishvili, A. Meladze. The process of preparation for tests for handing over of examinations and management are described by the scholastic process of educational process.

The system works in a local network, databases are organized on Microsoft SQL Server 2008 with Windows Server 2008. Part of client are created in Access 2007/2010, the program is written in VBA, project decisions use possibilities of Microsoft Excel, Word. For example, the random generator of numbers is used from Excel; an interactive web-site is realized on VB.NET by technology ASP.NET.

1. ზ. მუნჯიშვილი, თ. მუნჯიშვილი, ა. მელაძე. ცოდნის გამოვლენის ელექტრონული სისტემა. საქპატენტი, საავტორო მოწმობა №5222. 2012 .;
2. Мунджишвили 3. Мунджишвили Т. Меладзе А. Система электронного планирования и управления учебным процессом. Труды северно-западного политехнического института. Изд-во СЗТУ. Санкт-Петербург. 2011;
3. Чельшкова М.Б. Теория и практика конструирования педагогических тестов: учебное пособие, М. : Логос, 2002. – 202 с.



ბიორგი შისაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე რთული და მრავალფეროვანი პროცესები ცალკეული ადამიანებისა და ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ტრენინგების გავლას, რომლის მიზანია ცოდნისა და კვალიფიკაციის მუდმივი ზრდა და გარემო ცვლილებებთან სათანადო ადაპტაცია.

ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია განათლებისა და დასაქმების ბაზრის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც არიან მოქალაქეები, რომელთა კომპეტენციაც არ შეესაბამება თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. ამ პირობებში ეფექტიან მექანიზმად გვევლინება ყოველი შრომისუნარიანი ადამიანის პროფესიული განვითარება, რომლის დროსაც სხვადასხვა სატრენინგო კურსის გამოყენებით ხდება გარკვეული ცოდნის შექმნა და სათანადო უნარების გამომუშავება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის აქტუალურობის მიუხედავად, ჩვენს სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში სათანადოდ არ შეუქმდება საბაზო სასწავლო პროცესის, და კერძოდ, პროფესიული ორიენტაციისა და ბიზნესტრენინგების მართვის ორგანიზაციულ-მეთოდური

ასპექტები. აქედან გამომდინარე, შევეცდებით, არსებული მდგომარეობის შესწავლა-გაშუქების მეშვეობით გარკვეული წვლილი შევიტანოთ საგანმანათლებლო სფეროს ამ მნიშვნელოვანი მიმართულების მეცნიერული კვლევისა და შესაბამისი პრაქტიკული მიზნების დასახვა-განხორციელების საქმეში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული და საგანმანათლებლო პრაქტიკაში ქვეყნის მასშტაბით უკვე განხორციელებულია და სამომავლოდაც არის დაგეგმილი სატრენინგო პროექტი – „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“.

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული მასშტაბური პროექტი – „პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგები“, მიზნად ისახავდა საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სამუშაო ბაზრისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვას, მათ მოთხოვნილებებზე მორგებული პროფესიული ორიენტაციის, საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და მართვის ადაპტირებული კურსის შემუშავებასა და სწავლებას.

პროექტის ფარგლებში, 2012 წლის ბოლოს, საქართველოს 20 დიდ ქალაქში გაიმართა 2-თვიანი ტრენინგები 14 ათასი ადამიანისათვის, შესაბამისი სერტიფიკატების გადაცემით.

პროექტის მიზნებისათვის კონკურსისა და სათანადო ტრენინგების შედეგად ქვეყნის მასშტაბით შეირჩა 120-ზე მეტი ადამიანი, რომლებსაც მიეცათ ტრენერის სერტიფიკატი და რომლებმაც სექტემბერ-დეკემბერში უკვე თვითონ ჩაუტარეს ტრენინგები მოსახლეობას.

გამოიცა სპეციალური სახელმძღვანელო – „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“ [1].

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2012 წელს

ორგანიზებული პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის პროექტის ფარგლებში მოქმედი ტრენინგის მსმენელებისა და ტრენერებისათვის. იგი, აგრეთვე, დიდ დახმარებას გაუწევს ბიზნეს-ადმინისტრირების პროფილის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, დაამწყებ და მოქმედ ბიზნესმენებს, მენეჯერებს და წიგნში განხილული თემატიკით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

სახელმძღვანელოს გამოცემას, ტრენინგების ორგანიზებას და მეთოდურ უზრუნველყოფას უძღვებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერტიფიცირებული ექსპერტები – თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები გიორგი შიხაშვილი და გულნაზ ერქომაიშვილი.

ტრენინგ-კურსი შედგება ორი მოდულისაგან.

I მოდულია „პროფესიული ორიენტაცია“. მოდულის მიზანია მსმენელებმა ისწავლონ, თუ როგორ აღმოაჩინონ და პრაქტიკულად გამოავლინონ საკუთარი ძლიერი მხარეები, როგორ დაგეგმონ თავისი კარიერა, როგორ სრულყონ ის უნარ-ჩვევები, რომელიც მათ დამსაქმებლის წინაშე წარსადგენად სჭირდებათ.

II მოდულია „საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“. მოდულის მიზანია მსმენელებისათვის თეორიული ცოდნის გადაცემა ბიზნესის დაწყებისა და მართვის სფეროში და ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარება, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ შეარჩიონ ბიზნესიდეა და ბიზნესის სახეობა, შეადგინონ ბიზნეს-გეგმა, გაიაზრონ მცირე ბიზნესის მართვისა და მარკეტინგის პრინციპები, ისწავლონ ფინანსების მოძიების გზები, შექმნან საკუთარი სამეწარმეო ორგანიზაცია და უხელმძღვანელონ მის საქმიანობას.

საბაზო ტრენინგის ხანგრძლივობა 27 საათია.

ტრენინგზე განიხილება შემდეგი თემები:

1. წარმატებული კარიერის შექმნა;
2. ბიზნესის საწყისები;

3. საკუთარი ბიზნესის დაფუძნება;
4. მენეჯმენტის საფუძვლები დამწყები ბიზნესმენებისათვის;
5. ფირმის მენეჯმენტი;
6. ფირმის მარკეტინგი;
7. პარტნიორული სახელშეკრულებო ურთიერთობები;
8. ბიზნესგეგმების არსი, დანიშნულება და შედგენის ორგანიზაცია;
9. ტრენინგების ორგანიზაცია და მეთოდოლოგია.

მეცადინეობის პროცესში გამოიყენება პირდაპირი სწავლების (ინტერაქტიური ლექცია), მსმენელის მიერ ლექტორის/ტრენერის როლის მორგების, გამოკითხვის/ურთიერთგამოკითხვის („ინტერვიუ წყვილებში“), პროექტების, გუნდური მუშაობის, კვლევითი, კონკრეტული სიტუაციების განხილვის (Case-study), სავარჯიშოების და სხვა უახლესი დასავლური მეთოდები [2; 3].

კონკრეტულად, ცალკეულ მეცადინეობაზე ხდება:

- ურთიერთგაცნობა, მსმენელთა მისწრაფებების, მიზნებისა და გეგმების განხილვა;
- ტრენინგის მიზნების, შინაარსის, სწავლების მეთოდისა და სილაბუსის გაცნობა;
- გამოკითხვა/ურთიერთგამოკითხვა და დისკუსიები განხილულ საკითხებზე;
- კონკრეტული კომედიური სიტუაციის გუნდური წერილობითი ანალიზი, პრეზენტაცია და დისკუსია;
- CV-ის მაგალითების განხილვა;
- სავარჯიშო - „ოფისის მოწყობის პროექტის ბიუჯეტის შედგენა გუნდებში“, პრეზენტაცია და დისკუსია;
- „ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა“ - კონკრეტული სიტუაციის ინდივიდუალური ზეპირი ანალიზი და დისკუსია;
- საანალიზო ტესტების შევსება ბიზნესის გააზრებისა

და საკუთარი ბიზნესის დაწყებისათვის და დისკუსია;

- გუნდური მიკროპროექტების შედგენა, პრეზენტაცია და დისკუსია;

- ტესტების შევსება მენეჯერის თვისებებზე და დისკუსია;

- ტესტების შევსება დროის მენეჯმენტში და დისკუსია;

- ბიზნესპროექტების გუნდების შექმნა და საინტერესო ბიზნესიდეების შერჩევა „გონებრივი შტურმის“ მეთოდით (Brainstorming);

- გუნდური ბიზნესპროექტების შედგენა, პრეზენტაცია და დისკუსია.

- მსმენელთა ფინალური ტესტირება და შეფასება.

ტრენერი ახდენს მსმენელთა დასწრების, აქტიურობის და ცოდნის დონის კონტროლს და აღრიცხვა-შეფასებას შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

1. სესიებზე დასწრება – 18 ქულა;

2. აქტიურობა – 32 ქულა;

3. ფინალური ტესტირება – 50 ქულა.

სულ სამივე კომპონენტის მიხედვით – 100 ქულა.

ქვემოთ გადმოცემთ ტრენინგ-კურსის ერთ-ერთი სესიის სალექციო თემის შემოკლებულ ტექსტს.¹

ამ თემის შესწავლისას გამოიყენება შედეგი მეთოდები: პირდაპირი სწავლება (ინტერაქტიური ლექცია), სავარჯიშოები, ურთიერთგამოკითხვა/დისკუსია; მსმენელის მიერ ლექტორის/ტრენერის როლის მორგება.

ლექციის თემა: „კარიერის დაგეგმვისა და შექმნის პრინციპები“

ამ თემის შესწავლა დაგეგმვრებით, შეარჩიოთ და აკე-

¹ თემის სრული ტექსტი იხილეთ წიგნში: „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“. სახელმძღვანელო. შემდგენლები: გ. შიხაშვილი, გ. ერქომაიშვილი და სხვ. თბ., 2012.

თოთ საყვარელი საქმე და იცხოვროთ ისეთი ცხოვრებით, როგორსაც იმსახურებთ. როგორიც არ უნდა იყოს თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობა, არასდროს არის ძალზე ადრე ან გვიან - აღმოაჩინოთ თქვენთვის საუკეთესო კარიერა.

1. ვინ ხართ თქვენ?

კითხვა – „ვინ ვარ მე?“, ხშირად ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში, რასაც ბავშვობის ასაკში დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ, უკვე 20-30 წლის ასაკში გარკვეულად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გაგვაჩნია მის შესახებ. როდესაც მივალწევთ 40, 50 და 60 წელს, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ კითხვას კვლავ ვუსვამთ საკუთარ თავს.

საკუთარი თავის და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ელემენტების აღმოჩენას ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ყოველი ჩვენგანი განსხვავებული ინტენსივობითა და დონით ახერხებს. თუმცა, ეს არის კითხვა, რომელიც საჭიროა ხშირად გავუმეოროთ საკუთარ თავს, რაც კარიერის შესატყვისობის ტესტის შემადგენელი ნაწილია. ხომ მართალია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობას 10 წლის მანძილზე უყურადღებოდ არ დატოვებთ? იგივე დამოკიდებულება გვმართებს კარიერის/ცხოვრების სტილით დაკმაყოფილების დონის მიმართ, ვინაიდან ჯანმრთელობა და ცხოვრებისეული ბედნიერება/კარიერული წარმატება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

წლების მანძილზე გავდივართ ზრდისა და განვითარების ეტაპებს. ყოველი ეტაპი წარმოგვიდგენს ახალ სფეროებს, რომლებზე ფოკუსირების საშუალებით განვსაზღვრავთ, თუ როგორი ტიპის ინდივიდები, პიროვნებები, მეგობრები, პარტნიორები, მშობლები ვართ ჩვენ კარიერის დაწყების, კარიერის პიკისა და პენსიაზე გასვლის სტადიებში. ყოველივე ამის გამო აუცილებელია მუდმივად ვიზრუნოთ წარმატებული კარიერის მიღწევის გზების დასახვა-განხორციელებისათვის.

სავარჯიშო: ჩაუტარეთ მცირე ანალიზი საკუთარ თავს,

დაიწყეთ თითოეული ასპექტის შესწავლით და გაიაზრეთ/ ჩამოწერეთ თქვენი მოსაზრებები ქვემოთ ჩამოთვლილი პუნ-
ქტების მიხედვით. გამოიტანეთ ნამუშევარი დისკუსიაზე.

1) რა არის ჩემი ფასეულობები?

ფასეულობები – ეს არის დამოკიდებულება და რწ-
მენა ყოველივე იმისადმი, რაც ჩვენს ცხოვრებაში ჩვენთვის
ყველაზე მნიშვნელოვანია. მისი დემონსტრირება ხდება შე-
საბამისი ქცევების საშუალებით აღნიშნულ ფასეულობებთ-
ან მიმართებით. ფასეულობები შეიძლება ატარებდეს უსა-
ფრთხო ან თავგადასავლებისა და რისკის მაძიებელ ხა-
სიათს, დამოუკიდებლობის შენარჩუნებით დაწყებული და
ურთიერთდამოკიდებულების ხელშეწყობით დამთავრებული.
ფასეულობები ძირითად როლს თამაშობენ ჩვენ მიერ სამ-
უშაოს ტიპის, სამუშაო გარემოს, ცხოვრების სტილის შერ-
ჩევის საქმეში, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და
შესრულებადია.

2) რისი გაკეთება მომწონს?

ეს თქვენი ინტერესებია და ყოველივე ის, რისი გა-
კეთებაც მოგწონთ, გსიამოვნებთ და გეხერხებათ. გაიხსენეთ
ბოლო სამი თვე და ჩამოწერეთ ის, რასაც აკეთებდით ამ
პერიოდის მანძილზე და რისი გაკეთებაც სიამოვნებას განი-
ჭებდათ ნამდვილად, გაიაზრეთ და წარმოიდგინეთ ისეთი რამ,
რასაც ერთი სული გაქვთ როდის გააკეთებთ ან ნატრობთ
იქონიოთ მეტი დრო, რათა ასეთი საქმიანობით დაკავდეთ.

გამორიცხეთ ის სამუშაოები, რომლებიც ნამდვილად
არ მოგწონთ - ამით ოპტიმალურად შეამცირებთ გასაზრ-
რებელ არეალს.

3) ყველაზე უკეთ რა გამომდის?

ის, რისი გაკეთებაც საუკეთესოდ გამოგვდის, სავარაუ-
დოდ, ჩვენი ნიჭია ან უნარები, რომელთა გაკეთება უკეთესად
შეგვიძლია. გაიაზრეთ, თუ რა გამოგდით ყველაზე კარგად.

4) სად მინდა ვცხოვრობდე?

ბევრი ადამიანისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი კითხ-

ვინაა მათი კარიერის/ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ გარკვეულ ადგილებში სხვადასხვა მიზეზის გამო. მოგწონთ სხვადასხვა კულტურის მქონე ადგილებში ცხოვრება? გჭირდებათ გარკვეული კლიმატი ჯანმრთელობის თვალსაზრისით? ფიქრობთ, რომ თქვენი საქმიანობა უფრო მომგებიანი იქნება გარკვეულ ადგილებში ან კლიმატური პირობების გამო? ამჟამად, სად გსურთ იცხოვროთ და რატომ?

5) რა რაოდენობის თანხა მსურს მქონდეს?

კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ფული მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია თქვენთვის კარიერის შერჩევისას. ან იმაში უნდა იყოთ დარწმუნებულნი, რომ თქვენ მიერ გაკეთებული საქმის გამორჩეულობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და ფული ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. გაიაზრეთ, თუ რა რაოდენობის თანხის გამომუშავება გსურთ ყოველწლიურად. რა რაოდენობის თანხა გსურთ გქონდეთ და რატომ?

2. ღრმად ჩასწვდით საკუთარ თავს, გაიაზრეთ სამუშაო ბაზრის ტენდენციები თვითშეფასება

იმის დადგენაში, თუ ვინ ხართ და რა გსურთ თქვენ – დიდ სამსახურს გაგიწევთ თვითშეფასება.

თვითშეფასება - ეს არის საკუთარი პიროვნული ღირსებებისა და თვისებების გამოფლენა, რომელიც გეხმარებათ საკუთარი ძლიერი მხარეების დადგენაში.

თვითშეფასებას შეუძლია უზრუნველგყოს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციით თქვენი ფარული ტალანტების, პიროვნული თვისებებისა და ინტერესების შესახებ. ინფორმაციის მიღების შედეგად თქვენ შეიტყობთ ბევრ მნიშვნელოვან რამეს მთლიანად საკუთარი თავის შესახებ და აღმოაჩენთ თქვენი საოცნებო კარიერისკენ მიმავალ გზას.

ოცნებები

ოცნებები ინფორმაციის წყაროა. გაიხსენეთ ის ოც-

ნებები, რაც გაგაჩნდათ ახალგაზრდობაში და კვლავ ოცნებობთ მათზე. ეს ოცნებები შეიძლება იყოს იმ ელემენტთა ძირითადი გასაღები, რომლებიც განსაზღვრავს იმას, თუ ნამდვილად რას ნიშნავს თქვენთვის შესანიშნავი კარიერა. ოცნებების გადამოწმებასთან ერთად თვალი მოავლეთ თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს და განსაზღვრეთ, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ ახლა.

იმის გაანალიზება, თუ რამდენად გაკმაყოფილებთ თქვენი სამსახური, ფინანსური შემოსავალი, ოჯახი და სამეგობრო წრე, ჯანმრთელობა, ორგანიზმი, გონება, სულიერი მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი გარემო, გართობა და რეკრეაცია, თქვენ მოგცემთ უფრო მეტ მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გსურთ გქონდეთ მომავალში ნაცვლად იმისა, რაც გაქვთ ახლა.

ეს არის გარკვეულწილად შემდგომი ნაბიჯი ოცნებების ასრულებისათვის წინამძღვრების შესაქმნელად, ასე რომ, გონებაში გადაავლეთ თვალი თქვენს 5 წლის შემდგომ მდგომარეობას. თავი მოუყარეთ თქვენს წარსულ და მომავალ ოცნებებს, შეადარეთ ამჟამინდელ მდგომარეობას, რაც საშუალებას მოგცემთ - დაინახოთ იდეალურ მდგომარეობასა და არსებულ რეალობას შორის არსებული სხვაობა.

პიროვნული თვისებები

თქვენი პიროვნება იმაზე უფრო მეტია, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ. იგი თქვენი ყველა თვისებისა და მახასიათებლების საერთო ჯამია. ეს კომპლექსური სისტემა მოიცავს ემოციურ მახასიათებლებს, ტემპერამენტს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ქცევებს, რაც თქვენ განუმეორებელს გხდით.

მოტივაცია

გაქვთ თუ არა წარმოდგენა თქვენი მოტივაციების შესახებ? რა გაძლევთ ენთუზიაზმით დღის დაწყების საფუძველს? ზოგი მოტივაცია ეფუძნება საჭიროებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება, ისეთი როგორცაა ფული.

ბიორგი მისაწვლილი

აგრეთვე - ურთიერთობებს, რომლებიც აღიარებულია და დაფასებული და საზოგადოების და სულიერების განვითარებაში შეაქვს წვლილი.

სხვა მოტივაციები უფრო სიღრმისეულია, მაგალითად, რეალურად რას ვაფასებთ ჩვენს კარიერაში:

- **ცხოვრების ტიპის შეფასების ოთხი კრიტერიუმი.** დაგაფიქრებთ და დაგეხმარებათ განსაზღვროთ პრიორიტეტები თქვენი მოტივაციის ოთხი ძირითადი მიმართულების მიხედვით: უსაფრთხოება, ურთიერთობები, აღიარება და ანაზღაურება.

- **კარიერის ღზუბები, რეალური ფასეულობების განსაზღვრა.**

➤ **მაგალითად:**

1. საკუთარი თავის ექსპერტად ხედვა;
2. სხვათა მართვისა და ხელმძღვანელობის სურვილი;
3. დამოუკიდებლად მუშაობა;
4. მიმდინარე უსაფრთხოებით სარგებლობა;
5. მეწარმედ ყოფნა;
6. მომსახურების უზრუნველყოფა;
7. გამოწვევების მიღება;
8. ცხოვრების სპეციფიკური სტილით სარგებლობა.

ინტერესები

ინტერესების გათვალისწინება ხშირად ბევრს ავიწყდება. ათეული წლების განმავლობაში, ადამიანები ირჩევენ კარიერას მათი ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინების გარეშე. ამიტომ, ბევრი პროფესიონალი ვერასოდეს განიცდის სამუშაოსგან მიღებულ სიამოვნებას.

რა თქმა უნდა, სამუშაო, სამუშაოა. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ ანაზღაურება მიიღოთ ისეთი სამუშაოს შესრულებისთვის, რომლის გაკეთებაც სიამოვნებას განიცდებთ, რაც თქვენთვის საყვარელი გასართობი შეიძლება იყოს ან შესაძლოა ყოფილიყო. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ბევრი

დასასვენებელი აქტივობა შეიძლება გარდაიქმნას მომგებიან კარიერად.

უნარები

თვითშეფასებას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს თქვენი უნარები. ამ უნარებში შედის ის გამოცდილება, რაც თქვენ შესრულებული სამუშაოებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მიიღეთ.

ასეთი უნარები ხშირად სამ კატეგორიად იყოფა:

- **გადაცემადი ან ფუნქციური უნარები:** უნარები, რომელთა გადაცემა მარტივია ერთი სამუშაოდან მეორეზე, მაგალითად, ბეჭდვა ან კომპიუტერული პროგრამის ცოდნა;

- **ადაპტირებადი უნარების თვითმართვა:** ქცევითი უნარები, რაც შესრულებული სამუშაოებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან შეიძინეთ. მაგალითად, თქვენ შესანიშნავად ახერხებთ დაძაბულ გარემოში მუშაობას ან კარგი კომუნიკატორი ბრძანდებით;

- **ტექნიკური ან სამუშაო შემცველობის უნარები:** უნარები, რომლებიც მიიღეთ სპეციფიკური ტრენინგის გავლის შედეგად, მაგალითად, მასწავლებლის ან ბუღალტრის დიპლომი.

ცხოვრების სტილი

ნათელი წარმოდგენის შექმნა ცხოვრების ისეთი სტილის შესახებ, რომელსაც უპირატესობას ანიჭებთ, მოიცავს იმის აღქმას, თუ რა ოდენობის ფინანსური სახსრები გესაჭიროებათ იმისათვის, რათა უზრუნველყოთ საჭირო ბაღანსი კარიერასა და ოჯახურ ცხოვრებას შორის. როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სამუშაო საათების შემდეგ ან დასვენების დღეებში? რა არის თქვენთვის თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი - ურთიერთობები, დასვენება, გართობა თუ საზოგადოებრივ საქმიანობებში მონაწილეობა? შეფასების მოცემულ არეს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია თქვენი კარიერის არჩევანის გაკეთებისას. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს თქვენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს.

იდეალური სამუშაო გარემო

რა ტიპის სამუშაო გარემო მოგწონთ? მაგალითად, მოგწონთ თუ არა მარტო მუშაობა? ვერ იტანთ ოფისზე მიჯაჭვულობას? იქიდან გამომდინარე, თუ როგორ უპასუხებთ მსგავსი ტიპის კითხვებს, შეგიძლიათ განსაზღვროთ კარიერის სფეროები, სადაც თქვენ უფრო კომფორტულად და ბედნიერად იგრძნობთ თავს. ეს, აგრეთვე, დაგეხმარებათ უფრო დაკონკრეტდეთ ისეთი ორგანიზაციის მოძიების პროცესში, რომელიც თქვენთვის კარგი სამუშაოს ცნებას ყველაზე მეტად შეესაბამება.

სამუშაო ბაზრის ტენდენციები

სამუშაო ბაზრის ცვლილებათა ტენდენციების გაცნობიერება დაგეხმარებათ გამოიყენოთ შესაძლებლობები ახლა და მომავალში. აუცილებლად უნდა იყოთ საქმის კურსში, თუ რომელი სამუშაოს ტიპებია დღეს ყველაზე მოთხოვნადი. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე შესაძლებლობაზე ერთად ფიქრობთ და ერთ-ერთი მოთხოვნა ძალზედ ძალადია, შეგიძლიათ დაიწყოთ აღნიშნული ტიპის სამუშაოს განხილვით.

შრომის ბაზარზე საუკეთესო სამუშაოებად ითვლება დაბალი სტრესის, კარგი სამუშაო პირობების და სერიოზული ანაზღაურების მქონე სამსახურები.

ბაზრის ტენდენციების შესწავლით შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია ისეთი ახალი სამუშაო სფეროების გამოჩენის შესახებ, სადაც აქცენტი კეთდება განათლებასა და ტრენინგზე. ამიტომ, აუცილებელია საკუთარ თავზე მუშაობა, რათა გავხდეთ სასურველი კადრი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

3. მცირე ბიზნესის დაწყება - წარმატებული თვით-დასაქმების საწინდარი¹

1 დამატებით იხ.: 1) Carew R. Discovering Your Perfect Career. Alpha, USA, 2005, 2) Scarborough N. Effective small business management: an entrepreneurial approach. Prentice Hall. Pearson. London, New York, Munich, Melbourne, Delhi, New Jersey, 2011.

საკუთარი ბიზნესის დაწყებისას აუცილებელია შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინება:

- რა ბიზნესს ირჩევთ და რას მოგიტანთ იგი თქვენ? რა პრობლემების ან საკითხების გადაჭრას უზრუნველყოფს იგი სხვებისთვის? რა პროდუქციას ან მომსახურებას მიწვდით ბაზარს? სად და როგორ იპოვით საკუთარ ადგილს ბაზარზე?

- ვინ არიან თქვენი იდეალური დამკვეთები ან კლიენტები? რა ბაზრებზე აპირებთ ორიენტაციას? იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი ბაზრის დაპყრობას აპირებთ, მაშინ შეეშვით ამ იდეას. ნუ შეეცდებით შეასრულოთ ყველაფერი ყველასთვის.

- როგორ აცნობთ მომხმარებელს საკუთარ საქმიანობას და რას სთავაზობთ მას? კონკრეტულად სად არის თქვენი ბიზნესისთვის გათვლილი ბაზარი? როგორ შედიხართ ბაზარზე და როგორ ქმნით ქსელს, რომელიც ბაზარზე თქვენთვის და თქვენთან ერთად იმუშავებს? რა ტიპის მარკეტინგული ინსტრუმენტები გესაჭიროებათ? გჭირდებათ თუ არა ვებგვერდი?

- რა ტიპის და ოდენობის ფინანსური ინვესტიცია გჭირდებათ ბიზნესის დასაწყებად? როგორ და საიდან იზიდავთ ფინანსებს ბიზნესის დასაწყებად? როგორ იწყებთ ბიზნესს? როგორია თქვენი კრედიტუნარიანობა? როგორ აწარმოებთ ფინანსურ ანგარიშებს? გჭირდებათ თუ არა ბუღალტერი? რა ტიპის ჩანაწერების წარმოება მოგიწევთ? რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებთ?

- რომელი სამართლებრივი მომენტების გათვალისწინება დაგჭირდებათ თქვენს ბიზნესთან დაკავშირებით? რა მოვალეობები და პასუხისმგებლობა გეკისრებათ თანამშრომლების დაქირავების შემთხვევაში?

- როგორ შეადგენთ ბიზნესგეგმას, რომელშიც უნდა აისახოს პასუხები და ანგარიშები ყველა ზემოჩამოთვლილ კითხვაზე?

სახლის ოფისი

თქვენს ბიზნესში წარმატების მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია სათანადო დონის სახლის ოფისის მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენი ბიზნესის განვითარებას. ამასთან, სახლში მუშაობის უპირატესობაა ის, რომ თქვენ არ ხართ შეზღუდული და შეგიძლიათ ივარჯიშოთ დილაობით, უყუროთ თქვენთვის საყვარელი პროგრამას შესვენებების დროს და სხვ.

სახლის ოფისი განთავსებული უნდა იყოს განცალკევებულ ადგილზე, სადაც სხვები ვერ შეძლებენ შემოსვლას და მოძრაობას თქვენი ნებართვის გარეშე, თუნდაც დროის გარკვეულ პერიოდში.

სათანადო სივრცის გამონახვის შემდეგ, ოფისში საჭიროა უზრუნველყოთ შემდეგი:

- **კარგი განათება.** ყველაფერს უნდა ხედავდეთ ნათლად და განათებამ უნდა შექმნას გამახალისებელი და არა ძილის მომგვრელი გარემო;

- **ჰაერის კარგი დენადობა.** აუცილებელია ფანჯრიანი ოთახი და კონდიციონერი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ მიიღოთ სათანადო ტემპერატურის ჰაერი წლის ნებისმიერ დროს;

- **ავეჯი და სამუშაო ტექნიკა.** უზრუნველყავით თქვენი ოფისი სათანადო ავეჯით (სამუშაო მაგიდა სპეციალური სავარძლით, კომპიუტერის მაგიდა, სკამები კლიენტებისთვის ან სტუმრებისთვის, კარადა და სხვ.) და სამუშაო ტექნიკით (კომპიუტერი, კომბინირებული პრინტერი და სხვ.);

- **საკომუნიკაციო საშუალებები** (ტელეფონი, ინტერნეტი და სხვ.);

- **საკანცელარიო ინვენტარი** (ქაღალდი, საწერ-კალმები, ფანქრები, კალკულატორი, სტეპლერი, სტიკერები, კალენდარი და სხვ.).

სავარჯიშო: „ოფისის მოწყობის პროექტის ბიუჯეტის შედგენა გუნდებში“, პრეზენტაცია და დისკუსია.

მართე საკუთარი თავი

მცირე ბიზნესში წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს საკუთარი თავის მართვის უნარი (თვითმენეჯმენტი). თქვენ, როგორც საკუთარი თავის ხელმძღვანელს, მოგეთხოვებათ:

- **აწარმოეთ ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთდეს** მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში;

- **წარმოიდგინეთ, თუ როგორ განახორციელებთ დაგეგმილ ქმედებებს;**

- **შექმენით კვლევისა და განვითარების ჯგუფი.** ესენი შეიძლება იყვნენ ნაცნობები თქვენი ქსელიდან. ეს ჯგუფი შეგიძლიათ გამოიყენოთ მარკეტინგის, იდეების შეფასების, ახალი პროდუქციისა და განფასების კვლევის საკითხებში;

- **შექმენით ანგარიშების სისტემა.** მოიფიქრეთ და შექმენით სისტემა, რომლის თანახმად ყოველდღე ანგარიშს წარუდგენთ ვინმეს იმის შესახებ, თუ რა გააკეთეთ განვლილი დღის განმავლობაში. ეს შეიძლება იყოს ტრენერი, მეგობარი ან პარტნიორი;

- **წახალისეთ საკუთარი თავი.** მაგალითად, რაიმე ღონისძიების, პროექტის დასრულებისას აუცილებლად წახალისეთ საკუთარი თავი;

- **დაარწმუნეთ საკუთარი თავი.** აწარმოეთ ჩანაწერები თქვენი წარმატებების, სწავლებისა და იდეების შესახებ, იმისათვის, რომ გახსოვდეთ რეალურად რამდენად კარგი ხართ, რა გამოგდით კარგად, და მიღებული შედეგების შესახებ. დღის განმავლობაში მშვიდად ყოფნის პერიოდში დაარწმუნებით გაუმეორეთ საკუთარ თავს, თუ ვინ ხართ და ვინ ვსურთ გახდეთ;

- **ვარჯიში და ჯანსაღი კვება;**

- **იცნობდეთ თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს.** აიყვანეთ დამხმარე ისეთი საქმეების შესრულებისთვის, რომლებიც თქვენ კარგად არ გამოგდით. მაგალითად, ასისტენტი,

ბიორგი შინაშვილი

ვებგვერდის დიზაინერი, ბუღალტერი, მარკეტინგის სპეციალისტი და სხვ. ნუ აიძულებთ საკუთარ თავს იყოთ თქვენი საქმიანობის ყველა სფეროს ექსპერტი. იმუშავეთ ძლიერი მხარეების განვითარებაზე;

- **უსმინეთ საკუთარ თავს.** მიაქციეთ ყურადღება საკუთარ ინტუიციას, გრძნობებსა და ფიქრებს. გამოიყენეთ ისინი სახელმძღვანელო პრინციპებად, ფოკუსირება მოახდინეთ იმაზე, თუ რა გსურთ და იმოქმედეთ შესაბამისად;

- **იყავით მუდმივი სწავლების პროცესში.** იმუშავეთ საკუთარი შესაძლებლობების, ცოდნის გაუმჯობესებაზე და ყოველთვის ინფორმირებული იყავით თქვენს სპეციფიკურ დარგში. შეიძინეთ ახალი უნარები, გაიარეთ ტრენინგების კურსები.

მთლიანობაში, ტრენინგის სრული კურსის გავლის შედეგად მსმენელები შეისწავლიან საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებას. აგრეთვე, თუ როგორ შეუსაბამონ საკუთარი შესაძლებლობები კარიერულ მოთხოვნებს. შეძლებენ გაიაზრონ, თუ რა ეფექტს ახდენს მათ კარიერულ შესაძლებლობებზე მოტივაცია, თვითდაჯერებულობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა. ასევე, თუ როგორ მოახდინონ საკუთარი თავის პრეზენტაცია დამსაქმებლის წინაშე, როგორ მოიძიონ სასურველი სამსახური, დაამყარონ კავშირები, შეძლებენ შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოძიებას.

მსმენელები შეძლებენ:

- პრაქტიკული ორიენტაციის კუთხით გაიაზრონ ბიზნესისა და მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები;

- შეარჩიონ ბიზნესიდეა, ბიზნესის სახეობა და შეადგინონ ბიზნესგეგმა;

- გაიაზრონ მცირე ბიზნესის მართვისა და მარკეტინგის პრინციპები;

- ისწავლონ ფინანსების მოძიების გზები;

- შექმნან საკუთარი სამეწარმეო ორგანიზაცია და უხელმძღვანელონ მის საქმიანობას.

მოტიანობაში, სტატიაში გადმოცემული ტრენინგ-კურსის ორგანიზაცია და მეთოდოლოგია აგებულია სასწავლო პროცესის მართვის თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიების საფუძველზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევის მაღალ ეფექტიანობას.

პროფესიული ორიენტაციის და ბიზნეს-ტრენინგები ქვეყნის საგანმანათლებლო სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი რგოლია, რის გამოც აუცილებელია მათი პრაქტიკული განხორციელება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა დონეზე, მათ შორის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

ასეთი მიზნის განხორციელებას, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკითხის ორგანიზაციულ-მეთოდური ასპექტების შესწავლა, მეცნიერული გააზრება და სათანადო პუბლიკაციებში უფრო მომეტებული ასახვა.

Training project: „Professional orientation, starting and managing own business“

G. Shikhashvili

Complex and diverse processes taking place in the social life requires from separate people and organizations to be trained in order to achieve continuous growth of knowledge and qualification and adapt with the environmental changes.

The author of this article has introduced project „Professional orientation, starting and managing one’s own business“ which is already implemented in the real training practice throughout the country and is going to take place in the future too.

The aim of the project is to equip people living in the regions with the skills that are necessary for labour market, to work out and teach adapted courses in professional orientation, how to start one’s own business and manage it.

Trainings in professional orientation and business is an important

part of country's educational strategy. Because of this their practical implementation is necessary at all levels of socio-economic development including the Faculty of Economics and Business at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა. სახელმძღვანელო. შემდგენლები: გ. შიხაშვილი, გ. ერქომაიშვილი და სხვ. თბ., 2012;
2. შიხაშვილი გ. სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადება-პრეზენტაციის მეთოდური ასპექტები. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, №2;
3. შიხაშვილი გ. ბიზნეს-ტრენინგები პროექტების მეთოდის გამოყენებით. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №5;
4. Abrams R. The Owners's Manual for Small Business. The Planning Shop. Palo Alto. California. 2005;
5. Carew R. Discovering Your Perfect Career. Alpha, USA, 2005;
6. Martensson P., Bild M., Nilsson K. Teaching and Learning at Business Schools. Transforming Business Education. Gower Publishing Limited. Gower House. England. Gower Publishing Company. USA. 2008;
7. O'Rourke J. Effective Communication. DK, London, New York, Munich, Melbourne, Delhi, 2009;
8. Scarborough N. Effective small business management: an entrepreneurial approach. Prentice Hall. Pearson. London, New York, Munich, Melbourne, Delhi, New Jersey, 2011.

**ფინანსური აქტივების გაღაფასებასთან
დაკავშირებული რისკები საქართველოს
ეკონომიკაში**

ირსაბ მამუკელაშვილი
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოწვევაა არსებობდეს ფინანსური ანგარიშგების და შესაბამისად, ფინანსური აღრიცხვის ერთიანი სტანდარტები, რაც ფინანსური ინფორმაციისადმი დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს უფრო ადვილად მიიღონ გადაწყვეტილება ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე. 2005 წელს ევროკავშირმა მიიღო კანონი, რომელიც ავალდებულებს ყველა კომპანიას, რომლის აქციებიც იყიდება ფინანსურ ბაზარზე, გამოაქვეყნოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ის) შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება. ზემოაღნიშნულმა კანონმა 7000-ზე მეტი საერთაშორისო კომპანია ავტომატურად დაავალდებულა გადასულიყო ბასს-ით ფინანსური აღრიცხვის წარმოებაზე [2, გვ. 1]. შესაბამისად, ევროპის მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს ადგილობრივი ფინანსური აღრიცხვის კანონმდებლობის ბასს-თან ჰარმონიზაციის პროცესი.

საქართველოს პარლამენტმა 1999 წელს მიიღო “კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ”, რომლითაც აღიარა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და დაავალდებულა საბანკო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები, აქციონერული,

შეზღუდული პასუხისმგებლობის, კომანდიტური და სოლდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და კოოპერატივები, ფინანსური ანგარიშგება ეწარმოებიან ბასს-ის მიხედვით [3]. შესაბამისად, ბასს-ი საქართველოში პირველად დანერგეს ბანკებმა, სადაზღვევო კომპანიებმა და იმ საწარმოებმა, რომლებშიც ინვესტიცია ჩადეს უცხოურმა კომპანიებმა.

2012 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო “კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”, სადაც დაზუსტებულია თუ როგორ მოხდება ფინანსური აღრიცხვის რეგულირება საქართველოში [2]. ამ კანონით, სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს ადგენს საქართველოს მთავრობა, ხოლო “კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან” [2, გვ.3].

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს კანონმდებლობით, კერძო სექტორის კომერციული ორგანიზაციები ვალდებული არიან ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ ბასს-ის მიხედვით, ქვეყნის მთავრობა უფლებას აძლევს კერძო კომპანიებს ფინანსური აღრიცხვა აწარმოონ გადაფასებული ღირებულებებით ბასს 13-ის მიხედვით. ბასს 13-ში განმარტებულია, რომ კომპანიებს აქვთ უფლება, რიგ შემთხვევაში, გადააფასონ თავიანთი აქტივები და ვალდებულებები ზემოაღნიშნულ სტანდარტში მოყვანილი გადაფასების პრინციპების მიხედვით, ხოლო გადაფასებით მიღებული მოგება ან ზარალი აღრიცხონ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში [7, გვ.16]. ზემოაღნიშნული გარემოება წარმოშობს რისკს, რომ “ჰკვიანმა” ფინანსურმა მენეჯერმა აქტივების და ვალდებულებების გადაფასება თავის სასიკეთოდ გამოიყენოს და “ზედმეტად ოპტიმისტური” ფინანსური ანგარიშგებით შეცდომაში შეიყვანოს ინვესტორები, მაკონტროლებელი ორ-

განიზაცია და ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციით დაინტერესებული სხვა მომხმარებლები.

ბევრი მკვლევარი თვლის, რომ აქტივების და ვალდებულებების გადაფასებით წარმოებული ბუღალტერია არ არის სანდო და სპეკულირების საშუალებას აძლევს მენეჯმენტს. კ. რამანას (K. Ramanna) აზრით, გადაფასების საკითხი ფინანსურ აღრიცხვაში აქტუალური გახდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც აშშ-ში რეიგანი გახდა პრეზიდენტი და მიდტონ ფრიდმანის ეკონომიკის იდეების მიხედვით განახორციელა უპრეცედენტო ეკონომიკური ცვლილებები [10, გვ.1]. გადაფასების პრაქტიკა გულისხმობს, რომ ეკონომიკური ზრდის პერიოდში, აქტივებისათვის შეიძლება “ფასის მომატება” და განსხვავების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგებად აღიარება, რითაც, ხშირ შემთხვევაში, გამოითვლება უმაღლესი მენეჯმენტის პრემიები. შესაბამისად, ლოგიკურია უმაღლესი მენეჯმენტის ინტერესებში იყოს მაღალი შემოსავლების ჩვენება, რაშიც გადაფასების პრაქტიკა იდეალურია ეკონომიკური ზრდის პერიოდში. კ. რამანა აღნიშნავს, რომ აშშ-ის ფინანსური ინსტიტუტები აქტიურად ლობირებდნენ ზემოაღნიშნულ პრაქტიკას XX საუკუნის ბოლო ოცი წლის განმავლობაში [10, გვ.1].

მეორე მხრივ, მასაჩუსეტის ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორს, ს. ჯონ-სონს (S. Johnson) უფრო რადიკალური შეხედულება აქვს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ აშშ-ის ფინანსურმა ინსტიტუტებმა რეიგანის პრეზიდენტობის შემდეგ, ფაქტობრივად, ქვეყნის ეკონომიკური დივერსია განახორციელეს [8, გვ.148]. იგი ასევე ეთანხმება კ. რამანას მოსაზრებას, რომ ფინანსური ინსტიტუტების თანამშრომლების კომპენსაცია პრემიების სახით XX საუკუნის ბოლო პერიოდში არალოგიკურად აღემატებოდა სხვა კერძო დაწესებულებების თანამშრომლების კომპენსაციას (იხ. გრაფიკი 1). აღსანიშნავია, რომ XX საუკუ-


იოსებ გამუკელაშვილი

ნის ბოლო პერიოდსა და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე, ფინანსური ინსტიტუტების თანამშრომელთა საშუალო ანაზღაურება ორჯერ აღემატება სხვა კერძო დაწესებულებების თანამშრომელთა ანაზღაურებას.

აშშ-ის ფინანსური ინსტიტუტებისა და სხვა კერძო დაწესებულებების თანამშრომელთა კომპენსაციების შედარებითი მაჩვენებლები [8,გვ.104].

(გრაფიკში უწყვეტი ხაზით ნაჩვენებია ფინანსური ინსტიტუტების თანამშრომლების კომპენსაციის შედარება წვეტილი ხაზით ნაჩვენებ სხვა კერძო დაწესებულებების თანამშრომლების კომპენსაციასთან).

გრაფიკი 1



საინტერესოა, რომ გადაფასების პრაქტიკა აქტუალური იყო აშშ-ში 1929 წლის “დიდ დეპრესიამდე”, ხოლო მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისია (U.S. Securities and Exchange Commission), როგორც ქვეყნის ფინანსური აღრიცხვის მარეგულირებელი დაწესებულება, გადაფასების პრაქტიკა აიკრძალა იმავე საუკუნის 70-იანი წლების ჩათვლით [10,გვ.1]. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის 174

ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად უნდა დასახელდეს გადაფასების პრაქტიკა: როდესაც 2007 წელს დაწესებული გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად აქტივების ფასები მკვეთრად დაეცა, კომპანიები იძულებული გახდნენ ბალანსზე მათი ღირებულება საგრძნობლად ჩამოეფასებინათ და განსხვავება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ზარალად დაეფიქსირებინათ. ამ გარემოებამ კი, გამოიწვია პანიკა ინვესტორებსა და საზოგადოებაში, რადგან ფინანსური ანგარიშგებები რეალობას “პესსიმისტ-ურად” ასახავდა [10, გვ.1].

გამომდინარე იქედან, რომ ცნობილი მკვლევარები მიიჩნევენ გადაფასების პრაქტიკას გლობალური ფინანსური კრიზისის ერთ-ერთ კატალიზატორად, საქართველომ უნდა ისწავლოს აშშ-ის მაგალითზე, რომ არ გაიმეოროს იგივე სახეობის შეცდომები, რამაც გამოიწვია მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკის რყევა. საჭიროა, საქართველო ფრთხილად მოეკიდოს ბასს-ით ნებადართულ გადაფასების პრაქტიკას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყნის ეკონომიკისთვის არასასურველი შედეგები.

იმისათვის, რომ დადგინდეს თუ რა ფორმითა და ზომით შეიძლება აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების პრაქტიკამ ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას, საჭიროა გაანალიზდეს თუ რა დონეზეა განვითარებული გადაფასების ეს პრაქტიკა საქართველოში. გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიო ბანკის 2007 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 62% ჩრდილოვან ეკონომიკაშია წარმოებული, საკმაოდ რთულია ქართული კერძო კომპანიების შესახებ საჯარო წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება [11, გვ.25]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ყველაზე რეგულირებული სფერო ქართულ ეკონომიკაში არის საბანკო სექტორი, რადგან ბუღალტრული აღრიცხვის თავდაპირველი 1999 წლის და შემდგომ 2012 წლის ქართული კანონმდებლობით, ბანკებმა

იოსებ გაფუქვალაშვილი

უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წამყვანი ხუთი ბანკის ჯამური აქტივების ღირებულება, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა ქართული საბანკო სექტორის დაახლოებით 82%-ს (იხ. ცხრილი 1).¹

საქართველოს წამყვანი ხუთი ბანკის ჯამური აქტივების ღირებულება [13-17].

ცხრილი 1

ბანკის სახელწოდება	აქტივების ჯამური ღირ-ბა 31.12.2011 (ათ. ლარი)	ქართული საბანკო ბაზრის წილი
საქართველოს ბანკი	4,665,261	36.79%
თი-ბი-სი ბანკი	3,300,021	26.03%
პროკრედიტ ბანკი	971,846	7.66%
ლიბერთი ბანკი	733,235	5.78%
ბანკი რესპუბლიკა	702,450	5.54%
ჯამი	10,372,813	81.81%

ბანკების ფინანსური ანგარიშგებების შესწავლა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ როგორც რამანა და ჯონსონი მიიჩნევენ, ბანკები გადაფასების პრაქტიკის მთავარი მომხმარებლები და ლობისტები არიან. ასევე, ისლანდიის 2008 წლის მაგალითმა აჩვენა, რომ საბანკო კრიზისები პატარა ქვეყნებს შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეთ. 2008 წლის გაზაფხულამდე, ისლანდიის საბანკო სექტორი იყო ქვეყნის მშპ-ზე 14-ჯერ დიდი, სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში, საბანკო სექტორი ჩამოიშალა და ქვეყნის მთავ-

¹ კელვეის ანალიზისათვის ფინანსური ანგარიშგებები მოპოვებულია საქართველოს ბაზარზე წამყვანი ხუთი ბანკის (საქართველოს ბანკი, თი-ბი-სი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ლიბერთი ბანკი და ბანკი რესპუბლიკა) ვებგვერდებიდან.

რობა იძულებული გახდა სახელმწიფო საკუთრებაში გადა-
მოეტანა ბანკები [12].

გასათვალისწინებელია, რომ მკვლევარებს ჩენს (Chen),
ტანს (Tan) და ვანგს (Wang) მოჰყავთ არგუმენტი, რომ გადა-
ფასების პრაქტიკას უარყოფითი წვლილი შეაქვს კომპანიე-
ბის რისკების მართვის პროცესში, რადგან ეკონომიკური
ზრდის პერიოდში, კომპანიამ შეიძლება ვერ განჭვრიტოს მის
წინაშე არსებული ყველა ფინანსური რისკი გადაფასების
შედგებად მიღებული “ზედმეტად ოპტიმისტური” ფინანსური
ანგარიშგებიდან გამომდინარე [5, გვ.67]. ეს უნდა გაითვალ-
ისწინოს საქართველოს საბანკო სექტორმა, რათა თავიდან
აიცილოს არაეფექტიანი კორპორატიული მენეჯმენტი.

ბასს 13 საბაზრო ფასს განსაზღვრავს, როგორც გა-
დასახდელ თანხას, რომელიც კომპანიას შეუძლია მიიღოს
აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების მესამე მხარეზე
გადაცემისთვის, საბაზრო პრინციპების გათვალისწინებით
[7, გვ.7]. აღნიშნული სტანდარტი ასევე განმარტავს, რომ შემ-
ფასებელი მაქსიმალურად უნდა ეცადოს შეფასების დროს
არსებითად თვალსაჩინო მონაცემებს დაეყრდნოს, ხოლო ნაკ-
ლებად – არათვალსაჩინო მონაცემებს [7, გვ.17]. მონაცემების
თვალსაჩინოება წარმოდგენილია სამი დონის იერარქიით:

- **პირველი დონის იერარქია** მოიცავს იდენტური აქ-
ტივების და ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირე-
ბულ ფასებს [7, გვ.19];

- **მეორე დონის იერარქია** მოიცავს მსგავსი აქტივე-
ბის და ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებულ
ფასებს, კოტირებულ ფასებს იდენტურ აქტივებსა და ვალ-
დებულებებზე, რომელთაც არ გააჩნიათ აქტიური ბაზარი ან
აქტიურ ბაზარზე მოცემული ფასის გარდა სხვა რაიმე მონა-
ცემი აქტივის შესახებ, რაც შეიძლება დაეხმაროს შემფასე-
ბელს აქტივის ან ვალდებულების შეფასებაში [7, გვ.20];

• **მესამე დონის იერარქია** გულისხმობს არათვალსაზირო მეთოდების გამოყენებას შეფასების დროს, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის პირველი ან მეორე დონის იერარქიის მონაცემები არ არსებობს [7, გვ. 21].

სამწუხაროდ, ქართულ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც არ არსებობს აქტივებისა თუ ვალდებულებებისათვის “აქტიური ბაზარი” და ლოგიკურია ვარაუდი, რომ შეფასება, ხშირ შემთხვევებში, ტარდება მეორე და მესამე დონის იერარქიის მონაცემების საფუძველზე. მაგალითად, როდესაც შემფასებელი აფასებს ბანკის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებს ან საინვესტიციო ქონებას, საკმაოდ რთული იქნება მისთვის საბაზრო ფასის დადგენა და დიდი ალბათობით იყენებს მეორე და მესამე დონის იერარქიების მონაცემებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ გაანალიზებულია ზემოაღნიშნული ხუთი ბანკის ფიქსირებული აქტივების გადაფასების პროცედურები გლობალური ფინანსური კრიზისის პერიოდში (2008 წელს და მას შემდეგ).

ანალიზით დადგინდა, რომ ფიქსირებული აქტივების ფასი ყველაზე მეტად შემცირდა 2008 წელს, როდესაც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა პიკს მიაღწია. ფიქსირებული აქტივების ფასების შემცირება ავტომატურად გულისხმობს, რომ ბანკებმა მათი ფასთა სხვაობა მოგებაზარალის ანგარიშგებაში აღიარეს, როგორც ზარალი (იხ. ცხრილი 2). აღსანიშნავია, რომ პროკრედიტ ბანკი ერთადერთი აღმოჩნდა საქართველოს უმსხვილესი ხუთი ბანკიდან, რომელიც ფიქსირებული აქტივების გადაფასებას არ აწარმოებს: ბანკის 2009 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ფიქსირებული აქტივები აღრიცხულია მისი თავდაპირველი ღირებულებით, თუმცა, უტარდება გაუფასურების ტესტი, როდესაც ბიზნეს-გარემოებები საგრძნობლად

საბუნაღბრო აღრიცხვა და ანალიზი


ბლად გაუარესდება კომპანიისთვის [22,გვ.50]. საინტერესოა, რომ ფიქსირებული აქტივების გადაფასება აკრძალულია აშშ-ში, რადგან ქვეყნის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტები, ბასს-თან შედარებით, უფრო კონსერვატორულად ითვლება [23].

ფიქსირებული აქტივების გადაფასების
შედეგები [13-22]

ცხრილი 2

ბანკის სახელწოდება	ფიქსირებული აქტივების გადაფასების ეფექტი (ათ. ლარი)			
	2008	2009	2010	2011
საქართველოს ბანკი	(11,669)	(3,205)	(9,365)	(1,561)
თი-ბი-სი	(7,554)	-	-	(1,311)
პროკრედიტ ბანკი	-	-	-	-
ლიბერთი ბანკი	(930)	(113)	-	(138)
ბანკი რესპუბლიკა	4,244	(585)	1,558	(375)

გრაფიკი 2 ასახავს, რომ ფიქსირებული აქტივების გადაფასების დინამიკა ფაქტობრივად იდენტურია საქართველოს ბანკში, თი-ბი-სი ბანკსა და ლიბერთი ბანკში 2008 წლიდან 2011 წლის ჩათვლით, გარდა საქართველოს ბანკის 2010 წლის 9.4 მლნ ლარის ზარალისა. 2010 წლის გადაფასების ზარალი შეიძლება აიხსნას ამ წელს განსაკუთრებულად დიდი ოდენობით შექმნილი და ექსპლუატაციაში შესული აქტივებით. 2010 წელს, საქართველოს ბანკმა შეიძინა 36.4 მლნ ლარის აქტივები და დაასრულა 23.1 მლნ ლარის ოდენობის აქტივების წარმოება, რაც ამავე წელს შევიდა ექსპლუატაციაში [13,გვ.52]. 2010 წელს შექმნილი და ექსპლუატაციაში შესული აქტივების ჯამი უდრის 59.5 მლნ ლარს, ხოლო 2009 წელს - 25.4 მლნ ლარს, რაც ლოგიკურად ხსნის 2010 წლის გადაფასების ზარალის სიდიდეს 2009 წელთან შედარებით.



საინტერესოა, რომ ბანკი “რესპუბლიკა” ერთადერთია საქართველოს წამყვანი ხუთი ბანკიდან, რომელმაც 2008 წლის ფიქსირებული აქტივების გადაფასებიდან მოგება მიიღო 4.2 მლნ ლარის ოდენობით. თუმცა, ბანკ რესპუბლიკას 2008 წელს რომ არ გადაეფასებინა ფიქსირებული აქტივები, კომპანიის საბოლოო მოგება იქნებოდა 655 ათ. ლარი და არა 4,899 ათ. ლარი, რაც კომპანიამ მიიღო გადაფასების შედეგად. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის მოგება იყო 5,086 ათ. ლარი, რაც მიახლოებულია წინა წლის მოგებასთან. ზემოაღნიშნულ პრაქტიკას ფინანსური აღრიცხვის მკვლევარები უწოდებენ მოგების მენეჯმენტს (earnings management) [24]. მინგ-ჩია (Ming-Chia) და იუან-ჩენგი (Yuan-Cheng) მიიხსენებენ, რომ მოგების მენეჯმენტის უმთავრესი კატალიზატორია მენეჯმენტის სურვილი - კომპანიაში არსებული ფინანსური სურათი გააუმჯობესოს და კომპანიის მფლობელებსა და ფინანსური ინფორმაციით დაინტერესებულ სხვა მომხმარებლებს ოპტიმისტური სურათი მიაწოდოს წლიდან წლამდე მოგებაში სხვაობების შემცირების საფუძველზე [24]. გამომდინარე იქედან, რომ ბანკ რესპუბლიკას ჰყავს უცხოელი მფლობელი და საქართველოს ბაზარზე მოკრძალებული 5.54% უკავია, სავსებით ლოგიკურია, რომ კომპანიის მენეჯმენტმა გადააფასა ფიქსირებული აქტივები 2008 წელს, რათა

წლიდან წლამდე მოგებაში სხვაობები შეემცირებინა.

დასასრულ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ კვლევის შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი გარემოება: ერთი მხრივ, დადასტურდა საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ აქტივების გადაფასების პრაქტიკა ემყარება არათვალსაჩინო გარემოებებს, რადგან ეკონომიკური კრიზისის პერიოდში დიდი ოდენობით ჩამოფასების ზარალის ჩვენებამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები; მეორე მხრივ, დადგინდა - გადაფასების პრაქტიკა იმდენად სუბიექტურია, რომ ეკონომიკური კრიზისის პერიოდშიც კი, შესაძლოა მოგების ჩვენება.

ფიქსირებული აქტივების ჩამოფასებამ 2008 წლის კრიზისის პერიოდში 20.2 მლნ ლარს მიაღწია საქართველოში, რაც მაშინდელი მშპ-ის დაახლოებით 0.11%-ია, მაგრამ გასათვლისწინებელია, რომ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით, საბანკო სექტორის წილი მშპ-ის მხოლოდ 46% იყო. თუმცა, ქართული საბანკო სექტორი თუ განვითარდება როგორც ისლანდიის საბანკო სექტორი, რომელიც 2008 წელს ქვეყნის მშპ-ს 14-ჯერ აღემატებოდა, ზემოაღნიშნულმა 20.2 მლნ ლარმა შეიძლება 283 მლნ ლარის ჩამოფასების ეფექტი მოგვცეს. შესაბამისად, ამ კვლევის სამომავლო განვითარებისთვის, აუცილებელია შესწავლილ იქნეს თუ რა ფორმითა და ზომით შეიძლება გადაფასების პრაქტიკის შეზღუდვა ქართული კანონმდებლობითა და მარეგულირებელი აქტებით.

The Risk of Fixed Assets' Revaluation in Georgia's Economy

I. Mamukelashvili

This research examines the risks associated with revaluation of fixed assets in the economy of Georgia based on analysis of financial re-

ports of the country's five largest banks. The above-mentioned research arrives at two major conclusions. First, it confirms Kolasinski and Rammanna's assertions that fair value accounting can portray "overly pessimistic" financial picture during financial crises. On the other hand, it determines that fair value accounting is a subjective process, which can be used by management to practice "earnings management" and mislead investors and other stakeholders. Therefore, given the fact that Georgian banking sector is at a developing stage, it is important to further research the way in which fair value accounting regulation can be introduced in local legislation and regulatory acts.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ (ძალადაკარგული). საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 1999;
2. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2012;
3. Belde, A. IFRS in the Central and Eastern European Region. PhD Thesis, Maastricht University, 2005;
4. Cairns, D., Massoudib, D., Tapline, R., Tarcab, A. IFRS fair value measurement and accounting policy choice in the United Kingdom and Australia. The British Accounting Review, 2011, Vol. 43 Issue 1;
5. Chen, W., Tan, H.-T., Wang, E. Y. Fair Value Accounting and Managers' Hedging Decisions. Journal of Accounting Research, 2013, Vol. 51, Issue 1;
6. Dontoh, A., Elayan, F. A., Ronen, J., Ronen, T. Unfair 'Fair Value' in an Opaque Credit Default Swap Market: How Marking-to-Market Pushed the International Credit Crunch. Working Paper, 2013;
7. International Accounting Standards Board. IFRS 13: Fair Value Measurement, London, 2013;

8. Johnson, S., Kwak, J. 13 Bankers: The Wall Street Takeover and the Next Financial Meltdown. New York: Pantheon Books, 2010;
9. Kolasinski, A. C. Mark-to-market regulatory accounting when securities markets are stressed: lessons from the financial crisis of 2007-09. Journal of Accounting and Economics, 2011. Vol. 52 Issue 2-3;
10. Ramanna, K. Why 'Fair Value' Is the Rule: How a Controversial Accounting Approach Gained Support. Harvard Business Review, 2013, Vol. 91, Issue 3;
11. Schneider, F., Buehn, A., Montenegro, C. E. Shadow Economies All over the World. The World Bank, 2010;
12. Snoozing geysers: crisis-stricken Icelanders drink less and sleep more. The Economist. 2012. <<http://www.economist.com/node/21559606>>;
13. საქართველოს ბანკის 2011 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. <<http://bankofgeorgia.ge/file.helix?i=790c3433-032e-49a1-a58b-22d42c74b0d6&r=R&a=1>>
14. თი-ბი-სი ბანკის 2012 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. <http://www.tbcbank.ge/ir/storage/uploads/mxcontent/schema_d2/common/files/TBC%202012.pdf>
15. პროკრედიტ ბანკის 2011 წლის ანგარიში. <http://www.procreditbank.ge/admin/files/AR/AR_2011_geo.pdf>
16. ლიბერტი ბანკის 2011 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. <http://libertybank.ge/ir/files/pdfs/LB_Audited%20IFRS%20FS_2011.pdf_fddhvdnovn.pdf>
17. ბანკი რესპუბლიკა-ს 2011 წლის ანგარიში. <http://republic.ge/files/231_192_645652_2011.pdf>
18. ბანკი რესპუბლიკა-ს 2009 წლის აუდიტირებული ანგარიშგება. <http://www.republic.ge/files/231_186_823756_FinancialStatements31.12.09.pdf>
19. თი-ბი-სი ბანკის 2009 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. <<http://www.tbcbank.ge/ir/storage/uploads/mx->

content/schema_d2/common/files/TBC%20Bank%20%20Audit%20report%20%202009_1.pdf>

20. საქართველოს ბანკის 2009 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. <<http://bankofgeorgia.ge/file.helix?i=b575a9da-9838-46f4-a7fe-db374a84c0db&r=R&a=1>>

21. ლიბერთი ბანკის 2009 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. <http://libertybank.ge/ir/files/pdfs/Liberty%20Bank%202009%20Audited%20Financials%20FINAL.pdf_ok-bnnkcdla.pdf>

22. პროკრედიტ ბანკის 2009 წლის ანგარიში. <http://www.procreditbank.ge/admin/files/PCBG_Annual_Report_2009_Eng.pdf>

23. Financial Accounting Standard Board (FASB). Accounting Standards Codification 360-10-30, 2013;

24. Ming-Chia, C., Yuan-Cheng, T. Earnings Management Types and Motivation: A Study in Taiwan. Social Behavior and Personality: an International Journal, 2010. Vol. 38, No. 7.

**ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი
ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების
ცვეთის ღარიცხვის თავისებურებები**

ელგუჯა აკობია

**ივ-ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი**

ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების ცვეთის დარიცხვა წარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

აქტივად პირველადი აღიარების შემდგომ ძირითადი აქტივები აღრიცხვას ექვემდებარება ნარჩენი, ანუ საბალანსო ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვიდან, მოცემულ მომენტში, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს ექნება გარკვეული ასაკი და მდგომარეობა. ე.ი. ნარჩენი ღირებულება მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ. ერთ-ერთი ასეთი ცვლილებას წარმოადგენს ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

ძირითადი კაპიტალის მოხმარებული ნაწილის განსაზღვრა წარმოადგენს კორექტირებადი გატარებების ერთ-ერთ ტიპს. იგი შეეხება გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების

გარკვეულ ჯგუფს და წარმოადგენს ანგარიშგებითი პერიოდის განმავლობაში ერთეულის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და შემთხვევითი დაზიანების შედეგად მათი ღირებულების ნაწილის ხარჯად აღიარების გამო. რეალიზაციისა და შესაბამისობის პრინციპებიდან გამომდინარე, არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის აღიარებით, აღიარებული უნდა იქნეს ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯებიც, შესაბამისად, არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის პერიოდში ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის თანაბარზომიერად გადატანა ხარჯებში წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ცვეთას და იგი გაინგარიშება ყველა სახის მატერიალურ და არამატერიალურ ძირითად აქტივებთან მიმართებით[1,გვ15].

ძირითადი აქტივის მოხმარება განიხილება შიგა ოპერაციად და აისახება თითოეული ანგარიშგებითი წლის ბოლოს, სრული კალენდარული წლისათვის (მიუხედავად იმისა, ანგარიშგებითი წლის რომელ თვეშია შექმნილი ან წარმოებული).

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იგივე თანხის დარიცხვას აქტივის მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში. ცვეთა გამოიანგარიშება აქტივების პირვანდელი ღირებულების გამრავლებით ინსტრუქციით გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე. აქტივების პირვანდელი ღირებულება შეიძლება შეიცვალოს არსებითი ან მნიშვნელოვანი გაუმჯობესების და გადაფასების შედეგად.

მაგალითი 1:

- ა) სსიპ-ის საცხოვრებელი შენობის ცვეთა, რომლის

საბუღალტრო აღრიცხვა და ანალიზი

პირვანდელი ღირებულება შეადგენს 1000000 ლარს, ცვეთის ნორმა – 0.8%;

ბ) დამხმარე ერთსართულიანი შენობის ცვეთა, პირვანდელი ღირებულებით – 30000 ლარი, ცვეთის ნორმა – 1%;

გ) მაყურებელთა დარბაზის ავეჯის ცვეთა, პირვანდელი ღირებულებით – 250000 ლარი, ცვეთის ნორმა – 6%;

დ) სასცენო ტანსაცმელის ცვეთა, პირვანდელი ღირებულებით – 35000 ლარი, ცვეთის ნორმა – 8%;

ე) ბრინჯაოსა და მარმარილოს ქანდაკებების ცვეთა, პირვანდელი ღირებულებით – 120000 ლარი, ცვეთის ნორმა – 1%;

ვ) ბუტაფორიების, დეკორაციებისა და რეკვიზიტების ცვეთა, პირვანდელი ღირებულებით – 80000 ლარი, ცვეთის ნორმა – 14%;

ზ) საკონცერტო როიალის ცვეთა, პირვანდელი ღირებულებით – 3500 ლარი, ცვეთის ნორმა – 5%;

თ) საშუალო კლასის ავტომობილის ცვეთა, პირვანდელი ღირებულებით – 42000 ლარი, ცვეთის ნორმა – 11.2 %;

ი) კომპიუტერული ტექნიკის ცვეთა, პირვანდელი ღირებულებით – 30000 ლარი, ცვეთის ნორმა – 20%.

დ – 7310 – ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა – 35875 ლარი

კ – 2111 – საცხოვრებელი შენობები – 8000

კ – 2112 – არასაცხოვრებელი შენობები – 300

კ – 2122 – სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი – 22875

კ – 2121 – სატრანსპორტო საშუალებები – 4704

როგორც მაგალითიდან ჩანს, ანგარიშგებითი წლის ბოლოს აქტივების ანგარიშების დაკრედიტებით მათი ფიზიკური ცვეთის თანხები აღიარდება ხარჯების ამსახველ 7300

ელგუჯა აკოპია

ანგარიშის დებეტში, რომელიც წლის ბოლოს გადაიხურება წმინდა ღირებულებაზე:

დ – 5100 – წმინდა ღირებულება - 35875

კ – 7300 – ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა – 35875

ხშირ შემთხვევაში ძირითადი აქტივების შემადგენელ ნაწილებს გააჩნიათ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება სხვადასხვა დროს. ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის მათი აღრიცხვა წარმოებს ცალ-ცალკე და გამოიყენება განსხვავებული ნორმები. ამასთან, აღიარების პრინციპის შესაბამისად გაცვეთილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება და თუ შემცველი ნაწილი აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, ის აღიარდება აქტივად და მისი ღირებულებით გაიზრდება ძირითადი აქტივის ერთეულის საბალანსო ღირებულება[2, გვ7].

მაგალითი 2: სსიპ-ის მფლობელობაში არსებული დაბორატორიული დანადგარი დაიყო არსებით „A“, „B“ და „C“ ნაწილებად. სამივე ნაწილი აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. აქედან „A“ და „B“ ნაწილები არსებითია, ხოლო „C“- აგრეგირებული. „A“ და „B“ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე, ხოლო აგრეგირებულს – ერთად.

თავდაპირველი აღიარების დროს დანადგარის პირვანდელი ღირებულება შეადგენს :

„A“ – 60000 ლარი; „B“ – 55000 ლარი; „C“ - 15000 ლარი

სულ: 130000 ლარი.

„C“ ჯგუფში შემავალი ნაწილებიდან შემთხვევით მწეობრიდან გამოვიდა 3000 ლარის ღირებულების დეტალი, რომლის დაგროვილი ცვეთა შეადგენდა – 2500 ლარს. შემცველი ახალი დეტალის ღირებულებამ შეადგინა – 3500 ლარი.

ოპერაცია ანგარიშებზე აისახება შემდგენაირად:

1. შეცვლილი დეტალის საბალანსო ღირებულების ჩამოწერა:

ღ – 7320 – მორალური ცვეთა და შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკლისები – 500 ლარი,

კ – 2122 – სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი – 500.

2. შეცვლილი დეტალის ღირებულების კაპიტალიზება:

ღ – 2122 – სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი – 3500,

კ – 5100 – წმინდა ღირებულება – 3500.

აღნიშნული ოპერაციებით შეცვლილი დეტალის არაა-მორტიზებული თანხა (ნარჩენი ღირებულება) აღიარდა ხარჯად, რომელიც პერიოდის ბოლოს ჩამოიწერება წმინდა ღირებულებით:

ღ – 5100 – წმინდა ღირებულება – 500,

კ – 7320 – მორალური ცვეთა და შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკლისები – 500.

შეცვლილი ნაწილი ჩაერთო „C“ ნაწილის ღირებულებაში და მისმა საბოლოო ღირებულებამ შეადგინა – (15000 – 3000 + 3500) – 15500 ლარი, საიდანაც მომავალში განხორციელდება ცვეთის დარიცხვა. მთლიანად ლაბორატორიული დანადგარის პირვანდელი ღირებულება გაიზარდა და შეადგინა - (130000 – 3000 + 3500) – 130500 ლარი; მათ შორის: „A“ – 60000 ლარი; „B“ – 55000 ლარი; „C“ - 15500 ლარი.

„ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრისცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, აქტივის განახლება, რეკონსტრუქცია და სხვა არსებითი გაუმჯობესება, რომელიც ზრდის აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, მის მოცულობას ან მწარმოებლურობას და ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადას წარმოადგენს განსაზღვრულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას და თითოეული ასეთი გაუმჯობესების ღირებულება განიხილება,

როგორც ძირითადი აქტივის მიღება და ემატება მოცემული აქტივის არსებულ ღირებულებას (თუ არსებითი გაუმჯობესების ცალკე აქტივად იდენტიფიცირება არ ხდება).

ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრულია აქტივების მიღება ღირებულებით, რომელიც მოიცავს მის ექსპლოატაციაში მოყვანასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ და-ნახარჯებს, ხოლო შემდგომ ძირითადი აქტივები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მათი აღიარების შემდეგ[3,გვ25]. ამასთან აქტივების საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მის ანაზღაურებად ღირებულებას, ანუ იმ სარგებელს, რომლის მოტანაც შეუძლია აქტივს. თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ანაზღაურებად ღირებულებაზე, მაშინ აქტივი ითვლება გაუფასურებულად. (ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდეს თანხას აქტივის გამოყენების ღირებულებასა და ნეტო-სარეალიზაციო ღირებულებას შორის.)

აქტივების რეალური ღირებულების დადგენის მიზნით მთავრობის დადგენილებით შემუშავებული გადაფასების ინდექსების საშუალებით წარმოებს ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულების დაყვანა მათ რეალურ ღირებულებამდე; გადაფასების ამ მეთოდს ეწოდება პროპორციული მეთოდი და გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება უტოლდება მის გადაფასებულ ღირებულებას.

მაგალითი 3: სსიპ-მა მოახდინა საცხოვრებელი კორპუსის გადაფასება. კორპუსის პირვანდელმა ღირებულებამ შეადგინა – 600000 ლარი, დაგროვილმა ცვეთამ – 250000 ლარი. ნარჩენმა საბალანსო ღირებულებამ – 350000 ლარი (600000 – 250000). იმავე პერიოდისათვის საცხოვრებელი კორპუსის რეალურმა ღირებულებამ შეადგინა – 420000 ლარი.

გადაფასების ინდექსი – $k = 420000 / 350000 = 1.2$

გადაფასების შედეგად პირვანდელმა ღირებულებამ შეადგინა: $600000 \times 1.2 = 720000$ ლარი; დაგროვილი ცვეთის გადაფასებულმა ღირებულებამ შეადგინა: $250000 \times 1.2 = 300000$ ლარი; გადაფასებულმა ნარჩენმა ღირებულებამ შეადგინა: $350000 \times 1.2 = 420000$ ლარი,

ე.ი. გადაფასების შედეგად ნარჩენი ღირებულება გაიზარდა – 70000 (420000 - 350000) ლარით. დ – 2111 – საცხოვრებელი შენობები – 70000.

კ – 8100 – მოგება/ზარალი ფლობიდან – 70000.

ანგარიშგებითი პერიოდის ბოლოს გადაფასების თანხით გაიზდება წმინდა ღირებულება:

დ – 8100 – მოგება/ზარალი ფლობიდან - 70000,

კ – 5100 – წმინდა ღირებულება - 70000.

გადაფასების შემდგომ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იწარმოებს გადაფასების შედეგად მიღებული ღირებულებიდან – 720000 ლარიდან. გადაფასების შედეგად აქტივების ღირებულების გაუფასურება გატარდება:

დ – 8100 – მოგება/ზარალი ფლობიდან,

კ – 2100 – ძირითადი აქტივები.

ანგარიშგებითი პერიოდის ბოლოს აქტივების გაუფასურების ზარალი ჩამოიწერება წმინდა ღირებულებიდან:

დ – 5100 – წმინდა ღირებულება,

კ – 8100 – მოგება/ზარალი ფლობიდან.

სრულად ამორტიზებული ძირითადი აქტივები, თუ მათ დაკარგული აქვთ საექსპლოატაციო თვისებები, ექვემდებარება ჩამოწერას დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო ჩამოწერამდე კი მათი აღრიცხვა წარმოებს ბალანსის №08 საცნობარო მუხელში – “ამორტიზებული ძირითადი აქტივები” – პირვანდელი ანუ ისტორიული ღირებულებით ან არსებითი გაუმჯობესების ან გადაფასების შედეგად გან-

საზღვრული ღირებულების მითითებით.

ინსტრუქციის მიხედვით ცვეთა არ დაერიცხება გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: 1. გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს.; 2. ასეულობებს; 3. არაწარმოებული აქტივებიდან ცვეთა არ დაერიცხება მიწას, რომელსაც გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა, ასევე წიაღისეულებს და არაწარმოებულ არამატერიალურ აქტივებს. სხვა ბუნებრივი აქტივებიდან ცვეთა ერიცხება ყველა სახეობის პირუტყვს და მრავალწლოვან ნარგავებს.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება არამატერიალური ძირითადი აქტივების ცვეთის დარიცხვა, ვინაიდან “ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ” ინსტრუქციაში არ არის მოცემული ცვეთის წლიური ნორმები.

არამატერიალური აქტივების ამორტიზებადი თანხა წარმოადგენს არამატერიალური აქტივის ღირებულებას, ხოლო ამორტიზაცია – არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხის ჩამოწერას სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება: ა) პერიოდით, რომლის განმავლობაშიც ორგანიზაცია გამოიყენებს მოცემულ არამატერიალურ აქტივს; ბ) ეკონომიკური სარგებლის პოტენციალით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ორგანიზაციაში მოცემული არამატერიალური აქტივის გამოყენების შედეგად.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ არამატერიალურ აქტივებზე მომსახურების ვადა განისაზღვრება იურიდიული უფლებით, ანუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია და იგი არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელშეკრულებო და სამართლებრივ უფლებამოსილებებს (ლიცენზია, ფრანშიზი,

საბუღალტრო აღრიცხვა და ანალიზი

კომპიუტერული პროგრამა და სხვა). ასეთი კატეგორიის არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ხოლო უნდა შეწყდეს, როცა შეწყდება ამ აქტივის აღიარება ან კლასიფიცირებულია გასაყიდად. ამორტიზაციის მეთოდის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საიმედოდ არის განსაზღვრული ეკონომიკური სარგებლის მოხმარება დროში. თუ ის საიმედოდ ვერ განისაზღვრება, გამოყენებულ უნდა იქნეს ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი.

მაგალითი 4: სსიპ-მა შეიძინა საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა 1000 ლარად, რომლის მოხმარებასაც ვარაუდობს 5 წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში წლიური ამორტიზაციის ხარჯი ტოლია: $1000 / 5 = 200$ ლარი

დ – 7310 – ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა – 200

კ – 2132 – არამატერიალური ძირითადი აქტივები – 200

მაგალითი 5: თეატრმა შეიძინა მუსიკალური შოუს ფრანშიზი. კონტრაქტი შეფასდა 25000 ლარად. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იურიდიული უფლებით – 4 წლის ვადით. მუსიკალური შოუდან სარგებელის მიღება პირველ წლებში უფრო დიდი იქნება, ვიდრე მომდევნო წლებში. ამ შემთხვევაში ამორტიზაციის დარიცხვა მათებულია ციფრთა ჯამის მეთოდით.

4 წლის ციფრთა ჯამი იანგარიშება ფორმულით:

$$n(n+1)/2;$$

$$4(4+1)/2 = 20/2 = 10 \quad (\text{ანუ, } 1+2+3+4=10)$$

$$\text{პირველი წელი} - 25000 \times 4/10 = 10000 \text{ ლარი}$$

$$\text{მეორე წელი} - 25000 \times 3/10 = 7500 \text{ ლარი}$$

$$\text{მესამე წელი} - 25000 \times 2/10 = 5000 \text{ ლარი}$$

$$\text{მეოთხე წელი} - 25000 \times 1/10 = 2500 \text{ ლარი}$$

$$\text{სულ: } 25000 \text{ ლარი}$$

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია დაერიცხებათ იმის მიუხედავად, ხდება თუ არა მათი გამოყენება. ამორტიზაციის დარიცხვა წყდება მაშინ, როცა არამატერიალური აქტივი ბოლომდეა ამორტიზებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების მქონე არამატერიალურ აქტივებზე, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია სახელშეკრულებო და სხვა უფლებების განახლება, მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია არამატერიალური აქტივების აღიარება განუსაზღვრელი ვადით (მაგალითად, სამაუწყებლო ლიცენზია, გუდვილი, სავაჭრო ნიშანი, პუბლიკაციების სათაურები, ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება და სხვა), თუმცა, არა მუდმივად. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების მქონე არამატერიალური აქტივები არ ექვემდებარება ამორტიზაციას სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენამდე, ხოლო ყოველი ანგარიშგებითი წლის ბოლოს უნდა შეფასდეს გაუფასურების ნიშნები. არამატერიალური აქტივების გაუფასურება ზარალია ფლობიდან - დ- 8100 –მოგება/ზარალი ფლობიდან, კ- 2132 – არამატერიალური აქტივები.

ანგარიშგებითი წლის ბოლოს ზარალის თანხით წმინდა ღირებულების შემცირება გატარდება : დ – 5100 – წმინდა ღირებულება, კ – 8100 - მოგება/ზარალი ფლობიდან.

ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ცვეთის დარიცხვისათვის გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული ამორტიზაციის ნორმები და ცვეთის ხარჯები მიეკუთვნება ანგარიშგებითი წლის ზარალს.

საბუღალტრო აღრიცხვა და ანალიზი

დ – 5210 – საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი,
კ – 7310 – ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა.

ეკონომიკური საქმიანობის ნაწილში გამოყენებული არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმად აიღება – 15% (ამორტიზირებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფში), თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა.

Peculiarities of charging depreciation on non-financial assets in budget-funded organizations

E. Akobia

Depreciation of non-financial assets of budget-funded organizations is accrued with certain peculiarities. Namely, on main assets depreciation is charged only by straight-line method from initial value. Depreciation of fixed assets in budget-funded organizations is regulated by the order #439 approved by the Ministry of Finance of Georgia on the 31st of December.

According to the instruction, depreciation is charged on the same amount during the whole period of asset service, according to the condition of December 31, regardless the period of the year it's acquired and produced.

The use of non-financial assets for business and profit making purposes lead to their devaluation in monetary and re-sale value. Depreciation on non-financial assets of LEPLs is charged according to the norms of amortization given in the code of Georgia.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინსტრუქცია ”ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ”. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №439, 31.12.2002 წ.;
2. ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1321,28.12.2007 წ.;
3. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ.გოგრიჭიანი, ბუღალტრული აღრიცხვა,გამომცემლობა „მერიდიანი“,თბილისი 2011 წ.;
4. ლევან გრიგალაშვილი, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი 2009 წ.

**ეკონომიკურ – პოლიტიკური
გადაწყვეტილებების მოგზაუბრისა და
მიღების პრობლემები**

ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების შემადგენელი ნაწილია რეალობის გადახვევა სასურველი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან. ნორმატიული საკითხია, თუ რა არის სასურველი და როგორ შეფასდება ეს გადახვევა. იმისათვის, რომ ასეთ გადახვევას არ ჰქონდეს ადგილი, აუცილებელია ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა.

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები თავის ლოგიკურ სტრუქტურაში ძალიან კომპლექსურია სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების გამო. ყველა გადაწყვეტილება მოიცავს რაიმე განუსაზღვრელობას. გარკვეული ან გაურკვეველია ის, არის თუ არა სწორად გაანალიზებული ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაცია და განხილული ქმედებების მოსალოდნელი შედეგები. აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკურ მოვლენებზე, არამედ, ეკონომიკის სუბიექტთა მთელი დასი. მათ რიცხვში შეიძლება შედიოდეს ისეთი სუბიექტები, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ეკონომიკური კომპეტენცია, და მიუხედავად ამისა, მაინც ახდენენ ზეგავლენას ეკონომიკაზე. გადაწყვეტილებების ლოგიკური სტრუქტურა გადაწყვეტილების მიღების თეორიის ობიექტია. სწორედ ეს თეორია გვეხმარება ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემების შეფასებასა თუ გადაჭრაში.

შეზღუდული პოზიტიური ეკონომიკური ცოდნა შეიძლება შერწყმული იქნეს ეკონომიკურად რელევანტურ ნორმებთან, რაც მიუთითებს თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან გადახვევა რეალობასა და მიზანს შორის. ცოდნის ნაკლებობა, დროის საჭიროება მოქმედებისათვის, გაურკვევლობა, შეზღუდული ეკონომიკური პერსპექტივა, ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების რეგულარული ცვლილებები, ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებლობა და ავტონომია, მნიშვნელოვანი არგუმენტებია იმისათვის, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური მოძღვრება ინტერვენციის შესახებ არ იქნეს გაგებული, როგორც მხოლოდ ნორმატიული ტექნოლოგია. დასახელებული სირთულეები მოითხოვს ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკისაგან, კერძოდ კი მისი გამტარებლებისა და კონსულტანტებისაგან, როგორც ეკონომიკური მართვის, ასევე პოლიტიკური და ორგანიზატორული ნორმების ცოდნასაც. საჭიროა მეტი უნარ-ჩვევები, შესაბამისად, მოძღვრება ინტერვენციის შესახებ უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნებს, რითაც იგი უნდა იქცეს მოძღვრებად მართვის ხელსაწყოების შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სარეცენზიო სამეცნიერო ნაშრომის¹ კვლევის მიზანია ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობის პრობლემის კვლევა, რადგან სწორედ მათი შესაბამისობის დონე განსაზღვრავს, როგორც მიღებული ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების რაციონალურობას, ასევე მათი პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანობას. მასში დეტალურადაა განხილული: 1) თუ რა გაიგება ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებში; 2) რა ინსტრუმენტებს ვფლობთ მათი რეალიზაციისათვის; 3)

1 რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბ., 2012, 277 გვ.

მათი გამოყენების გზით ძირითად ღირებულებებს შორის რა ტიპის ურთიერთობები ვლინდება და განსაკუთრებით, 4) რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ძირითადი ღირებულებების კონკრეტულ ინტერპრეტაციას და შესაბამისად, მათი რეალიზაციის ძალისხმევას ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგისათვის და ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ამასთან, დემოკრატიის, როგორც მეთოდური ნორმის შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს იმის თაობაზე, თუ როგორ უწყობს იგი ხელს ძირითადი ღირებულებების რეალიზაციას კონკურენციის პირობებში. რაც შეეხება რაციონალურობას, როგორც მეთოდურ ნორმას, მის მიმართ ისმება არსებითი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ის თავის ფუნქციას კონსტიტუციური ცოდნის დეფიციტის პირობებში.

სარეცენზიო სამეცნიერო ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში – „ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები – ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი“, – ავტორები ახალიზებენ ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის ძირითად მოთხოვნებს, შეფასების როლს ეკონომიკურ პოლიტიკაში, ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებსა და მეთოდურ ნორმებს, ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებებსა და მათი გამოყენების კრიტერიუმებს, ხოლო მეორე ნაწილში – „ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პრობლემები“ – განიხილავენ ეკონომიკურ-პოლიტიკური დაგეგმვის საფუძველებს, ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მოდელს, რაციონალურ ეკონომიკურ პოლიტიკას სოციალურ-ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში და იძლევიან მეცნიერულ რჩევებს პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისათვის.

ნაშრომი იმ წარმატებული საერთაშორისო სამეცნი-

რევაზ გოგონია, მირიან ტუხაშვილი, ეთერ ხარაიშვილი

ერო-კვლევითი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი შედეგია, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ახორციელებს უცხოეთის უნივერსიტეტებთან და რის გამოც მათ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD), ბერლინის, ცუკუბას (იაპონია) და პოტსდამის უნივერსიტეტების წარმომადგენელთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევარების (მაგისტრები, დოქტორანტები) სამეცნიერო-კვლევითი ორიენტაციისათვის. ის ნამდვილად დაინტერესებს და დახმარებას გაუწევს, როგორც უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას, ასევე სახელმწიფო ეკონომიკურ სტრუქტურებსა და ბიზნესის სფეროში მომუშავე პროფესიონალებს.

**პროფესორი რევაზ გოგონია,
პროფესორი მირიან ტუხაშვილი,
პროფესორი ეთერ ხარაიშვილი**

International Experience in Simulation Modeling*

The constituent part of the Bologna Process is creation of the European space for the multilingual education and internalization of the European education with preservation of the national spirit. The book answers the requirements in the above mentioned aspects and the final goal – generalization of the European experience in the simulation modeling and interactive learning – is met.

The book is more interesting upon addition of the account of the working experience of the Australian scientist, so far as it deals with the students as well as with the managers of the large-scale business corporations.

This is the first attempt of writing a monograph by the team of foreign authors in the given field in Georgia, where the different disciplines and courses are combined. The said approach ensures the interdisciplinary outlook and the comprehensive vision in dealing with problems.

The book consists of the seven chapters:

Chapter I “The System of Interactive Learning in Education of Economists”, where the author, Prof. Jeanne Tolordava, looks into the methodological aspects of the design and use of business games. The chapter offers the contemporary educational technologies, the

* Jeanne Tolordava (Georgia), Dorien De Tombe (The Netherlands, Dmitry N. Kavtaradze (Russia), Giorgio Panizzi (Italy), Paola Rizzi (Italy), Elysebeth Leigh (Australia) - International Experience in Simulation Modeling: Economics and Business, Ecology, Sociology, book 2, renewed edition. (The book is a publication dedicated to the Bologna Process made in the Georgian, English, Italian and Russian languages. Tbilisi, 2013).

principles of the education for economists and the role of the teacher in the system of interactive education. At the same time the chapter includes the games that are being used by the author in the process of education at the faculty of Economics and Business.

Chapter II “The use of cases for training handling complex problems” is presented by a Dutch scientists, sociologists, professor of the University of Amsterdam Dorien J. De Tombe. The chapter describes the general questions of the simulation modeling and the expert systems based on the «knowledge». The author has elaborated the high level design techniques of the so called concept models, which allow research and analysis of the complex problems and their solutions. orien J. DeTombe is the founder of the field of Methodology for Societal Complexity and an internationally recognized expert in the field of theory and practice in handling Complex Societal Problems and Issues. She developed the methodology COMPRAM (Complex Problem Handling Methodology), a multi disciplined methodology for political decision making on complex societal issues. She has published over 100 articles and many books, is doing research on the subject of how to handle complex problems in the area of Global safety, delivers lectures on the subject of Methodology of Societal Complexity as visiting professor and at conferences all over the world. She organizes yearly conferences on the topic of Methodology of Societal Complexity and is an editor of several magazines.

Chapter III «Simulation game Modeling» by the professor of the Moscow State University, the Head of the Department of the Resource Management, Dmitry N. Kavtaradze, is entirely dedicated to the questions of using the interactive learning techniques in dealing with the environmental problems.

D. Kavtaradze is a colleague of the famous American scientists Dennis Meadows, the winner of the Japan Prize in sustainable develop-

ment. They are in a long term cooperation in the USA in the field of the global modeling.

Therefore, D. Kavtaradze's experience is naturally very interesting. Prof. Kavtaradze is well known as not only a serious researcher, a doctor of biology, but also as a designer of the best business games in ecology that are used in the USA, Japan and Europe. In this chapter the author presents his business games with the demonstration of objectives, reached through their use, possible typical mistakes made at the decision-making and their consequences, based at his extensive experience in working with students. The separate and important part of the research are the psychological aspects of using business games (BG), where the author, together with psychologists, investigates the role of customization, motivation and reflection in the BG, analysis and forecast of actions of its participants and the issues of the team-making.

Chapter IV “Esperienza e applicazioni della gaming simulation in Italia” is written by Professor Giorgio Panizzi, the many years President of the Italian branch of the International Simulation And Gaming Association ISAGA, the SIGIS association. He describes experience in designing and using business games (BG) in this chapter. His credo is that learning of any discipline should be based on a «binomial of theory and practice». According to Prof. Panizzi's research the Italian experience in the simulation modeling is an evidence of bridging the gap between theory and practice, achieved through simulation of industrial practices. The student therefore is making decisions based on study and analysis of real industrial problems.

Chapter V “The use of software focused on the analysis and simulation of complex systems to plan and create Gaming Simulations”, the author of which is Dr. Paola Rizzi, Professor of Urban and Territorial

Systems at Faculty of Architecture University of Sassari, reflects the experience by the author gained during her environmental activities in the said fields. Dr. Rizzi conducts her business games in universities of Japan, Bangkok and Poland, besides Italy.

In this chapter Prof. Rizzi shares her experience in using computer simulations and draws a conclusion that there are four types of such simulations:

1. Study of the virtual world based on actual reality;
2. Special simulation of reality for study of various aspects of human impact;
3. Simulation for explaining the very part of the real world where they act, which are in obvious conflict of opposites with the existing situation;
4. Trainings, where the student acquires skills and experience without fears of risks and costs.

Chapter VI “Making Learning a Game” of Dr. Elysabeth Leigh, Professor of Social Studies of the University of Technology of Sidney. Dr. Leigh was a President of the Australian branch of ISAGA. As a famous specialist in the field of simulation learning Dr. Leigh has worked on creation of the learning context combining high interest towards the problem and high satisfaction from the learning process.

Experience of Dr. Elysabeth Leigh in learning practices of many different nations and different profession makes it possible to draw corresponding conclusions. In Dr. Leigh’s view BGs are feasible for people of all cultures as motivating in learning, research and innovation.

At the same time Dr. Leigh pays a lot of attention to the multidisciplinary approach in education, namely, understanding of economic, environmental and political aspects of the real world.

Chapter VII «Experimental Economics and Simulation» by Jeanne Tolordava. The chapter looks into simulation practices in the comparatively new direction of economic science, the experimental economics, where modeling of the network markets is very similar to the simulation modeling techniques. Guided by works of the founder of these research methods Professor Vernon Smith, Jeanne Tolordava marks out general features and approaches in addressing various problems.

It has to be noted in general that in current circumstances, when the strategy of education for the sustainable development, where the interactive learning and simulation modeling are specifically named, has been adopted by the UN back in 2005, the reviewed book is a topical one and deserves much attention.

David Narmania,
doctor of Economic Sciences,
Minister of Regional Development
and Infrastructure of Georgia.

პროფ. დავით ნარმანიას წინამდებარე რეცენზია მიძღვნილია ნაშრომისადმი - „იმიტაციური მოდელირების საერთაშორისო გამოცდილება: ეკონომიკა და ბიზნესი, ეკოლოგია, სოციოლოგია“, წიგნი II, შევსებული გამოცემა, თბ., 2013, რომელიც შესრულებულია ქართულ, ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებზე.

რეცენზენტის აზრით, სარეცენზიო წიგნი ამართლებს მიზანს - ევროპაში არსებული გამოცდილების გაზიარება ინტერაქტიური მეთოდებისა და იმიტაციური მოდელირების კონსტრუირებისა და გამოყენების მიმართებით. წიგნის ავტორების მიერ (ჟანა თოლორდავა - საქართველო; დ. ქავთარაძე - რუსეთი; ჯორჯო პანიცი, პაოლა რიცი - იტალია, ელიზაბეტ ლი - ავსტრალია) მონოგრაფიის სახით ჩამოყალიბებულია ჩატარებული კვლევების შედეგები დისციპლინათაშორისო მიდგომით, რაც სტუდენტებს პრობლემის კომპლექსურად აღქმისა და შესწავლის საშუალებას უქმნის. რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს წიგნს და ასკვნის: „გამომდინარე იქიდან, რომ ინტერაქტიური თამაშებრივი მოდელირების ამოცანაა რთული სისტემების მართვის ათვისება, სწავლების ამ ფორმის აუცილებლობა გარდაუვალია“. არსებითად, სწორედ ამ მიზანს ემსახურება სარეცენზიო გამოკვლევა.

ლია კვარაცხელია,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

**ქურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი**

1. ქურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

2. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს.

4. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-დან 1500-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

5. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ვეზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman).

6. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

7. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება.

ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი.

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5, გვ. 41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

8. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

9. სტატიას, რომელიც არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს

10. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

საკონტაქტო ტელეფონები:
2 30 36 68; 2 30 40 78;
599 24 77 47; 599 10 38 16
e-Mail: ebf.journal@tsu.ge

ISSN 1987-5789



დაბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი